

ΠΡΩΤΗ, ΕΠΙΣΤΗΜΗ

ΕΛΛΗΝΙΚΗ  
ΕΚΔΟΣΗ

ΕΝ ΤΗ ΚΑΤΑ ΤΗΝ ΕΚΚΛΗΣΙΑΣ

ΕΠΙΣΤΗΜΗ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ

ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ

ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ

ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ

ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ

ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ

ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ

ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ

ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ

ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ

ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ

ΕΚΚΛΗΣΙΑΣ ΤΗΣ ΚΑΤΑ ΤΗΝ



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
კ. კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი



# იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და  
გაშოკვლევით გამოსაცემად მოამზადა  
მანანა მაჩხანელმა



თბილისი  
„მეცნიერება“

1982

091(99.962.1)+301(47.922)(09)

4P  
81.2Pp  
n76



ნაშრომი ეჭება XVIII ს. I ხახეარში ათონზე შექმნილ ბერძნულ თხზულებას — „ქართველთა მონასტრის ქტორთა „ცხოვრება“. ნაწარმოები შეიცავს სანქციონერო ლიტერატურაში აქამდე უცნობ, მნიშვნელოვან ცნობებს ათონის ლიტერატურული სკოლის დამაარსებლებსა და გამოჩენილი მოღვაწეების იოანეს, ეფთვიმესა და ათონის ქართველთა მონასტრის მესამე წინამძღვრის გიორგის (ვარაზვაჩეს) შესახებ (X—XI სს.). ბერძნულ ტექსტს ახლავს ქართული თარგმანი და ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის გამოკვლევა. რომელშიც განხილული და შეფასებულია ბერძნულ „ცხოვრებაში“ ათონელთა მოღვაწეობის შესახებ არსებული საგულისხმო ფაქტები.

ნაშრომი ეძღვნება ათონის ქართული კულტურული კერის 1000-წლისთავს.

რედაქტორები: ელ. მებრძველიძე,  
ბ. ფონაძე

70202  
M607(06)—82 108—82 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982

ქართული  
ენის ეროვნული  
ბიბლიოთეკა

755.916.1

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ათონის მთის ქართველთა მონასტერი — ივირონი — იყო ერთ-ერთი უძლიერესი საზღვარგარეთული კერა ქართული კულტურისა და ძირითადი ცენტრი, სადაც მოხდა ბიზანტიური ლიტერატურის საფუძვლიანი ათვისება. ივირონში „თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა“<sup>1</sup>.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმული და ჩამოყალიბებულია ის ფაქტორები, რომელთაც განაპირობეს ათონის ქართველთა მონასტრის გამოკვეთა ქართული კულტურის საზღვარგარეთული ცენტრების მეთაურად:

1. უპირველესი მიზეზი ის იყო, რომ იგი ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის უძლიერესი კულტურული და სამწიგნობრო კერის ბაზაზე: ივირონის ქტიტორები სამხრეთ საქართველოს მოღვაწეები იყვნენ და სულიერ საზრდოს ტაო-კლარჯეთის მონასტრებიდან ღებულობდნენ.

2. ივირონის დაწინაურება განაპირობა იმანაც, რომ იგი საბერძნეთის ცენტრში მდებარეობდა და ბიზანტიის კულტურული მიღწევები მისთვის ცნობილი იყო.

3. ათონის ლიტერატურულმა სკოლამ დაიწყო თვისებრივად ახალი ლიტერატურული საქმიანობა — მიზნად დაისახა ბიზანტიური ლიტერატურის ყველა საუკეთესო ძეგლის ქართულ ენაზე გადმოტანა, ქართულად ამეტყველება, ხოლო ამ გზით — მშობლიური ენის ამაღლება და ბერძნულთან გათანაბრება, ბიზანტიის კულტურული მორჩილების დაძლევა.

4. ივირონში ინერგებოდა საზღვარგარეთ მდებარე სხვა ქართული კულტურული ცენტრებისა და სკრიპტორიუმების მთარგმნლობითი მიღწევები.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბ., 1960, გვ. 101.

ათონის ქართველთა მონასტრის დაარსება და შუა საუკუნეებში მისი გადაქცევა ქართული სულიერი კულტურის ცენტრად დაკავშირებულია სამი დიდი ქართველი მთაწმიდლის—იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის—სახელებთან.

სამწუხაროდ, ამ ბრწყინვალე მოღვაწეთა ცხოვრებისა და შემოქმედების ბევრი მომენტი ჩვენთვის უცნობია; მათი ბიოგრაფიის მეტ-ნაკლები სისრულით აღდგენა ხერხდება გიორგი მთაწმიდლის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებით“—ათონელთა ბიოგრაფიის ძირითადი წყაროთი და გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებით“<sup>2</sup>, რასაც ემატება ეფთვიმე მთაწმიდლის ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია<sup>3</sup>, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ცნობები, მონასტერთა სააქტო მასალები და სიგელ-გუჯრები, რომელნიც ჯერაც საგანგებოდ არ არის გამოცემული და შესწავლილი.

\* \* \*

კარგა ხანია ცნობილი იყო არსებობა ქართველ მთაწმიდელთა „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტისა, რომელიც ათონის ქართველთა მონასტერში ინახება.

<sup>2</sup> „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“ რამდენჯერმეა გამოცემული: I. საქართველოს სამოთხე, გამოც. მ. საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1882, გვ. 401—432; II. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 1—68; III. „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა. გიორგი მთაწმიდლის ენა „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ მიხედვით ა. შანიძისა, თბ., 1946; IV. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1947, გვ. 178—189; V. ჩვენი საუნჯე, გვ. 222—336; VI. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (XI—XV სს.), თბ., 1967, გვ. 38—100. ლათინური თარგმანი ეკუთვნის პ. პეტერსს (Analecta Bollandiana, XXXVI—XXXVIII, 1922, p. 8—68), რუსული პერიფრაზი—მ. საბინინის (Полное жизнеописание святых грузинской церкви, II, с. 127—160), ინგლისური — დ. ლანგს (Lives and Legends of the Georgian Saints, p. 155—165).

„გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“ რამდენჯერმეა გამოცემული: I. საქართველოს სამოთხე, გვ. 437—487; II. ათონის კრებულა, გვ. 282—351; III. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გვ. 190—214; IV. ჩვენი საუნჯე, გვ. 341—412; V. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (XI—XV სს.), თბ., 1967, გვ. 106—207. რუსული პერიფრაზი ეკუთვნის მ. საბინინს (Полное жизнеописание святых грузинской церкви, II, с. 161—212), ლათინურად თარგმნა პ. პეტერსმა (Histoires monastiques géorgiennes, Anal. Boll., XXXVI—XXXVII, 1922, p. 69—159).

<sup>3</sup> ეფთვიმე მთაწმიდლას ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია პირველად გამოსაცემად მოამზადა მ. კახაძემ (წიგნში: „გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბ., 1946, გვ. 56—61). II გამოცემა ეკუთვნის ე. გაბიძაშვილს: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. IV, თბ., 1966, გვ. 331—340.

პირველი ცნობა ამ ნაწარმოების შესახებ მოიპოვება რუსი არქიმანდრიტის პორფირი უსპენსკის წიგნში «История Афона»<sup>4</sup>. როგორც ჩანს, პ. უსპენსკიმდე ივირონის წიგნთსაცავის ბერძნული ფონდი საგანგებოდ არავის უკვლევია, თუმცა XIX საუკუნის 50-იან წლებში ათონზე მოიარა პლ. იოსელიანმა, მასზე ადრე, XVIII საუკუნეში, ქართველმა მოგზაურებმა ტიმოთე გაბაშვილმა და იონა გედევანიშვილმა, მაგრამ მათ უმნიშვნელო ცნობები დაგვიტოვეს ივირონის წიგნთსაცავის შესახებ. რუს მოგზაურთაგან XVIII საუკუნეში ათონზე ორჯერ იმოგზაურა ვ. ბარსკიმ (1726 წ. და 1744 წ.) და დაწერილებით გაეცნო ქართველთა მონასტრის წერილობით ძეგლებს, მაგრამ არც მის წიგნებში არ მოიპოვება არავითარი მინიშნება ათონელთა ბერძნულ „ცხოვრებაზე“. იგივე მდგომარეობაა არქიმანდრიტ ანტონინ კაპუსტინის საინტერესო წიგნში „Заметки поклонника святой горы“<sup>5</sup>.

პორფირი უსპენსკიმ XIX საუკუნის 40-იან წლებში იმოგზაურა ათონზე, მოიხილა იქაური სავანეები, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ივირონს და მის ბიბლიოთეკაში დაცულ დოკუმენტებს. აქვე უნახავს მას ბერძნულ ენაზე დაწერილი „ცხოვრებაც“ იოანესი, ეფთვიმესი და გიორგისა. თავის მრავალტომიან მონოგრაფიაში უსპენსკი საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს ქართველთა მონასტრის, მისი დაარსების, ეფთვიმე ათონელის ღვაწლისა და სხვა მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. მოგზაური სარგებლობს მხოლოდ ბერძნულენოვანი წყაროებით, განსაკუთრებით ეყრდნობა სწორედ ათონელთა ბერძნულ „ცხოვრებას“.

პ. უსპენსკის წიგნში, ცხადია, სწორედ ამ „ცხოვრებიდან“ გამოვიდა არაუზუსტი ცნობები და მსჯელობა ივირონის ისტორიასთან დაკავშირებული ბევრი ფაქტის შესახებ.

1880 წლის ზაფხულში ათონის მთაზე გავზავნილი იყო ექსპედიცია, რომელსაც პროფ. სპ. ლამბროსი მეთაურობდა და რომელმაც შეადგინა მთაწმიდის თითქმის ყველა მონასტრის ბერძნულ ხელნაწერთა კატალოგი<sup>6</sup>. ქართველთა მონასტერში, რომელიც ბერძნული ხელნაწერებით ყველაზე უფრო მდიდარი აღმოჩნდა, აღიწერა 1286 კოდექსი. მათ შორის

<sup>4</sup> Пор. Успенский, Восток христианский. История Афона, ч. III, Афон монашеский, Киев, 1877, с. 160—161.

<sup>5</sup> Архимандрит Антонин, Заметки поклонника святой горы, Киев, 1864.

<sup>6</sup> Catalogue of the Greek Manuscripts on Mount Athos, by Spyr. P. Lambros. Cambridge. vol. I, 1895; vol. II, 1900.

არის „Βίος και πολιτεία τῶν δόξων και θεοφόρων πατέρων ἡμῶν Ἰωάννου, Ἐμμανουίλου και Γεωργίου, τῶν κειτόρων τῆς καιμ' ἡμῶς ἱερῆς μεγίστης Λαύρας τῶν Ἱβήρων“ (ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარი და ღმერთმე-  
მოსილი ჩვენი მამების იოანესი, ეფთვიმესი და გიორგისა ჩვენი წმინდა  
და უდიდესი ქართველთა მონასტრის ქტიტორებისა).

მეცნიერთათვის ათონელთა ბერძნულ ენაზე შექმნილი „ცხოვრე-  
ბის“ არსებობა სწორედ ამ ორი გზით (უსპენსკის «История Афона»  
და ლამბროსის კატალოგი) უნდა გამხდარიყო ცნობილი.

„Βίος και πολιτεία“-ს არსებობა იცის ქართულმა მეცნიერებამ,  
მაგრამ ძუნწი ცნობების გამო მას არასწორად მიიჩნევს ჯერ კიდევ ათო-  
ნელთა ეპოქაში თარგმნილ ძეგლად.

სტატიაში „ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში“  
კ. კეკელიძე წერს: „ათონელთა ხსენებას ათონზე ყურადღებითა და  
პატივისცემით ეპყრობოდნენ ბერძნები, რომელნიც მათთან სიცოც-  
ხლეში იყვნენ დაახლოებულნი. ალბათ მათი თხოვნით და სურვილით  
დასახელებული შრომები (იგულისხმება „იოანესა და ეფთვიმეს  
ცხოვრება“ და „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“—მ. მ.) ვილაც ქარ-  
თველს უთარგმნია ბერძნულად“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. III,  
1955, გვ. 8); მ. კახაძე უფრო შორს მიდის და თარგმნის დროსა და  
ავტორსაც ასახელებს: „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“ ბერძნულად  
თარგმნილი უნდა იყოს გიორგი ათონელის დროს, შესაძლებელია  
თვით ამ უკანასკნელის მიერ“ (მ. კახაძე, „ქართველები ბიზანტიის  
პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში“, 1954, გვ. 92); კ. კე-  
კელიძისა და მ. კახაძის აზრს იმეორებს ე. ხინთიბიძეც („ბიზანტი-  
ურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი“, 1969, გვ. 21).

დღეს, როცა თხზულების ფოტოპირი მოიპოვება კ. კეკელიძის  
სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, საშუალება მოგვეცა ზუსტად  
დაგვედგინა ხელნაწერის რაობა და დაგვემტკიცებინა, რომ „Βίος και  
πολιτεία“ არის ორიგინალური ბერძნული ნაწარმოები და არა „ქართუ-  
ლიდან თარგმნილი ძეგლი მთაწმიდელთა ეპოქის ბიზანტიური აგიოგრა-  
ფიული მწერლობისა“.

\* \* \*

საკვლევი თხზულების შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი დაწერი-  
ლია XVIII საუკუნის I ნახევარში.

ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებანი:

1. არავითარი კვალი იმისა, რომ ძველად არსებობდა ბერძნულად  
დაწერილი ათონელთა „ცხოვრება“, წყაროებიდან არ ჩანს.



Βίος καὶ πολιτεία τῶν ὁσίων  
καὶ θεοφόρων πατέρων ἡμῶν  
ἰσαάκτου, ἀβραάμου, ἔβρα:  
γίου, τῶν κτιστῶν τῆς καθ'  
ἡμῶν ἱερᾶς, μεγίστης λαμπροῦ  
τῶν ἰσκόων.

ἀλόγκου πέρ.

ἕδναι ἄλλο πρῶμα, ἐς  
ἡ ἀλήθεια ἑβραϊοῖ, ἀβραά:  
ρα, ἑ καθ' ἡμεῖς τῶν ἑβρα:  
θην ψαχὴν ἑ βραβρα, ἑ  
ὡς ἡ δὲ κησὶς τῆς τῶν ἑβραϊοῦ  
ζῶν ἀγαρηθσοκωβὴν. καὶ

Τοσούτω πρῶτον ἀβραάμης τὸν ἀβρα:  
ατκήν, ἑ τὸν παρακλήμᾳ καὶ ἀγα:  
λάσει τὸν ὁμοίον ζῆλον, ἑ να βραβ:  
μακτική, ἑ ὅπως δὲ πρῶτον ἀβρα:



Ὁ παρὰ δὲ κληματικὸς ὄσιος ἰδὲ  
 ὁσίωμ ἡμεῶν πατέρων ἰωάννου·  
 Ἰβνιμίου, Σεγεωργίου, Ἰκαχχί·  
 γραφίση παρὰ ἀνέρος <sup>παιδ</sup> Κοσμά, <sup>χρ</sup>  
 ἰζού ὁ ἀφιερώθη εἰς τὸ μέγα  
 καθολικὸν τῆς ἱερᾶς ταύτης  
 λαοῦς λαύρας τῶν ἱερέων. ὁ  
 ἄφροσιν ἄμαρτιον αὐτοῦ, ὁ εἰς  
 κηλεύσιον αἰώνιον τῆς  
 γῆς αὐτοῦ. α. γ. μ. η. φανουαρί, ἰθ.

„Βίος καὶ πολιτεία“ -ს ტექსტი დაცულია ორ ხელნაწერში: 'Ιβήρωα 4573 (ლამბროსის „ათონის მთის ბერძნულ ხელნაწერთა კატალოგი“ გვ. 147 b)<sup>7</sup> და Codicis Vaticani Graeci—2613 (ფ. ჰალკენის ABHG-თი)<sup>8</sup>. გარდა ამისა, ეს „ცხოვრება“ დაბეჭდილია 1857 წელს ათენში გამოცემულ ქართველთა მონასტრის პროსკინეტარიონში, რომელიც, ჩვენი აზრით, თავისი სიძველის გამო ხელნაწერებზე ნაკლებ ყურადღებას არ იმსახურებს.<sup>9</sup>

არავითარი ცნობა, რომ კიდევ სადმე მოიპოვებოდეს ეს ნაწარმოები, არ არსებობს. ვფიქრობთ, ამ განცხადების დასადასტურებლად მართო ის ფაქტიც გამოდგება, რომ ჰალკენის Bibliotheca Hagiographica Graeca, რომელიც დღეისათვის ბერძნული აგიოგრაფიული ლიტერატურის უზუსტეს კატალოგს წარმოადგენს, „ცხოვრების“ სხვა ვარიანტს არ იცნობს\*.

2. თხზულების ტექსტთა ურთიერთმიმართების შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვეჩანა დასკვნა, რომ არც ათონური (A) და არც ვატიკანური (V) ხელნაწერები არ წარმოადგენენ ძველის პროტოგრაფს.

ათონური ხელნაწერის ანდერძში მოხსენიებული სამოსელი ბერი კოზმანი გადამწერი, გადამწესხვლია თხზულებისა. ტექსტოლოგიურმა ანალიზმა გამოარკვია, რომ ეს ნუსხა უთუოდ გადმოწერილი თხზულებაა. ანდერძში კოზმანი თავის თავს გადამწერს უწოდებს: „ἐξακλιγγηταις ἰθὺ παρὰ ἀνέριος Στῆσις Κοσμά μισαχῆς“. ბალეოგრაფიულადაც 'Ιβήρωα — 4573-ს პროფესიონალი კალიგრაფის ხელი ატყვია.

ჟურნალ «ВЪЗАНТІЙСКИЙ ЕРЕМЕННИКЪ»-ის 41-ე ტომში (1980, გვ. 219—220) ბ. ლ. ფონკიჩი განიხილავს Iberon 4573/453-ისა და Vat. gr. 2613-ის კალიგრაფიულ მონაცემებსა და კოლოფონების ცნობებს: ივირონული ნუსხა გადაწერილია 1758 წლის 19 თებერვალს ბერი კოზმან სამოსელის მიერ ქართველთა მონასტერში და მის მიერვე შეწირულია მონასტრის კათოლიკონისადმი.

ვატიკანური ნუსხა, კოლოფონის ცნობით, გადაწერილია ბერი კოზმანის მიერ ივირონის ბერის, ზაქარეას წარსაგებელით და დად-

<sup>7</sup> Catalogue of the Greek Manuscripts... p. 147 b.

<sup>8</sup> F. Halkin, Auctarium Bibliothecae Hagiographicae Graecae, Bruxelles, 1969.

<sup>9</sup> Πρωσχυητάριον τῶν βασιλικῶν μισαστηρίων τῶν Ἰβήρων. Athenis. 1857; გვ. 49—75.

\* რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ კიდევ გამოჩნდეს ათონელთა „ცხოვრების“ შემცველი ხელნაწერი. Analecta Bellandiana-ს 1975 წლის III ნომერში არის ცნობა, რომ კ. სამოსზე დაცული ყოფილა ეფთვიმე ქართველის დღემდე უცნობი „ცხოვრება“ ბერძნულ ენაზე.

318  
319  
320  
321  
322  
323  
324  
325  
326  
327  
328  
329  
330  
331  
332  
333  
334  
335  
336  
337  
338  
339  
340  
341  
342  
343  
344  
345  
346  
347  
348  
349  
350  
351  
352  
353  
354  
355  
356  
357  
358  
359  
360  
361  
362  
363  
364  
365  
366  
367  
368  
369  
370  
371  
372  
373  
374  
375  
376  
377  
378  
379  
380  
381  
382  
383  
384  
385  
386  
387  
388  
389  
390  
391  
392  
393  
394  
395  
396  
397  
398  
399  
400

δεκάτην τετάρτην τοῦ ἰουμίου μηνός  
τὴν δὲ τοῦ ὀσίου γεωργίου κατὰ τὴν  
ἑξοστήν ὁμόθυμην ἰουλίου, καθὼς καὶ  
ἐν ταῦθα ἄς τὰ μηνῶνα τῶν ἰσκήσεων  
τῆ ἰδία διαλέκτῳ ἔστιν ἰδῆμ, με  
ἀκολουθίας, ὡς τρεπάρια πολλὰ  
ἑορταζόμενους τότε, ὅταν ἔτομ  
ἢ ἔρα αὐτῆ μὲν οἰκιστικῆ παρ  
αὐτῶν τῶν ἰσκήσεων. δὲν ἔμαι δὲ:  
καλομ φαιμεταί μοι πῶς δὲν τὸν  
ἑορταζόμεν, μα μὴν ἀναφῆρα μὴ  
ὡς ἐν σιωπῆσιν τὴν μερικὴν δὲν:  
γνοῖν τοῦ τοῖου αὐτῶν, ἀλλὰ μα:  
ἔμα ἔμαι ἀμοκαῖον, ὡς αὖν ὅπου  
πολλοὶ ἀμοοῦσι τὰ κατ' αὐτοῦς, ὡ  
ἔμαι κομτῆ ἄς τὸ ἀπρεπον, καὶ  
κατὰ κρισιε ἰδικήμας, ὡ ἀμμορία  
ἄς ἔμα, μα κὲ ἀρῶ μὲν ὡσὲν ἄλλαν  
πολλῶν ὡς τοῖους, ὡ καπορθῆματα,  
ὡ τῶν ἰδικήμασε παύσασθαι ὡ μῆτι:

Tab. 3. Αποθηρῶν ἑγλῆσῶν, 37.

να ἔλθω τα πόλια μα θρασύτητα  
 τῆς ἀντιμαχίας, εἰς ὅσα θεία  
 υἱοὶ δάνα. Ἐλθόνε εἰς τὴν  
 θύαν πρῶτον; διὰ τῆς ὁποίας  
 κενθρονοῦσαι τὰ πάντα τὰ τῶν  
 ὄρατα εἰς ἀόρατα. Ἐχαρις αἰνεῖ,  
 οὐδὲ θυλῆον εἰς τὴν δύμῳ σου πῆ:  
 πῆ κατὰ τὸ γινραμμένον. εἰς  
 τῆς ὁποίας τὰ τελέματα ἔσθι:  
 καί μοι ἡμῖς, δὴν πρῶτον μα πο:  
 γινεῖ τελέμων, διαβα μιν αἰου:  
 σε μιν, τὸς ἔγνω γού κῦ, εἰς ὄρα:  
 χίον αὐτοῦ τῆν αἴτα καλύφθῃ;  
 μινον εἰρημοῦμενοι τὴν ἔσθῃ:  
 σήμας, ἐποῦ ἔτασαν γε, μιν ἀρχῶν  
 τῶν γόων, ἐπὶ ἔχασιν μαδηνηθῶ.  
 μιν τον εἰόν ἰσάμμου. Ἄθυναίον,  
 εἰς γινρῶν. εἰς δῶσαν μιν τῆς εἰς  
 αἰαν. ἔλθονε εἰς πρῶτον ὅστων  
 παρὰ ἡμῶν γινρῶν.

Ἐπὶ

ὁ τοῖο. καὶ εἰς τὸν πῆναι: ἡ κατὰ  
 ταῦτα τῶν αἰσθῶν ὅσταν ἰσάμμου.  
 εἰς ἄθυναίον. Ἐνεφὸς μιν τῶν ἰσάμμου.  
 εἰς ἄθυναίον. εἰς τὸν ἄθυναίον, διὰ  
 τὸ ἀχαρῆσθῶν με μιν κατῶν  
 εἰς ἀπὸ τῆν ἀπὸ τῶν. ὅτι κατὰ  
 εἰσῶν τῶν τῶν ἰσάμμου. Ταῦτα  
 τῆς μαρτυρίας κατὰ διαδοχῆν,  
 σφραγισθῶν ὅσοι γινρῶν. τῶν ὕ  
 στῶν ἀπὸ αὐτοῦ ἑαυτοῦ χροῖου  
 ἔλθῃ ὁ γινρῶν εἰς τὸ ἄνοι ὅρα:  
 ὅτι ἔλθῃ μιν τῶν ἄθυναίον ἡ  
 τῶν αὐτοῦ χροῖον ὕστῶν εἰς ἰσάμμου  
 ἔμιν ἡ διαδοχῶν. ἀπὸ τῶν ὅρα  
 τῶν τῶν μαρτυρίας ἄθυναίον. Ἐπὶ  
 μιν εἰς τῶν ἀπὸ τῶν αὐτοῦ, τῶν  
 πρῶτον γόων, τῶν μαρτυρίας,  
 τῶν μαρτυρίας τῶν ἰσάμμου. τὰ δῶ:  
 κῶν τῶν κατὰ τῶν. εἰς δῶ με  
 ἔλθῃ με σωτηρίας. ἡ τῶν μαρτυρίας,



ბულია ივირონის დამაარსებელთა სახელზე აშენებულ ეკლესიაში. მართალია, ხელნაწერის გადაწერის თარიღი ტექსტში გადაშლილია (იკითხება მხოლოდ თვე და რიცხვი), მაგრამ, უდავოა, რომ ეს ხელნაწერიც, ისევე როგორც ივირონული, მომზადებულია XV სს. საუკუნის შუა წლებში. ამაზე მეტყველებს როგორც გადაწერის ხელი, ასევე ფილიგრანი „სამი ნახევარმთვარე“, იდენტური ივირონის ხელნაწერის ჭვირნიშნისა.

ათონური ხელნაწერის ტექსტი ერთი ხელითაა დაწერილი — ბერი კოზმანის ხელით. ეს ხელი ადვილად შეინიშნება ვატიკანური კოდექსის ბევრ მინაწერში (რამდენჯერმე თვით ტექსტშიც). ამის გამო ადვილად ხერხდება მისი გაიგივება ათონური ტექსტის ხელთან, თუმცა, ერთი შეხედვით, ამის თქმა ძნელია. მაგრამ, ვატიკანური ხელნაწერის კოლოფონის ცნობით, ხელნაწერი მთლიანად კოზმანის მიერაა დაწერილი. ამ წინააღმდეგობას ხსნის ათონური ხელნაწერი № 4442/322 — დასრულებული 1757 წელს კოზმანის მიერ და გადაწერილი იმავე ხელით, რომლითაც ვატიკანური ხელნაწერის (vat. gr. 2613) ძირითადი ნაწილი. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ კოზმან სამოსელი ფლობდა ხელწერის 2 ვარიანტს:

I. Iber. 4573, Vat. gr. 2613-ის ჩამატებები და დასკვნითი ნაწილი.

II. Vat. gr. 2613-ის ტექსტი და Iber. 4442/322.

ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ ამ მოცუფთა წრე, სადაც გადაწერა ეს ორი ხელნაწერი და, როგორც ჩანს, შეეცნა ივირონის დამაარსებელთა „ცხოვრება“.

ივირონის ბერი კოზმან სამოსელი, სავარაუდოა, იყო აღმზრდელი პატრონის ფრონტისტირიუსის, მაკარი კალოგერასისა. მას კავშირი უნდა ჰქონოდა აგრეთვე XVIII საუკუნის I ნახევრის ბერძნული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწესთან, არტის მიტროპოლიტ ნეოფიტ მავრიმატისთან, რომელიც 1723 წელს ათონს შეეკედლა (1736—38 წლებში კოზმანი იწერს ნეოფიტის მიერ შედგენილ „მცირე ქრონიკას“, რომელიც ნეოფიტმა იეროდიაკონ იგნატი ეპიდავრელს აჩუქა).

კოზმანის ხელნაწერის II ვარიანტს ძალზე ჰგავს ათონელი ბერის, ნიკიფორეს ხელი (ნიკიფორე წმ. ანას სკიტის მოღვაწე იყო). ეს ორი ხელი იმდენად მსგავსია, რომ, ცხადია, ეს ორი მოღვაწე ერთად თანამშრომლობდა — ისინი ან ერთად სწავლობდნენ, ან ერთად მოღვაწეობდნენ ერთსა და იმავე სკრიპტორიუმში<sup>10</sup>.

3. „ცხოვრება“ რომ გვიანდელია, ტექსტიც არაერთგზის მტკიცდება. თხზულებაში ვხვდებით ფრაზები: „ვისაც ქართული წიგ-

<sup>10</sup> Б. Л. Ф о н к и ч, Палеографические заметки о греческих рукописях итальянских библиотек, Византийский временник, т. 41, 1980, с. 219—220.



320  
10935

υἱὸς καὶ πατρις αὐτῶν ὅσων ὁ θεὸς  
 πατέρων ἡμῶν, Ἰωάννου,  
 Ἰσθαιμίου, Ἐγεωργίου, τῶν κητόρων  
 τῆς καθ' ἡμᾶς ἐκείνης μαρτυροῦντες  
 τῶν ἰσθαιμίων. ἄλλοις ἡσυχάζετε.



Ἰδὲ νῦν ἄλλο πρᾶγμα, ὡς ἡ ἀλήθεια  
 λέγει, ἡ ἀφ' ἧς καὶ καθ' ἡμᾶς ἡ  
 ἀμαρτὴν ἡμετέραν καὶ φιλαρέτων, εἰς ἡμετέρας  
 γὰρ τῶν ἐκείνων ζῆτος ἀμαρ-  
 τωσκοφίαν. καὶ ἡ δὲ ἡμετέρα ἐκείνων δι-  
 σπράγξιν τοῦ ἀκροατοῦ, καὶ τοῦ ἡμετέρου  
 καὶ νῦν ἀναλάβην τοῦ ὁμοίου ζῆτος,  
 καὶ νῦν φανερὰ μετὰ τῆς, καὶ ὁ ἡμετέρος ἡμετέρος  
 ἡμετέρος τῶν ἡμετέρας ἐκείνων ζῆτος,  
 ὅσον ὁ δὲ ἡμετέρος τοῦ ἡμετέρου, καὶ  
 ὡς ἡμετέρος τῶν ἡμετέρος τῶν ἡμετέρος  
 σκοπὸν. καὶ ὡς νῦν ἡμετέρος ἀπὸ λόγου  
 καὶ ἡμετέρος ἡμετέρος τῶν ἡμετέρος.

მართალია, თხზულება ვერ ჩაითვლება აგიოგრაფიული მწერლობის ამ ეპოქის ტიპურ ნიმუშად, მაგრამ მისი შედგენის მეთოდი სწორედ ისეთია, როგორც საზოგადოდ დამახასიათებელია სვინაქსარული ტიპის ნაწარმოებისათვის: შეიცავს წმინდანის ცხოვრების უმთავრეს ბიოგრაფიულ მომენტებს, მის მიერ მოხდენილ სასწაულებს, რიგ აქციებს და ეყრდნობა აგიოგრაფიულ მასალას. აქვე დავძენთ, რომ სწორედ XVII—XVIII სს. მიჯნაზე უხვად დგებოდა სვინაქსარული ტიპის კრებულები, აკოლუთიები და მემორანდუმები, რაც განპირობებული იყო არა მარტო ლიტურგიკული მოთხოვნილებით, არა მარტო ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების სააგიტაციოდ, არამედ, პირველ რიგში — პრაქტიკული მიზნებით.

საკვლევი თხზულება რომ სვინაქსარული ხასიათის ნაწარმოებია, ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ მისი კომპოზიცია პასუხობს ღვთისმსახურებისას წასაკითხი „ცხოვრების“ ყველა მოთხოვნას. ჩანს, იგი დაიწერა, როგორც რომელიღაც ლიტურგიკული კრებულის ნაწილი.

თვით ტექსტში ვკითხულობთ: „მსმენელს ახარებს ასეთი მოთხრობის მოსმენა“ (1 რ, გვ. 75); ავტორი ხშირად მიმართავს სწორედ მსმენელს და არა მკითხველს: „ისეთებიც აღმოჩნდებიან, რომ მოისურვებენ ჩემს მოსმენასო,“ — ამბობს იგი. თხზულების ანდერძითაც ნაწარმოებს ეწოდება „თხრობითი ცხოვრება“ — *μνημολογία βίαι*.

შესავალში ავტორი წერს, რომ ჩვენი საერთო მამების ბიოგრაფია და მოღვაწეობა **მოკლე ცხოვრებით** მაინც უნდა იყოს ცნობილიო. ეს „მოკლე ცხოვრება“ უთუოდ სვინაქსარულ ცხოვრებას გულისხმობს.

\* \* \*

თხზულების ანონიმი ავტორის შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი იყო ბერძენი, ქართველთა მონასტრის თვითნასწავლი ბერი და მოღვაწეობდა XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ან XVIII საუკუნის I ნახევარში.

\* \* \*

„Βίαι καὶ πολιτεία“ დაწერილია იმავე ენაზე, რომელზეც XVII—XVIII საუკუნეთა რელიგიური და საღვთისმეტყველო ხასიათის ბერძნულენოვანი ძეგლები: კათარეგუსაზე, წმინდა ენაზე, რომელიც იყო მემკვიდრე ბიზანტიური არქაისტული მწიგნობრული ტრადიციისა.



რა მიზეზებმა განაპირობა „Βίος και πολιτεία-ს“ შექმნა?

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

XVII საუკუნის ბოლო და XVIII საუკუნე ფრიად მნიშვნელოვანი ეტაპია საბერძნეთის ისტორიაში. ქვეყანა გაცხოველებული ემზადება, რათა თავი დააღწიოს თურქთა ბატონობას. ამ ერთი მიზნის— თავისუფლების მოპოვებისათვის მზადებისაკენ მიმართულია ერის მთელი შემოქმედებითი ენერგია და ინტელექტუალური ძალები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარი — ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის წინააღმდეგ — არის გონებრივ და სულიერ ძალთა მოკრების, ისტორიული საწყისებისადმი ინტერესის გამძაფრების ხანა.


ქვეყნის ისტორიისა და ამ ისტორიის შეფასების საკითხები დგას როგორც სამეცნიერო წრეების, ასევე მონასტრებში მოღვაწე მწიგნობართა წინაშეც.

სწორედ ამ პერიოდში ხდება საჭირო, მონასტრებმა ზუსტად იცოდნენ საკუთარი პრეისტორია, დაარსების დრო, მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხები.

განათლებულ ბერმონაზონთა კვლევის მეთოდები და ხერხები, რა თქმა უნდა, სხვაობს კვლევის იმ გზებისაგან, რომლითაც წარმოებს მუშაობა სამეცნიერო წრეებში, მაგრამ აკადემიურობისა და სინუსტის ნაკლებობა ოდნავადაც არ ამცირებს იმ შედეგების ფასსა და მნიშვნელობას, რომელსაც მიაღწიეს მწიგნობარმა ბერებმა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ათონზე მოღვაწიობდა ცნობილი ნიკოდიმ მთაწმიდელი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ათონის მონასტრების სამწიგნობრო წრეების მეტად აქტიურ და ნაყოფიერ ლიტერატურულ ცენტრად გადაქცევა, დიდი სვინაქსარული კრებულების „Νέον ἐκλήριον“-ისა და „Ἀκολουθία τῶν ἁγιοπαιτῶν πατέρων“-ის შედგენა. ამ კრებულებში სრულადაა თავმოყრილი ათონის მთაზე მოღვაწე ცნობილი მამების ცხოვრებანი, ზოგჯერ ვრცელი, ზოგჯერ კი — სვინაქსარის ან მოსახსენებლის სახით.

მონასტრის უძველესი ისტორიის გამოკვლევისა და წარმოჩენის საკითხი დგება ივირონის — ათონის მთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული მონასტრის წინაშეც. XVIII საუკუნის დასაწყისში, მონასტრის სიძველის დამტკიცებისათვის მის მესვეურებს არა მარტო სჭირდებოდათ საქვეყნოდ გამოტანა იმ ფაქტისა, რომ მათი მონასტერი X საუკუნის ბოლოსაა დაარსებული ქართველთა მიერ, არამედ ამაყოფენ კიდევც ამით.





ამ პერიოდში იწერება სწორედ „Βίος και πολιτεία“ — დიდი ქართველი ათონელების და ქტიტორების — იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის „ცხოვრება“, რომელშიც თავმოყრილი და გამოყენებულია ყველა წყარო — ლიტერატურული თუ ფოლკლორული, რომელთან მიხედვითაც შესაძლებელი იყო XVIII საუკუნეში, თითქმის რვა საუკუნის შემდეგ მათი მოღვაწეობიდან. იწერება აკოლუთიები და საგალობლები ათონელთა სახელზე, ხოლო მოგვიანებით დგება „ვირონის პროსკინეტარიონი“ — კრებული, რომელშიც თავმოყრილია ყველა ეს ახალი მასალა ქართველი მთაწმიდლების შესახებ.

„ცხოვრების“ ავტორი რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ივირონის ახლანდელი მამები მემკვიდრეები არიან იოანესი, ეფთვიმესი და გიორგისა, რომ ამ ნაწარმოების შექმნა არის მხოლოდ გადახდა შვილთა ვალისა, რომელიც ტვირთად აწვათ მონასტრის ბერებს სულიერი მამების-ქტიტორების წინაშე:

„მე ვფიქრობ, — წერს ის, — არ არის სამართლიანი, რომ ჩვენ ამ თარღს (იგულისხმება ათონელთა ხსენებს დღე — მ. მ.) არ ვზეიმობთ, ხოლო მათ ცხოვრებას მოკლე მოთხრობით მაინც არ გადმოვცემთ. ეს კი სრულიად აუცილებელია, რადგან ბევრისათვის არ არის ცნობილი მათი საქმეები, ეს არცოდნა კი ახლოს არის ბიწიერებასთან და ჩვენი დანაშაულია. ხომ ცოდვას ღვთის წინაშე, ვიცნობდეთ ბევრ სხვა წმინდანსა და მათ ცხოვრებას, მათ გმირობას, ხოლო არ ვიცნობდეთ ჩვენს საკუთარ მამებსა და მამუნებლებს, არ ვიცოდეთ, რა არის დაწერილი მათ შესახებ!“ (§ 1).

„ცხოვრება“ ბიოგრაფიული და პანეგირიკული ლიტერატურული ჟანრის ჩარჩოებს არ სცილდება, თავიდან ბოლომდე ტრადიციულ შაბლონს მიჰყვება და ანონიმი ავტორიც ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის დიდი უნარით დაჯილდოებული ადამიანი არ არის, თუმცა ნაწარმოებში მაინც შეიმჩნევა დიდი მოწიწება და დაფასება მონასტრის პირველი მოღვაწეებისადმი, მათი ღვაწლის წარმოჩინების აუცილებლობის შეგნება:

„გვედრებით თქვენც, ქრისტესმიერნო მამანო და ძმანო ჩემნო, მომბაძოთ და, როგორც მე მივუზღე საზღაური და გამოვხატე პატივისცემა ჩვენი საერთო მამებისადმი, თქვენც აღასრულოთ მოვალეობა და გამოამჟღავნოთ თქვენი სიწმინდე“ (§ 1, გვ. 77).

„წმინდა და ღმერთშემოსილი ჩვენი მამების სათნოებას მთელი არსებით უნდა მივბაძოთ არა მარტო იმიტომ, რომ ასე ხამს, არამედ იმიტომაც, რომ ვიყოთ მემკვიდრეები როგორც მათ მიერ აგებული მონასტრისა, ასევე მათი საქმიანობისა“ (§ 23, გვ. 120).

ნაწარმოებიდან ჩანს, რომ წმ. ეფთვიმეს ხსენების დღე—13 მაისი—  
ყოველთვის ზეიმით აღინიშნება ათონის ქართველთა მონასტერში, რაც  
შეეხება იოანეს ხსენების დღეს—14 ივნისს და გიორგისას—  
ისინი მიუვიწყებიათ. „ცხოვრების“ შექმნა საყურადღებოა  
ზრისითაც, რომ ეს ნაკლი მონასტრის ისტორიისა გამოსწორებულია.  
„Βίος και πολιτεία“—კომპლექსური „ცხოვრება“ მონასტრის სამი-  
ვე ქტიტორია, ამიერიდან წიკითხებოდა 13 მაისს, რითაც აღმოიფხვრე-  
ბოდა ზემოხსენებული ხარვეზი და ყველა ქტიტორს დამსახუ-  
რებულად მიეზლოდა. ბერძენმა ავტორმა იცის, რომ საქართველოში ზეი-  
მით აღინიშნება არა მხოლოდ ეფთვიმეს, არამედ ყველა მაშენებლის  
ხსოვნა და სურს, რომ ივირონშიც დამკვიდრდეს ეს ტრადიცია.

„ცხოვრებისა და მოქალაქეობის“ აღწერას ჰქონდა წმინდა პრაქ-  
ტიკული მნიშვნელობაც: მას თანამედროვენი და მომდევნო თაობე-  
ბი უნდა აღეძრა, რათა მათ მიეხატათ თხზულების გმირთა სათნო  
ცხოვრებისათვის, დიდი ქართველი ათონელების ღვაწლისათვის.

XVIII საუკუნის I ნახევარში მთაწმინდაზე ბერძენი კაცის მიერ  
ივირონის ქტიტორთა „ცხოვრების“ შექმნა მნიშვნელოვანი და საყუ-  
რადღებო ფაქტია არა მხოლოდ ლიტერატურული თვალსაზრისით,  
არამედ იმითაც, რომ იგი ერთგვარად აგრძელებს ურთიერთობის იმ  
მრავალსაუკუნოვან ხაზს, რომელიც ბერძენ და ქართველ ხალხებს  
შორის ჯერ კიდევ მითოლოგიური პერიოდიდან დასტურდება და გან-  
საკუთრებით მრავალმხრივი ხდება ბიზანტიურ პერიოდში.

\* \* \*

„Βίος και πολιτεία“ იქმნება იმ დროს, როდესაც ივირონში მოღ-  
ვაწე ბერძენი ბერებისათვის არავითარ საფრთხეს აღარ წარმოადგენს  
ქართველთა პატივითა და დიდებით მოხსენიება. ძეგლის ავტორს საუ-  
კუნეები აშორებს ბერძენ-ქართველთა შუღლისა და მტრობის ხანგრძლი-  
ვი ეპოქისაგან. XVIII საუკუნის I ნახევარში ივირონში ქართული  
კლემენტი ფაქტიურად აღარ არსებობს და მინიმუმამდეა დასული ურთი-  
ერთობის ის სიმძაფრე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველთა მონას-  
ტრის ისტორიის პირველ საუკუნეებში.

სწორედ ამიტომაც, რომ „ცხოვრების“ ავტორი ქართველ მო-  
ღვაწეებს წარმოგვიდგენს როგორც წმინდანებს, არ იშურებს მათთვის  
ხოტბის ეპითეტებს და იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის ისიც ისევე  
მიიჩნევს ბერძენთა სახელოვან წინაპრებად, როგორც ქართველები.

**ათონელთა ბერძნულ ენაზე შექმნილი „ცხოვრების“  
ხელნაწერთა დახასიათება**

არსებობს ათონელთა ბერძნულ ენაზე შექმნილი „ცხოვრების“ სამი ტექსტი: ათონური (A)<sup>1</sup>, ვატიკანური (V)<sup>2</sup> და 1857 წლის ქართველთა მონასტრის პროსკინეტარიონში გამოქვეყნებული (C)<sup>3</sup>.

**A**

სპ. ლამბროსის კატალოგით ამ ხელნაწერის ნომერია Ἰϥηρᾶν—4573 (453). ეს არის პატარა, 40 გვერდიანი კოდექსი. გვ. გვ. A+1—40+22 დაუწვრელი ფურცელი. 22×15. დაწერილია კარგი ხარისხის საშუალო სისქის ქალაღზე, რომელსაც აქვს ჭვირნიშანი „სამი ნახევარმთვარე“.

სტრიქონთა რაოდენობა 20-ია. ტექსტი დასაწყისში მოხატულია სტანდარტული ორნამენტით. პირველი ფურცელი შემკულია სტილიზებული საზედაო ასოებით.

თხზულება დაყოფილი არ არის მონაკვეთებად, გამოიყოფა მხოლოდ სამი დიდი ნაწილი სამი „ცხოვრების“ — იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის — შესაბამისად.

გადაწერილია კალიგრაფიული ხელით.

გადამწერია კოზმან ბერი. გადაწერის დრო — 1758 წელი. ნასწორებია XIX საუკუნის ხელით. აქვს ერთადერთი მინაწერი 3 რ-ზე. ინახება ათონის ქართველთა მონასტრის ბიბლიოთეკაში.

**V**

ვატიკანის ხელნაწერი № 2613 (Cod. Vatic. Gr. 2613)<sup>4</sup> წარმოადგენს აკოლუთიების კრებულს.

<sup>1</sup> Catalogue of the Greek Manuscripts... vol. I, გვ. 147 b.

<sup>2</sup> F. Halkin, Auctarium BHG, Bruxelles, 1969.

<sup>3</sup> Προσχηγητᾶριον τῶν βασιλικῶν, πατριαρχικῶν, σταυροπηγιακῶν τε καὶ σεβασμιῶν ἱερῶν μισασηρίων τῶν Ἰϥηρᾶν, τῶν ἐν τῷ ἄγ. ναυστάφ ἕρει τῶν ἹΑθωνος. Ἐν ἹΑθίνας, 1857.

<sup>4</sup> ამ ხელნაწერის აღწერილობის ფოტოპირი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს გამოუგზავნა ვატიკანის ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ბ-მა ჟ. სოკემ.

1) 1 r—24 v—იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის მოსახსენებელი 13 მაისს.

— Ἀγγέλων στατήμασι συμπαραστάμενοι ἦσισι.

— Διστατικαὶ τῶν ἡγιογράφων σάλπιγγες.

2) 25r—38 v—14 მაისს. წმ. მოწამე ისიდორეს ორი აკოლუთია:  
ა. მიძღვნილი ქტიტორებისადმი.

ბ. მიძღვნილი გაბრიელ ქართველისადმი.

3) 39 r—70r—ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდა დამერთ შემოსილი ჩვენი მამების—იოანესი, ეფთვიმესი და გიორგისა, ჩვენი წმინდა და უდიდესი ივერთა ღვარის ქტიტორებისა.

4) 70 v—78 r დიდ მოწამეთა აკოლუთიები.

ხელნაწერის ანდერძში გადამწერად მოხსენიებულია კოზმან ბერი, რომელსაც ეს კრებული შეუდგენია ივირონის ბერის, ზაქარიას წარსაგებელით. ტექსტის გადაწერის თარიღი გადაშლილია, იკითხება მხოლოდ თვე და რიცხვი—16 თებერვალი. ჭვირნიშანი—„სამი ნახევარმოვარე“.

### C

„ათონის მთის ქართველთა მონასტრის პროსკინეტარიონში“<sup>5</sup> ათონელთა ბერძნულ ენაზე შექმნილი „ცხოვრება“ დაბეჭდილია 49—75 გვერდებზე.

პროსკინეტარიონი გამოცემულია ათენში 1857 წელს. გარდა ათონელთა ბერძნულ ენაზე შექმნილი „ცხოვრებისა“, მასში შედის შემდეგი ნაწარმოებები:

გვ. 5—18 — ივერთა მონასტრის აღმშენებელთა მოსახსენებელი.

გვ. 19—23 ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰიმნი ნიკოდიმი მთაწმიდლისა.

გვ. 27—49 — ქტიტორებისადმი მიძღვნილი აკოლუთია.

გვ. 49—75 — იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის „ცხოვრება“

კრებულის მე-4 გვერდზე მოთავსებულია ღვთისმშობლის, ხოლო 26-ე გვერდზე — იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის ლითოგრაფიული სურათები.

<sup>5</sup> Προσκήρυξις... τῶν Ἱβήρων, Athenis, 1857.

# ΠΡΟΣΚΥΝΗΤΑΡΙΟΝ

ΤΟΥ

ΒΑΣΙΛΙΚΟΥ, ΠΑΤΡΙΑΡΧΙΚΟΥ, ΣΤΑΥΡΟΠΗΓΙΑΚΟΥ ΤΕ  
ΚΑΙ ΣΕΒΑΣΜΙΟΥ ΙΕΡΟΥ ΜΟΝΑΣΤΗΡΙΟΥ

ΤΩΝ ΙΒΗΡΩΝ,

ΤΟΥ ΕΝ ΤΩ ΑΓΙΩΝΥΜΩ ΟΡΕΙ ΤΟΥ ΑΘΩΝΟΣ,

Εν περιέχον την διήγησιν τῆς ἱερᾶς εἰκόνης τῆς ὑπεραγίας Θεοτόκου τῆς θαυματουργῆς Πορταϊτίσσης, καὶ ἓνα παρακλητικὸν κανόνα αὐτῆς προσέτι τὴν ἀκολουθίαν καὶ τὸν βίον τῶν ἁγίων κτητόρων τοῦ αὐτοῦ Ἱεροῦ Μοναστηρίου.

ΤΥΠΟΙΣ ΔΕ ΝΥΝ ΕΚΔΟΘΕΝ

ΕΠΙΜΕΛΑΡΙΑΙ ΚΑΙ ΦΙΛΟΤΙΜΩ ΔΑΠΑΝῃ

ΤΟΥ ΑΥΤΟΥ ΙΕΡΟΥ ΜΟΝΑΣΤΗΡΙΟΥ ΤΩΝ ΙΒΗΡΩΝ

ΚΑΙ ΤΟΥ ΚΟΙΝΩΒΙΑΤΟΥ ΑΥΤΟΥ ΠΑΝΟΒΙΣΤΑΤΟΥ ΑΡΧΙΜΑΝΗΡΙΟΥ

ΚΥΡΙΟΥ ΚΥΡΙΟΥ ΣΕΡΑΦΕΙΜ ΤΟΥ ΣΥΝΟΠΕΩΣ.

Ἐκστρατῆς δὲ

ΣΤΕΦΑΝΟΥ Κ. ΣΚΛΗΦΑΡΟΥ ΤΟΥ ΕΞ ΑΘΗΝΩΝ.



ΕΝ ΑΘΗΝΑΙΣ,

ΕΚ ΤΗΣ ΤΥΠΟΓΡΑΦΙΑΣ Φ. ΚΑΡΑΜΠΙΝΗ ΚΑΙ Κ. ΒΑΦΑ.

(Ὀδὸς Βίαντα καὶ Ἀχαρνῶν Ἀριθ. 302).

1857.

## თხზულების კომპოზიცია და სტრუქტურა

საკვლევი ნაწარმოები ფაქტიურად წარმოადგენს სამ დამოუკიდებელ ცხოვრებას, რომლებიც ერთ „ცხოვრებად და მოქალაქეობად“ გაერთიანებული და შეკრულია იმ ნიშნით, რომ სამივე ეხება ქართველთა მონასტრის სამ ქტიტორს, სამ ფუძემდებელს, რომელთა ხსენება და, შესაბამისად, თხზულების კითხვა დაწესებულია ერთ დღეს — 13 მაისს.

ნაწარმოებში გამოიყოფა სამი დიდი ნაწილი: „იოანეს ცხოვრება“ (4r-13r; §2-§6), „ეფთვიმეს ცხოვრება“ (13r-37v; §7-§21), „გიორგის ცხოვრება“ (38r-39r; § 22).

იმისათვის, რომ სამივე „ცხოვრება“ აღქმულ იქნას როგორც ერთი დამოუკიდებელი თხზულება, ავტორს მიუმართავს ორიგინალური ხერხისათვის: ნაწარმოებს წინ უძღვის საკმაოდ ვრცელი შეესაჯალი (1r-4r), რომელშიც რამდენიმე საინტერესო საკითხზეა საუბარი:

1) ავტორი ზოგადად მსჯელობს ასეთი ტიპის მოთხრობის საჭიროებისა და დანიშნულების შესახებ, აღნიშნავს, რომ არავითარი საქმე ისე არ უნერგავს რწმენას და არ ახარებს კეთილსა და უცოდველ სულს, როგორც წმინდანთა ცხოვრების მოსმენა. მსმენელი ცდილობს და ილტვის მიბაძოს მათ ქველ ცხოვრებას და ამ გზით გახდეს უკეთესი, ვიდრე არის.

2) ავტორი გვაცნობს თავის შემოქმედებით მეთოდს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოთხრობელმა თავის სიტყვას არაფერი არ უნდა მიუმატოს, რათა მოთხრობა არასაიმედო და საეჭვო არ გახდეს და არც დამალოს ის, რაც ღირსია თხრობისა.

3) ძირითადი ნაწილი შესავლისა ეძღვნება იმის ახსნასა და მტკიცებას, რომ უსამართლობაა ცნობილი არ იყოს და ზემოთ არ აღინიშნებოდეს ჩვენი წმიდა მამების სათნო ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც ჭეშმარიტად ღირსია აღტაცებისა და მიბაძვისა, რომ აუცი-

<sup>6</sup> Bibliographie des acolouthies grecques, par S. G. Mgr. Louis Petit, Bruxelles, 1926.

ლებელია გამოსწორდეს ეს ნაკლი და ბერძნებმაც მოიხსენიონ თავიანთი წინაპრები — ქართველი წმინდა მამები, რომელთა ხსენების დღეები განსაკუთრებული ზემოთ აღინიშნება საქართველოში და იხსენიებულია ქართულ „თვენიც“, რომელიც დღესაც ქართველთა მონასტერში ინახება.

4) შესავალშივე ავტორი ასახელებს წყაროებს, რომლებიც მას მოუძიებია და გამოუყენებია თავისი თხზულებისათვის.

შესავალს მოსდევს „იო ა ნ ე ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა“, რომელიც იწყება ტრადიციული სტილით მოწოდებული ცნობების გადმოცემით იოანეს წარმომავლობის, ოჯახის, საქმიანობის, საღვთო საქმეებისადმი მისი სიყვარულისა და ლტოლვის შესახებ. ამას მოჰყვება თხრობა იმაზე, თუ როგორ დატოვა იოანემ ეს სოფელი, ყველა მისი სიკეთე და აირჩია ქველი ცხოვრების გზა, როგორ მივიდა თავის სამშობლოსთან ახლოს მდებარე მონასტერში, სადაც ექვსი ბერი სახლობდა და რომლებმაც აკურთხეს იგი ბერად; როგორ წავიდა აქედან ჯერ კოლბის, შემდეგ ოლიმპოს მთაზე მდებარე მონასტრებში, ხოლო ბოლოს — ათონზე ათანასე დიდთან, რომელმაც იოანეში ჰპოვა სიქველის ამოუწურავი საგანძური; მეფე ბასილის სამეფო წარსაგებელით და ათანასეს წყალობით როგორ აღმართა მან საკუთარი მონასტერი. თხზულების შემდეგი მონაკვეთი წარმოადგენს ათანასე ათონელის ცნობილი სიგელის პერიფრაზს, რომელშიც ათანასე ქებისა და ხოტბის სიტყვებს არ იშურებს იოანესათვის, ლაპარაკობს მის ღირსებებზე, მის მისაბამ მოღვაწეობაზე, მის უფლება-მოვალეობაზე და ბოლოს, მთელი ათონის მთის ძმობას მიმართავს, რომ არასოდეს დააკლონ სიყვარული იოანესა და მისი მონასტრის ძმობას.

§ 7-დან იწყება „ე ფ თ ვ ი მ ე ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა“ მისი ბავშვობისა და ყრმობის წლების, განათლებისა და მიღრეკილებების გადმოცემით, რასაც მოსდევს საკმაოდ ვრცელი ეპიზოდი (14 r—19 v), რომელშიც მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ წაიყვანა პაპამ — ქართველთა მეფის ბრწყინვალე ელჩმა — პატარა ეფთვიმე კონსტანტინოპოლში, სადაც იმპერატორ ნიკიფორე ფოკას კარზე იგი შეხვდა მამამისს, ათონელი ბერების რაღაც საქმეების მოსაგვარებლად ჩამოსულ იოანეს, შეიცნო მასში მამა და სამუდამოდ დარჩა მასთან; იოანე ათონს დაუბრუნდა, შვილი კი დედაქალაქში დატოვა განათლების მისაღებად. ეფთვიმე შეება წმინდა წერილსა და ბერძნულ ენას და ამისათვის იმდენ ენერგიას ხარჯავდა, რომ ავად გახდა და სიკვდილს მხოლოდ ღვთისმშობლის ჩარევის წყალობით გადაურჩა. ამის შემდეგ ეფთვიმემ ცხოვრების მიზნად დაისახა ბერად შედგომა და ღმერთის სამსახური, წავიდა ათონზე, ათანასე დიდის ხელით ეკურთხა ბერად

და დაიწყო წმინდა წერილისა და სხვა სულისმარგებელ წიგნთა თარგმნა, რითაც ძალზე განადიდა და ცნობილი გახადა თავისი ხალხი მალე იოანემ და ეფთვიმემ თავიანთ ნათესავ გიორგისთან ერთად მიატოვეს ათანასეს ლავრა და საკუთარი მონასტერი დაასრულეს და დაიწყეს ადგილას, სადაც წინათ კლიმენტოსის პატარა ეკლესია იდგა. მაგრამ მათი სიმარტოვე დიდხანს არ გაგრძელებულა, ბევრმა ქართველმა მიაშურა მათ; ძმათა რიცხვის გაზრდის გამო გაჩნდა საჭიროება ახალი, უფრო დიდი მონასტრის აშენებისა, რომელიც ქართველებმა იმპერატორ ბასილის წყალობით ააშენეს კიდეც.

§ 13-დან გრძელდება ეფთვიმეს „სასწაულებრივი საქმეების“ გადმოცემა (პირველი სასწაული ეფთვიმემ მოახდინა ჯერ კიდეც კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს, როცა იქაური ებრაელი დაამარცხა): თესალონიკელი ებრაელის დაამარცხება რწმენის საკითხებზე მსჯელობისას; ეფთვიმეს მიერ „წვიმის მოყვანა“ მთაწმინდის დიდი გვალვის დროს, რისთვისაც მას „მეორე ელია“ შეარქვეს; ფერისცვალების დღესასწაულის დროს მომხდარი სასწაული — ეფთვიმეს „გადაქცევა მანათობელ სვეტად“.

„სასწაულებს“ მოსდევს ეპიზოდი, რომელშიც გადმოცემულია იმპერატორ ბასილის თხოვნა ეფთვიმესადმი, აიღოს თავის თავზე კვიპროსის არქიეპისკოპოსობა და მისი თავმდაბლური უარი.

„ეფთვიმეს ცხოვრება“ მთავრდება მისი მკვლელობის ორი ცდის—ერთხელ ვილაც უკეთური ბერის, მეორედ მონასტრის მებაღის მიერ—გადმოცემით „ცხოვრების“ უკანასკნელი გვერდები (35 r—37 v) ეთმობა ეფთვიმეს სიკვდილის ამბავს და კონსტანტინოპოლიდან მთაწმინდაზე მისი გადმოსვენების გადმოცემას.

„გიორგის ცხოვრება“, მცირე მოცულობის გამო, ერთ პარაგრაფად გამოვყავით (§ 22)<sup>7</sup>.

ნაწარმოებს ერთვის პატარა დასკვნა, რომელშიც ავტორი ერთხელ კიდეც მოუწოდებს მსმენელებს, მიბაძონ იოანეს, ეფთვიმეს და გიორგის ცხოვრებას, რათა გახდნენ მათი ღირსეული მემკვიდრეები.

დასკვნა იმავე მიზანს ემსახურება, რომელსაც შესავალი: ოსტატურად კრავს სამივე „ცხოვრებას“ ერთ თხზულებად.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი „ცხოვრებიდან“ მეორეზე გადასვლისას თხრობა ძალზე ლოგიკური და ბუნებრივია, ავტორი მაინც მიგვანიშნებს, თუ სად იწყება და სად მთავრდება ნაწარმოების ახა-

<sup>7</sup> „გიორგის ცხოვრების“ ცნობები დაწერილები აა განხილული ქვეთავში „გიორგის ვინაობისათვის“.



ლი ნაწილი. „იოანეს ცხოვრების“ ბოლოს ვკითხულობთ შემდეგ ფრაზას: „შემდეგი საკითხავები. მამაო, გვაკურთხე“. იგივე სიტყვები მეორდება „ეფთვიმეს ცხოვრების“ ცენტრალურ ნაწილში და ერთგვარად ასრულებს ამ „ცხოვრების“ ერთ დიდ მონაკვეთს იმავე „ეფთვიმეს ცხოვრების“ შემდეგ ავტორი მკითხველს შეაწყენებს, რომ შევასრულებ ჩემს დაპირებას, ნაწარმოების ბოლოს მოგიტხოვრობთ მესამე ქტიტორის — გიორგის — ცხოვრებაზეო.

იმისათვის, რათა უფრო თვალნათლად წარმოვიდგინოთ თხრობის მიმდინარეობა და ნაწარმოების სტრუქტურა, ჩამოვთვლით თითოეულ თავს და მათ პირობით სათაურებს:

§ 1 — შესავალი.

§ 2 — იოანეს წარმომავლობა და ბერად შედგომა.

§ 3 — იოანე კოლპისა და ოლიმპოს მთის მონასტრებში.

§ 4 — იოანე ათონის მთაზე.

§ 5 — ათანასე ათონელი იოანეს შესახებ.

§ 6 — იოანეს სიკვდილი.

§ 7 — ეფთვიმეს ბავშვობა.

§ 8 — იოანესა და ეფთვიმეს შეხვედრა კონსტანტინოპოლში.

§ 9 — ეფთვიმე კონსტანტინოპოლში.

§ 10 — ეფთვიმესა და კონსტანტინოპოლელი ებრაელის კამათი რწმენაზე.

§ 11 — ეფთვიმე ათონის მთაზე.

§ 12 — ივირონის აშენება.

§ 13 — ეფთვიმეს მიერ თესალონიკელი ებრაელის დამარცხება.

§ 14 — გვალვა მთაწმინდაზე.

§ 15 — ფერისცვალების დღესასწაულის დროს ეფთვიმეს მიერ მოხდენილი სასწაული.

§ 16 — ეფთვიმე უარს ამბობს კვიპროსის არქიებისკაპოსობაზე.

§ 17 — ეფთვიმეს მკვლელობის პირველი ცდა უკეთური ბერის მიერ.

§ 18 — ეფთვიმეს მკვლელობის მეორე ცდა მონასტრის მებაღის მიერ.

§ 19 — ეფთვიმეს დახასიათება.

§ 20 — ეფთვიმეს სიკვდილი და გადმოსვენება ათონზე.

§ 21 — „ვინ-მე უკუე ცნა გონებაჲ უფლისაჲ“?

§ 22 — გიორგი მაშენებლის ცხოვრება.

§ 23 — დასკვნა.



ათონელთა ბერძნულ ენაზე შექმნილი „ცხოვრების“ ტექსტი ვადგინეთ ორი ნუსხის—ათონურისა (A) და ვატიკანურის (V)—და პროსკინეტარიონში დაბეჭდილი ტექსტის ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე.

ვარიანტების გამოყოფამ და ყველა კითხვა-სხვაობის გათვალისწინებამ გვიჩვენა შემდეგი სურათი:

1. სამივე ტექსტი მხოლოდ ვარიანტულ დონეზე განსხვავდება ერთმანეთისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ერთ-ერთ მათგანში მთელი წინადადებაა გამოტოვებული ან შეცვლილი სხვა გამოთქმებით, სხვა სიტყვებით, ეს სხვაობანი რედაქციულად მაინც არ შეიძლება მივიჩნიოთ.


2. ათონურ (A), ვატიკანურ (V) ნუსხებსა და პროსკინეტარიონის ტექსტს (C) აქვთ ერთი და იგივე წყარო, უფრო სწორად, პროტოგრაფი, რომელსაც ისინი ეყრდნობიან ან უშუალო, ან შუალობითი გზით.

3. არც A და არც V ნუსხა არ წარმოადგენს პროტოგრაფს. რაც შეეხება C-ს, იგი აშკარად მომდინარეობს ათონური ხელნაწერიდან.

4. A და V გადაწერილია ერთი X პროტოგრაფიდან. ამას ადასტურებს იმ შეცდომების განხილვა, რომლებიც კოზმანს, ქართველთა მონასტრის ბერს, გადაწერისას გაჰპარვია.

5. ვატიკანური ნუსხის გადამწერი ატარებს ერთგვარ რედაქციულ მუშაობას (ანაწევრებს მას შინაარსის გათვალისწინებით, ადგენს გარკვეულ თავებს, ყოველ ახალ ქვეთავს იწყებს საზედაო ასოთი და ა. შ.), თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს დისტანცია არ არის იმ ტიპისა, რომ ვატიკანური ტექსტი ცალკე რედაქციად გავმიჯნოთ.

ჩვენს წინაშეა ამოცანა, მაგალითებით ნათელვყოთ შემდეგი სქემა:



ორიოდე სიტყვა ათონურ და ვატიკანურ ნუსხათა პალეოგრაფიაზე:

ვატიკანურ ხელნაწერში გაირჩევა ორი გადაწერის ხელი. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, საოცარი მსგავსების გამო მათი გამოჩენა საკმაოდ რთულია, ეს ფაქტი მაინც აშკარაა.

A და V ნუსხების პალეოგრაფიული თვალსაზრისით შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ვატიკანური ხელნაწერის არაძირითადი, მეორე ხელი ეკუთვნის კოზმან ბერს, ათონური ნუსხის გადაწერს.

ნუსხაში თხზულების სათაური „Βίος και πολιτεία τῶν ἁγίων καὶ θεοφθόρων πατέρων ἡμῶν Ἰωάννου, Εὐθυμίου καὶ Γεωργίου, τῶν κειτόρων τῆς καθ' ἡμᾶς ἱερᾶς μεγίστης λαύρας τῶν Ἱβήρων“, აგრეთვე, იოანეს „ცხოვრების“ ბოლოს, 13 r-ზე მიწერილი ფრაზა „τὰ ἐπίλοιπα τῶν ἀναγνώσαντων“ (გვ. 89) და იგივე ფრაზა ეფთვიმე<sup>1</sup> „ცხოვრების“ ცენტრალურ ნაწილში—29 v-ზე დაწერილია კოზმანის ხელით (იხ. ტაბულა № 5—6), ე. ი. ვატიკანური ხელნაწერის გადაწერა ხდებოდა კოზმანის უშუალო მონაწილეობით. ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ A და V დაახლოებით თანადროულადაა გადაწერილი, კერძოდ, XVIII საუკუნის 60-იან წლებში (უფრო ზუსტად, 1758 წლის მახლობლად), რადგან ათონური ხელნაწერის ანდერძში გადანუსხვის ეს თარიღია აღნიშნული<sup>8</sup>.

ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ ვატიკანური 2613 ხელნაწერის — „აკოლუითების კრებულის“ — ანდერძში დასახელებულია ამ კრებულის შემდგენელი და გადაწერი კოზმანი.

ამრიგად, ნუსხათა პალეოგრაფიული თვალსაზრისით შედარებაც ადასტურებს ტექსტთა ანალიზით მიღებულ შედეგებს.

\* \* \*

დავიწყოთ ერთი მნიშვნელოვანი ფონეტიკურ-ორთოგრაფიული მოვლენით: როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ის მწერლები, რომლებიც წერდნენ ბიზანტიურ ბერძნულზე და შემდეგ ისინიც, ვინც კათარეუსას იყენებენ, უკვე აღარ წერენ ისე, როგორც ლაპარაკობენ. ამის გამო მათ წინაშე დგება მთელი რიგი ორთოგრაფიული სიძნელებებისა და, რადგან ცდილობენ ხელოვნურად გაართულონ „წმინდანა“ და დაამორონ იგი ვულგარულ და მდაბიურ დიმოტიკეს, ხშირად არც შეცდომებისაგან არიან დაზღვეულნი. ამიტომაც ტექს-

<sup>8</sup> ფ. ჰალკენი და ე. სოჟე ხელნაწერს XVII საუკუნისად მიიჩნევენ.

ტში ხშირად აღრეული η და ι, υ და ι, η და ε: დიფთონგი და ა. შ.  
 [i]-დ გამოითქმოდა რამდენიმე ხმოვანი: ι, η, υ, ε:, οι, υι,<sup>9</sup>  
 ხშირად ავტორმა არ იცის ამა თუ იმ სიტყვის ტრადიციული  
 დაწერილობა და უშვებს შეცდომას.  
 ამის მაგალითები ჩვენს ტექსტშიც უხვად მოიპოვება:

- 1r, 1v: κτίτωρ /AV/—κτήτωρ /C/  
 24 v: Χειρίματα /AC/—χειρήματα /V/.  
 2r: καμιστοροῦντα /AV/—καμιστοροῦντα /C/.  
 4r: πολιτικῶν /AC/—πολιτικῶν /V/.  
 4r: ἐπολιτεύετο /AC/—ἐπολυτεύετο /V/.  
 18v: ἐρωτιμῆ /AC/—ἐρωτημῆ /V/.  
 18v: ἐκατάπεισαν /AC/—ἐκατάπησαν /V/.  
 18v: εἶναι /AV/—ἦναι /C/.  
 18v: πρέσβυς /AC/—πρέσβυς /V/<sup>10</sup>.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს შემდეგი კანონზომიერება: უმრავლეს შემთხვევაში ერთად დგანან A და C, V კი სხვაობს, ამასთანავე, თითქმის ყოველთვის სწორია მისი მართლწერა.

A → C                      V —რედაქტირებულია.

V-ს გადამწესხველი რომ მართლაც შემოქმედებითი ნიჭითაა დაჯილდოვებული, მხოლოდ უბრალო გადამწერი რომ არ არის და სტილისტურ მხარეს აქცევს ყურადღებას, ბევრი სხვა მაგალითითაც მტკიცდება:

- 1v: ἰσαγγέλου τούτου βίου /AC/—  
 ἰσαγγέλου βίου αὐτῶν /V/.

ბერძნულისათვის ორგანულია მსჭვლველ-საზღვრულის ასეთი (პოსტპოზიციური) წყობა. ასეც ასწორებს V.

<sup>9</sup> ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ბიზანტური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965, გვ. 5.

<sup>10</sup> ანალოგიური შემთხვევებია აღწესხული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნებში. გამომცემელი ასეთ კვალიფიკაციას აძლევს ამ ტიპის დარღვევებს: ზეპირი გამოთქმის გავლენით არასწორადა დაწერილი სიტყვებია. (ბერძნული სამართალი ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულიდან, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ბრეგვაძემ, თბ., 1964).

ანალოგიური შემთხვევებია:

2r: ὑπέρ τῆν ἐμὴν δόξαν /AC/—

ὑπέρ τῆν δόξαν μου /V/.

6v: τοὺς ἐκέλευε πατέρας /AC/—

τοὺς πατέρας ἐκείνους /V/.

13r: περί τοῦ ἁποστόλου διὰ τὴν ἀκατάβυστον ἀκαταλείπτως /AC/—

περί τοῦ ἁποστόλου διὰ τὴν ἀκατάβυστον ἀκαταλείπτως /V/.

ტავტოლოგიის თავიდან აცილების მიზნით V სრულიად შეგნებულად აკლებს სიტყვას *ἀκαταλείπτως*.

6r: ὁ θρασυμαστὸς Ἰωάννης /AC/—

ὁ θρασυμαστὸς οὗτος Ἰωάννης /V/.

οὗτος V-ს ჩაუმატებია, რადგან მთელ ტექსტში არის ტენდენცია ზედსართავთან ერთად საკუთარ სახელთან ნაცვალსახელის ხმარებისაც. ამიტომ V, როგორც სტილისტი, სრულიად სწორია.

9r: διὰ τὴν τὴν κυρίως ἐντολήν /AC/—

διὰ τὴν τὴν κυρίως ἐντολήν /V/.

სრულიად აუცილებელია τὴν ართრონი ჯერ A-ს გამოჩინება, აქედან ἐντολή უარტიკლოდ გადასულა C-ში, ხოლო V-ში იგი თავის ადგილზეა.

35v: AC-ში გვხვდება ფრაზა ὁ μέγας λέξω Ἐὐθύμιος, რომელიც სრულიად ზედმეტია თხრობის მიმდინარეობისათვის და V-რედაქტორს იგი ამოუღია კადეც. მას სწორად გაუთვლია, რომ შეუძლებელია მკითხველს ან მსმენელს ამ კონტექსტში სჭირდებოდეს შესხენება იმისა, რომ საუბარი ეხება ეფთვიმეს.

4v: καὶ λοιπὰ /AC/—καὶ τὰ λοιπὰ /V/.

V ხშირად ცვლის წინდებულებს, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც სტილისტური მოსაზრებით ხდება. ერთი პრევერბი, ჩვეულებრივ, შეცვლილია იმავე ფუნქციის მქონე სხვა პრევერბით. მაგალითად, კანონზომიერად ენაცვლებიან წინდებულები ἐκ და ἀπὸ genetivus-თან, სადაც მათი მნიშვნელობები ერთმანეთს კვეთენ.

3v: ἐκ γένους λαμπροῦ /AC/—ἀπὸ γένους λαμπροῦ /V/. ამ ფრაზას წინ უძღვის ἐκ χώρας Τάω λεγομένης, ე. ი. V არ იმეორებს წინდებულს ტავტოლოგიის თავიდან აცილების მიზნით.

ანალოგიური შემთხვევა:

3v: ἐκ γένους βασιλικῶν /AC/—ἀπὸ γένους βασιλικῶν /V/.

5r: ἐκ ψυχῆς /AC/—ἀπὸ ψυχῆς /V/

31r: ἐπεσον πρηγεῖς κατὰ γῆς /AC/—εἰς τῆν γῆν /V/

κατὰ-ს genetivus-თან აქვს მნიშვნელობა „საპირისპიროდ“, „საწინააღმდეგოდ“. იგივე მნიშვნელობის მატარებელია სიტყვა πρηγεῖς /πρηγῆς, ες—პირქვე დამხობილი/, ამიტომ სრულიად სწორია κατὰ-ს შეცვლა εἰς წინდებულთ (acc-თან აღნიშნავს ადგილს,-ზე). V-ს ვარიანტის ზუსტი თარგმანია „პირქვე დაემხო მიწაზე“.

ბევრი სიტყვის ბოლოს A-ს არ უხმარია მისაღმელი v. ვატიკანური ხელნაწერი ყველა შემთხვევაში ასწორებს კოზმანის ამ შეცდომასაც.

13v: ἐδήλωσε /AC/—ἐδήλωσεν /V/.

32r: ἔκαμε /AC/—ἔκαμεν /V/.

2r: εἰς φράσιν ἑλλητικῶν ἐνῆρον /A/—

εἰς ἑλλητικὴν δι᾿ ἑλλητικῶν ἐνῆρα /V/

C იმეორებს A-ს, მხოლოდ გაუსწორებია აშკარა შეცდომა ἑλλητικῶν]ἑλλητικῶν.

35v: ისევ სტელისტური მოსაზრებით, V-ში განოტოვებულია *νὰ ὑπάγη*. გადამწერი თავიდან აცილებს გამეორებას, რადგან ამ სიტყვებს ტექსტში წინ უძღვის ფრაზა: *καὶ φέλωντας νὰ ὑπάγη, καὶ μὴ θυναμένο* [*νὰ ὑπάγη*] *περιπατώντας ὡς γέρω*.

38 r: V-ს ჯერ დაუწერია, შემდეგ გადაუხაზავს სიტყვა *ταπεινὴν* გამეორების თავიდან აცილების მიზნით:


... τὴν ταπεινωσιν, ...τὴν [ταπεινὴν] προσεύχην, τὰ δάκρυα...

38 v-ზე გვხვდება ერთი საინტერესო მაგალითი: საკმაოდ ვრცელი ფრაზა არის V-ში და არ არის AC-ში. ეს ფრაზაა: ἔμεν ἔγειν ἢ τῶν Ἰβήρων λαῖρα διὰ μέσου τοῦ πόλις μακάρων, καὶ διὰ τὰ ἐπιφῶ καλλιότερων, πόλις Θεῶν, διὰ τὴν ὁποιαν καὶ ὁ προφητάναξ Δαβὶδ προφητῆσαν...

ზედმეტ ფრაზას უჭირავს ზუსტად ერთი სტრიქონი, ხოლო მისი მომდევნო სტრიქონი იმავე სიტყვით — *πόλις* — იწყება, ამიტომ ადვილად შეიძლებოდა კოზმანს ეს სტრიქონი გამოეტოვებინა. თხრობის შინაარსიც ხომ ამ ფრაზით არ ირღვევა (A-დან მოღის C-ს ყველა შეცდომა, ამიტომ ეს ფრაზა C-შიც არ არის).

πόλις μακάρων, καὶ διὰ τὴν εἰπεῖν καλλιότερον,  
πόλις Θεοῦ...

მამსალადმე, ამ შემთხვევაშიც  $V \rightarrow A$  გამორიცხულია და ისევ მტკიცდება  $X \rightarrow V$  და  $A \rightarrow C$  მიმართება.



ანალოგიური შემთხვევა:

19v: Ἐκ τῶν ὁποίων τοὺς πολλοὺς κόπους ἐσυνέβη ἀσθένεια μεγάλη εἰς αὐτόν /AC/—ἐκ τῶν ὁποίων ἀπὸ τοὺς πολλοὺς κόπους ἐσυνέβη ἀσθένεια μεγάλη εἰς αὐτόν /V/.

ἀπὸ ამ წინადადებაში აუცილებელი ელემენტია შინაარსის გასაგებად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ A-ს იგი მექანიკურად გამოირჩა და C-მაც უკონტროლოდ გადაიღო.

3r: καθὼς καὶ ἐνταῦθα εἰς τὰ μεναῖα τῶν ἰβήρων τῇ ἰδίᾳ διαλέκτῳ ἔστιν ἰδεῖν, με ἀκολουθίας... /AC/—καθὼς καὶ ἐδῶ εἰς τὰ ἰβηρίτικα μεναῖα εἰς τὴν ἐδικὴν τοὺς διάλεξιν φαίνοντας με ἀκολουθίας... /V/

ერთი და იგივე აზრი სხვადასხვა სიტყვებითაა გადმოცემული.

ზოგჯერ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც კი თავსდება ჩვენს სქემაში:

19v: ἐπειδὴ ὁ πατήρ του, διὰ τὴν μάθη τὰ γράμματα, τὸν ἄφισεν εἰς τὴν πόλιν, καὶ ὕστερον ἄφ' οὗ τὰ μάθη, τὴν ὑπάγη εἰς τὸν Ἄθωνα τὴν γίνῃ μοναχός—ფრჩხილებშია ჩასმული A და C-ში, რაც V-ს საჭიროდ არ მოუხნევია.

21r: ფრანზა καὶ ὁ τῶν θάμματος AC-ფრჩხილებშია, V-ში — ფრჩხილებს გარეშე.

2r: ψυχὰς μας /AC/—ψυχὰς ἡμῶν /V/.

14r: με χαρὰν /AC/—με πολλὴν χαρὰν /V/.

3v: ἀπάντων /AC/—ἀπὸ ὅλους /V/.

5r: ὁ δὲ ποιῶν τὸ θῆλημα τοῦ θεοῦ μένει εἰς τὸν αἰῶνα /AC/—ὁ δὲ ποιῶν τὸ θῆλημα αὐτοῦ τοῦ θεοῦ μένει εἰς τὸν αἰῶνα /V/.

ზოგიერთი ფრაზა V-ში საერთოდ არ არის, რაც ნიშნავს, რომ V→A შეუძლებელია (არა აქვს მნიშვნელობა V-მ შეგნებულად გამოტოვა თუ გამოორჩა).



33 V: *αἱ περιπέητος ἀπέβηξε* /AC, —V/.

40 r: *τῶν ἀλώων* /AC, —V/.


უნდა გაიკვეს კიდევ ერთი საკითხი: აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით ერთ (X) პროტოგრაფზე. ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ არსებობდა ათონელთა „ცხოვრების“ სხვა ვარიანტები, რომელთაც იგივე ბედი ეწიათ, რაც X-ს, დაიკარგნენ! თუ ლიტერებს გამოვიყენებთ, დასაშვები ხომ არ არის ასეთი ვარიანტიც:

$$x \rightarrow A \quad x' \rightarrow V$$

ასეთი დაშვება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი არაა მართებული. ტექსტების შედარებით მტკიცდება, რომ კოზმანი იყენებს ერთ დედანს.

12r: *τῆς χάρων τῶν χάρη* 'Ιωάννου... /A=V/.

ეს ისეთი აშკარა შეცდომაა (genetivus-ში *χάρως*, *χάρη*), რომ ვით C-საც, რომელიც ხშირად ბრმად ენდობა A-ს, დაუნახავს და გაუსწორებია:



რა მიმართებაშია C დანარჩენ ტექსტებთან?

ზოგჯერ C სხვაობს ათონური ხელნაწერისაგან. განვიხილოთ ეს კითხვა-სხვაობანი იმ თვალსაზრისით, ხომ არ უქმნიან ისინი საფრთხეს A→C მიმართებას, რომელსაც აქამდე ვამტკიცებდით.

სიტყვა *χαμία* C-ში იწერება ორი μ-თი:

8v; 1v; 20r; 22r; 32v;

თხულებს დასაწყისში (AV ნუსხები) საუბარია იმაზე, რომ საჭიროა არსებობდეს იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონლების „ცხოვრება“, რომელსაც უნდა კითხულობდნენ და ბაძავდნენ ამ მოღვაწეთა ქველ საქმიანობას. ერთი სიტყვით, ეს არის ზოგადი ხა-



სიათის თხრობა, რომლის მიზანია მკითხველს თუ მსმენელს დაანახოს, დაუმტკიცოს, რომ ათონის ქართველთა მონასტრის მოღვაწეებმა სავსებით დაიმსახურეს ეს ყურადღება. კოზმანს უკვე ნიკოლოზს ეს პასაჟი უცვლელად გადმოუღიათ დედნის იმ ცალკე ნაწილში, რომელიც, ალბათ, 13 მაისს — ეფთვიმეს ხსენების დღეს — იკითხებოდა (A, 3r; V, 40 v).

რაც შეეხება C-ს, მის წინაშე უკვე აღარა დგას ამოცანა, რომ მრევლს გაახსენოს ან გააგებინოს ქართველ ათონელთა არსებობა და მათი მოღვაწეობა. იგი ხომ შემდგენელია დიდი კრებულისა, რომელშიც გაერთიანებულია ყველა სახის თხზულება, რომელიც მთაწმიდის ქართველ მოღვაწეებზე დაწერილია და რომლებშიც შესანიშნავად ჩანს მათი ღვაწლიცა და დამსახურებაც.

ამიტომ სავსებით კანონზომიერია პროსკინეტარიონის რედაქტორს ეს პასაჟი საერთოდ ამოეღო.

C-ში გვხვდება ერთი ფრაზა, რომელიც არ არის არც A-ში, არც V-ში:

...την δε μαθήτη τον θάϊον πατέρα ἡμῶν Ἐμμανουὺς κατὰ τῆν ἡμερῶν... ἡμῶν...

...ἡμῶν δὲ κατὰ τῆν ἡμερῶν ἡμῶν ἑορτάζομεν ἱμοῦ τῆν μαθήτην καὶ τῶν τριῶν τούτων θάϊων πατέρων, καὶ ἀρχτέρων Ἰωάννου, Ἐμμανουὺς καὶ Γεωργίου...

სავარაუდოა, X-ში ეფთვიმეს ხსენებას დღე არ ყოფილიყო აღნიშნული. იგი იკითხებოდა 13 მაისს (ამ თარიღს უნდა გულისხმობდეს *κατὰ τῆν ἡμερῶν ἡμῶν*). ასევე უთარილოდ (თარიღის აღუნიშნავად) გადმოუღიათ A და V-ს, თუმცა A-ს 4 r-ზე XIX საუკუნის ხელით მიწერილია იგივე ფაქტი. უნდა ვიფიქროთ; რომ ეს მინაწერი და რამდენიმე უმნიშვნელო ჩასწორება თვით ტექსტში, შესრულებული ამავე ხელით, პროსკინეტარიონის შემდგენელის საქმიანობაა.

ზემოთქმულიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ არავითარი „უთანხმოება“ A და C-ს შორის არ არსებობს. პროსკინეტარიონის რედაქტორს ათონური ნუსხის ტექსტი გამოსაცემად მოუშაადებია.

გამოდის, რომ 1857 წლისათვის, როცა ეს კრებული დგებოდა, უკვე ხელმისაწვდომი აღარ იყო ან დაკარგული იყო პროტოგრაფი, დედანი (X). ისიც ცხადია, რომ V ნუსხა, შემდგომში ვატიკანის ბიბლიოთეკის საკუთრება, ადრევე წაუღიათ ათონიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია, ისინი (X და V) გამომცემელს არ გაეთვალისწინებინა.

ათონელთა ბერძნულ ენაზე შექმნილი „ცხოვრება“ არ არის დიდი მოცულობის ნაწარმოები. კითხვა-სხვაობანი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, თანაბრად არ ნაწილდება თხზულების ყველა ადგილზე. ცენტრალურ ნაწილში (ათანასე ათონელის ანდერძი, ეფთვიმეს საწაულები) ვარიანტების რიცხვი მინიმუმამდე დადის და უმნიშვნელო ხასიათისაა.

Βίος και πολιτεία-ს ცნობები ივირონის ძტიტორთა  
შესახებ და მათი გიგარტება ათონელთა ქართულ  
„ცხოვრებებთან“

ათონის მთის ქართველთა მონასტრის ქტიტორთა ბერძნული „ცხოვრების“ კვლევისას გვერდს ვერ ავუვლით ერთ ფრიად საინტერესო საკითხს: რა წყაროებით სარგებლობდა თხზულების ანონიმი ავტორი, რომელიც XVIII საუკუნის 40—50-იან წლებში ადგენდა თავის ნაწარმოებს.

„Βίος και πολιτεία“ წარმოადგენს კომპლაციურ ნაწარმოებს. როგორც აღვნიშნეთ, იგი შედგება სამი სხვადასხვა „ცხოვრებისაგან“: მაგრამ ჩაფიქრებულთა და აღიქმება, როგორც ერთიანი, ერთი მიზნითა და დანიშნულებით დაწერილი თხზულება. ანალოგიური შედგენილობის ვერც ქართული, და მით უმეტეს, ვერც ბერძნული ნაწარმოები ავტორს ნიმუშად ვერ ექნებოდა. ამის გამო, ცხადია, იგი თითოეულ ნაწილისათვის იყენებდა და ეყრდნობოდა სხვადასხვა წყაროს.

თხზულების შესავალში თვით ავტორი ასახელებს ორ წყაროს: ქართულენოვანს (რომელზედაც ჩაწერილია ყველაფერი ათონელთა მოღვაწეობის შესახებ და რომელსაც ის გაცნობია ქართული ენის მკოდნეთა დახმარებით) და ბერძნულენოვანს (ცნობები, რომლებიც მას შეუტკრებია სხვადასხვა ადგილას ბერძენი მოსახლეობისაგან). მასადაამე, ავტორისავე ცნობით, მას ზელთ ჰქონია წერილობითი (ქართული) და ფოლკლორული (ბერძნული) წყაროები.

ნაწარმოებზე მუშაობამ დაგვანახა, რომ დასახელებულ წყაროებს უნდა მიემატოს ბერძნული წერილობითი წყაროები. მხედველობაში გვაქვს ათანასე ათონელის 984 წლის ცნობილი სიგელი იოანე იბერისადმი.

იცნობს თუ არა „Βίος και πολιτεία“-ს ავტორი მთაწმიდელთა ქართულ „ცხოვრებებს“ — მათი ბიოგრაფიის ყველაზე უფრო სანდო წყაროებს? (ივულისხმება „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“, „გიორგი



მთაწმიდლის ცხოვრება“ და ეფთვიმე ათონელის „ცხოვრების“ ორი სვინაქსარული რედაქცია).

ამ „ცხოვრებებიდან“, როგორც „Βίος και πολιτεία“ -ს წყარო, უნდა გამოვირიცხოთ „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“ გიორგი მცირისა და ეფთვიმის ცხოვრების მეორე სვინაქსარული რედაქცია.

„გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“ არ შეიძლება წყარო ყოფილიყო ბერძნული „ცხოვრებისათვის“ იმიტომ, რომ, როგორც გაირკვა, ჩვენი ავტორი გიორგი ქტიტორის ქვეშ გულისხმობს არა გიორგი ათონელს, არამედ გიორგი დიდს და მასწენებელს, ივირონის III წინამძღვარს. რაც შეეხება ეფთვიმე მთაწმიდლის „ცხოვრების“ II სვინაქსარულ რედაქციას, ე. გაბიძაშვილს დადგენილი აქვს, რომ ეს რედაქცია გვიანდელი, 1726 წლისაა, ერთადერთი ნუსხითაა ცნობილი (A-220) და წარმოადგენს ეფთვიმეს ცხოვრების სრული რედაქციის შემოკლებულ პერიფრაზს<sup>11</sup>.

ეს სვინაქსარული ცხოვრება ეფთვიმე მთაწმიდლის ვრცელ ცხოვრებასა და სვინაქსარული ცხოვრების XI საუკუნის რედაქციასთან შედარებით გაცილებით დაბალი მხატვრული ღირებულების ძეგლია. იგი შედგენილია სპეციალურად A-220 „სვინაქსარისათვის“, რომლის შემდგენელს ხელთ არ ჰქონია ეფთვიმეს გავრცელებული სვინაქსარული ცხოვრების ნუსხა<sup>12</sup>.

ამდენად, გამორიცხულად მიგვაჩნია, რომ ეს რედაქცია რაიმე გზით წყარო გამხდარიყო ბერძნული „ცხოვრებისათვის“.

ათონელთა ქართული „ცხოვრებებიდან“ „Βίος και πολιτεία“-ს ავტორი იყენებს ორ დანარჩენ „ცხოვრებას“: გიორგი მთაწმიდლის „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებას“ და ეფთვიმეს ცხოვრების სვინაქსარულ რედაქციას.

ეს უკანასკნელი გამოცემული აქვს ე. გაბიძაშვილს (I გამოცემა ეკუთვნოდა მ. კახაძეს ივ. ჯავახიშვილის დავალებათა და მითითებათა თანახმად)<sup>13</sup>. გამომცემელი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ეფთვიმეს ცხოვრების ეს რედაქცია — ორიგინალური ქართული სვინაქსარული ცხოვრების I ნიმუში — ვრცელ ცხოვრებაზე ადრინდელია და მის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. იგი შექმნილი უნდა იყოს ეფთვი-

<sup>11</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, 1965, გვ. 264—265.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 267.

<sup>13</sup> გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმის, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბ., 1946, გვ. 56—61.

მეს გარდაცვალებისთანავე ათონის მთის ქართველთა მონასტრის ეფთვიმეს თანამედროვე მოღვაწის მიერ 1028—9 წლებში<sup>14</sup>. ეს ცხოვრება შესულია გიორგი ათონელის ნათარგმნ „დიდი სვინაქსარის“ ჩვენამდე მოღწეულ ყველა, 50-ზე მეტ ნუსხაში<sup>15</sup>.

ცხადია, ეს თხზულებაც, ისევე როგორც „იოანესა ცხოვრება“, ადვილი ხელმისაწვდომი იქნებოდა ათონზე მოღვაწე მწიგნობართათვის

ქვემოთ მოვიყვანთ „Βίος και πολιτεία“-ს ცნობებს დიდი ქართველი ათონელების შესახებ და მივუთითებთ შესაბამის ადგილს ქართული წყაროებიდან.

1. „იოანე, მეფეებთან სიახლოვითა და სხვადასხვა საგმირო საქმეებით ცნობილი კაცი, წარმოშობით იყო ქართველი, ქვეყნიდან, რომელსაც ეწოდება ტაო, ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი“<sup>16</sup>. — „ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი; მშობელთა და პაპათაჲთგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოჲ მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მკნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა...“<sup>17</sup>.

2. „ზუსტად ვერ ვიტყვით, თუ ვინ იყვნენ მისი (იოანეს—მ. მ.) მშობლები, ხოლო მათგან, ვისაც ქართულ წიგნებში ამოუკითხავს, შევიტყვით, რომ ისინი ყოფილან სამეფო გვარიდან“<sup>18</sup>.

თუმცა „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ იოანე იყო „მშობელთა და პაპათაჲთგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოჲ“, თვითონ კი — „ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად კსენებულისა დავით კურაპალატისაჲ“<sup>19</sup>, მაგრამ გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ეს ცნობა არ უდევს წყაროდ ბერძნული ტექსტის ზემომოტანილ ნაწყევტს, რადგან სოციალურ ტერმინ „საკუთარის“ ზუსტი მნიშვნელობა დადგენილი არ არის.\*

3. როგორც ავტორი აღნიშნავს, მას გადმოცემით შეუტყვია, რომ იოანე სამეფო კართან ფრიად დაახლოებული პიროვნება ყოფილა: „გადმოცემა მის შესახებ გვამცნობს, რომ აღზევებული და ცნობილი შეიქნა ქართველ მეფეთა კარზე, რომლებიც იმ დროს, დიდი იობისა არ იყოს, ყველაზე კეთილშობილნი იყვნენ მთელს აღმოსავლეთში“ (§ 2).

<sup>14</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. IV..., გვ. 46—96.  
<sup>15</sup> იქვე, გვ. 53.  
<sup>16</sup> Βίος..., § 2.  
<sup>17</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, გვ. 42.  
<sup>18</sup> Βίος..., § 2.  
<sup>19</sup> ძეგლები, II..., გვ. 42, სტრ. 14—15, 19—20.

\* „საკუთარის“ ეტიმოლოგიური მიმწინელობისათვის იხ. ილ. აბულაძე, ძველა ქართულის ლექსიკიდან. საკუთარი. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 157—175.

იოანე რომ მიღებული კაცი იყო ქართველ მეფეთა კარზე, „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებიდანაც“ მშენებრად ჩანს, მაგრამ, უეჭველია, ქართული ცხოვრების ამ ნაწილს ზუსტად არ იცნობს „Βίος“-ის ავტორი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი, ალბათ, უფრო სრულად გამოიყენებდა ქრისტოპოლის ზოგადობისა და უზუსტობის კვალი ჩანს „იოვანეს ცხოვრების“ დასაწყისში — იმ ნაწილში, რომელშიც ლაპარაკია სწორედ იოვანეს წარმომავლობაზე ოჯახზე, წრეზე (იხ. § § 2—3).

4. „კეთილშობილებამ, საქვეყნო საქმეების წარმართვის ღრმა ცოდნამ და ბრწყინვალე განათლებამ იოანე აქცია ქართველთა მაშინდელი მეფის რჩეულად: მის პროტოსიმულატორად და სვინგელოზად, რაც ქართველებში დიდ პატივად ითვლება და მხოლოდ ღირსეულთა ხვედრია“ (§ 2).

ცნობა იმის შესახებ, რომ იოანე პროტოსიმულატორი და სვინგელოზი ყოფილა ქართველთა მეფისა<sup>20</sup>, არა გვხვდება ათონელთა ქართულ „ცხოვრებებში“. ტერმინი „პროტოსიმულატორი“ (სიტყვა-სიტყვით — პირველი მრჩეველი) უცნობია ქართული დიპლომატიკური ტერმინოლოგიისათვის, ვერ დავძებნეთ იგი ვერც ბერძნულ წყაროებში. ტერმინი ხელოვნურად შექმნილის შთაბეჭდილებას ტოვებს; რაც შეეხება სვინგელოზს, იგი ცნობილი ტერმინია ქართულ ძეგლებში, რომელიც ათონსაც უკავშირდება, როგორც იოანე თორნიკ-ყოფილის წოდება. ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „სვინგელოზი, სუნკელი“ განმარტებულია როგორც პატრიარქის თანამემწე ბერი<sup>21</sup>.

ძნელი საფიქრებელია ბერძენი ავტორი შემთხვევით და ხელოვნურად უკავშირებდეს ამ წოდებებს იოანეს სახელს. ამ ცნობათა წყარო მით უფრო საინტერესო და საძებარია, რომ ქართული „ცხოვრებანი“ მას არ იცნობენ.

5. „Βίος“-ში ვკითხულობთ: „იოანემ სულითა და გულით შეიძულა სოფელი და თვლიდა, რომ უპირველესი მტერი ადამიანისა სხვა არაფერია, თუ არა ეს ქვეყანა... და ის გაურბის მას, ტოვებს ყველაფერს: სიმდიდრეს, რომელსაც მე ვუწოდებდი სახრჩობელას სულისას; დიდებას — სიქველის უგულო ტირანს; უფლებებს, ღირსებას, საქმეს; მეფის წყალობებს, ცოლს — უდიდეს სიმძიმეს ამ სოფლიდან ლტოლვისას; შვილებს — ამ ხმალს, რომელიც ორად აბობს ყოველ გულს, რომელმაც განიზრახა ხელი მიჰყოს მსგავსს საქმეებს; მსახურებს, მხევლებს, მამულს... იოანემ უარი თქვა საყუ-

<sup>20</sup> Βίος..., § 2.

<sup>21</sup> ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973, გვ. 406.

თარ თავზე, ისმინა რა სახარების შეგონება: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ-ჰყავს თავი თვისი და ისმინოს სიტყუანი ჩემნი“<sup>22</sup>

ზემოთ მოტანილი ნაწყვეტი თხზულებისა შთაგონებული უნდა იყოს „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ შემდეგი პასაჟით: „ხოლო ვინაფთგან ცეცხლი იგი ქრისტეს-სიყუარულისაჲ გულსა მისსა მამაფრად აღეტყინა, ყოველივე დიდებამ ამის სოფლისაჲ შეურაცხ-ყო და ნაგევად შეპრაცხა და მონაგებნი და სიმდიდრე და განსუენებამ. მუღლუე და შვილნი თვისნი და ნათესავნი და, რაოდენიცა რამ არს ამის სოფლისაჲ, სრულიად მოიძულა და უგულუბელს-ყო და მერმე კუალად თავიცა თვისი, სიტყუსაებრ უფლისა“<sup>23</sup>.

6. იოანეს ბერად შედგომის ეპიზოდი ბერძნულ „ცხოვრებაში“ შემდეგნაირადაა გადმოცემული: მას შემდეგ, რაც იოანემ უარი თქვა საკუთარ თავზე, „მივიდა ერთ მონასტერში, რომელიც მის სამშობლოსთან ახლოს მდებარეობდა და რომელშიც ექვსი ბერი — ექვსი ქველი ადამიანი სახლობდა, მაშინვე შევიდა შიგ, გაიხადა ბრწყინვალე სამოსი, რომელიც ტანთ ემოსა... შეიმოსა ბერის სამოსი და იმავე მონასტერში ეკურთხა ბერად“ (§ 2).

„იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ მიხედვით, იოანემ „კურთხევაჲ მონაზონებისაჲ“ მიიღო მოსესა და გელასისაგან — ოთხთა ეკლესიის მამებისაგან.

IX საუკუნეში აგებული ქართული უზარმაზარი ბაზილიკა — ოთხთა ეკლესია, ანუ დორთქილისე, რომელიც ისპირის ხეობაში მდებარეობს, „Βίος“-ის შექმნის დროს, XVIII საუკუნეში, თურქეთის ტერიტორიაზე, ე. ი. მართლაც „იოანეს სამშობლოსთან ახლოს“ მდებარეობდა, ამიტომ, შესაძლებელია, „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ „ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა“-ს გულისხმობდეს ბერძნული „ცხოვრების“ ის მონასტერი, რომელშიც იოანემ პარველკურთხევა მიიღო.

7. „Βίος και πολιτεία“-ს § 3-ში ვკითხულობთ: „იოანემ დატოვა ეს ექვსი წმიდანი და მივიდა კოლხად წოდებულ მთაზე მდებარე მონასტერში, რათა იქ, როგორც შრომისმოყვარე ფუტკარს, შეეგროვიბინა სიქველის თაფლი იქ მცხოვრები ასკეტებისაგან“.

ეს ფაქტი სრულიად უცნობია ქართული წყაროებისათვის და, ამგვარად, კვალიფიცირებული უნდა იქნას, როგორც ახალი ცნობა იოანეს ბიოგრაფიისათვის.

<sup>22</sup> Βίος..., § 2.

<sup>23</sup> ძეგლები..., II, გვ. 42, სტრ. 21—27.

შევეცადოთ დავადგინოთ კოლპის გეოგრაფიული მდებარეობა. მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიაში“ ვკითხულობთ: „წმინდა იოანემ, რომელიც თავდაპირველად მივიდა კლოიერსის მონასტერში (dans un couvent de kaloïers), შემდეგ კოლპის მთაზე დასახლდა მთაზე, გაიგო რა ათანასეს შესახებ, მისკენ გაეშურა“<sup>24</sup>.

ბროსეს თქმით, მას ეს ცნობა ამოუკითხავს მოსკოვის საპატრიარქო ბიბლიოთეკის № 436 ბერძნულ ხელნაწერში — „ათანასე ათონელის ცხოვრებაში“<sup>25</sup>.

„ქართული მონასტრების ისტორიაში“ პ. პეტერსი მ. ბროსეს ამ განცხადებას სამართლიანად უწოდებს ყალბს, რადგან არაფერი ამ ცნობის მსგავსი არ მოიპოვება არც დასახელებული ხელნაწერის მიხედვით პომიალოვსკის მიერ გამოცემულ „ათანასე ათონელის ცხოვრებაში“ (BHG 187), არც მეორე ცხოვრებაში, რომელიც ლ. პეტის მიერაა გამოცემული (Anal. Boll. XXV, 5—87)<sup>26</sup>.

ცნობა იმის შესახებ, რომ იოანე მართლაც იყო კოლპის მონასტერში, პეტერსისათვის „ათონური პატერიკიდან“ გამხდარა ცნობილი. ამავ კრებულში, განსხვავებით „Ἰωάννου ἐν τῷ ἁγίῳ ἄρειῳ καὶ τῷ πατρῷ“-ისაგან, რომლის თარგმანსაც წარმოადგენს „ათონური პატერიკი“, ნათქვამია, რომ კოლპა იბერიის მიწაზე მდებარეობსო, — დასძენს მკვლევარი და იქვე ამბობს, რომ ასეთი დასახელების ადგილი არსებობს გუგარქში (Gogarene) და იგი უნდა განვასხვაოთ სომხეთის პაირარატის პროვინციის მთა და სოფელ კოლპისაგანო (H. Hubschmann, Die altarmenische Ortsnamen, Argenterati, 1914, p. 356)<sup>27</sup>.

მართლაც, „Βίος καὶ πολιτεία“-ში შესაბამის ადგილას იკითხება: „...ἐξ ἑνὸς τῶν ἱερῶν τῆς Κολπῆ λεγόμενον...“<sup>28</sup>, ხოლო „ათონურ პატერიკში“ — „Иоанн перешел в монастырь, [тоже в Иверии], бывший на горе, так называемой Колпа“<sup>29</sup>.

პ. პეტერსის მსჯელობის მეორე ნაწილის გამყარების მიზნით დავსძენთ, რომ, მართლაც, საქართველოსა და სომხეთის ისტორიული გეოგრაფია იცნობს ორ პუნქტს კოლბი|კოლბის სახელწოდებით.

<sup>24</sup> M. Brosset, Histoire de la Géorgie, I, St. Peterbourg, 1849, გვ. 303.

<sup>25</sup> იქვე;

<sup>26</sup> P. Peters, Histoires monastiques Géorgiennes, Bruxelles, 1923, გვ. 16, სვ. 6.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 93.

<sup>28</sup> Βίος καὶ πολιτεία, § 3.

<sup>29</sup> Афонский чатерик или жизнеописания святых, на святой Афонской горе просиявших, М., 1897, с. 408.

ციხე კოლბი უკვე IV—VI საუკუნეებში არსებულა საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ეს აღნიშნულია ამ ეპოქის საქართველოს რუკაზე<sup>30</sup>.

ს. ერემიანის მიერ გამოცემულ ანანია შირაკელის „სომხეთის გეოგრაფიაში“ დიფერენცირებულია ორი გეოგრაფიული კოლბის სახელწოდებით: ერთი მათგანი (თანამედროვე სოფელი კოლბი ანუ ტუზლუჯა), რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ქმნიდა არცაჰის ნაპანგის XIV გავარს, წარმოადგენდა საეკლესიო ცენტრს. ეს გავარი ამჟამად მოქცეულია დასტაფურის რაიონში (პაი-რარაატის პროვინცია სწორედ ამ ტერიტორიას მოიცავდა)\*.

მეორე კოლბი (ან კოლბოფორის გავარი), რომელიც გუგარქის საპიტიახშოს III გავარი ყოფილა, მდებარეობს მდ. კოლბის ხეობაში (ამჟამად ნოემბრიანის რაიონი). მისი ცენტრი ციხით ქართული სამეფოს ერთეულად ითვლებოდა IX ს-მდე<sup>31</sup>.

გუგარქის საპიტიახშო შედიოდა ლორე-ტაშირის სამეფოს შემადგენლობაში. არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ იოანე ათონელი სწორედ ამ ტერიტორიაზე ყოფნის შემდეგ გადასულა ულუმბოს მონასტერში (ბითვინიის ოლიმპზე), ბოლოს კი — მთაწმიდაზე.

მ. ბერძნული „ცხოვრებით“ იოანეს მარშრუტის შემდგომი პუნქტია ოლიმპოს მთა: „იოანემ გაიგო, რომ ოლიმპოს მთაზე იყვნენ სიქველემი გამოცდილი და ღირსეული მოღვაწენი... როცა წყურვილით აღძრული იოანე იქ მივიდა, მიხვდა, რომ საჭიროებდა სრულყოფას იქაურ მამათაგან, ამიტომ ერთხანს იქ დარჩა“ (B:14... § 3).

გიორგი მთაწმიდლის თხზულებების მიხედვითაც, ათონზე მისვლამდე იოანემ კარგა ხანი დაყო ოლიმპოს მთაზე.

ოთხთა ეკლესიაში მისი ყოფნის გამომჟღავნების შემდეგ, იოანემ, რომელიც „ველტოდა დიდებასა კაცთასა“, „საბერძნეთის ქუეყანად მიჰპართა... და ესრეთ მთასა ულუმბოძსასა მიიწია და მონასტერსა ერთსა შინა ჟამთა არა-მცირედთა ჯორთა მსახურებისა ღუაწლი ახოვნად თავს-იდვა და სხუანი უნდონი მსახურებანი და შეურაცხნი სიმაბლით აღასრულა“<sup>32</sup>.

<sup>30</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, რუკა 96-ე გვ-თან.

<sup>31</sup> M. S. ნ. კ. მ. ი. ა. ნ., ლაკაიოთანი, რუმ „სქესარაფიე“-ქ, სესქანი, 1963, გვ. 59—60.

<sup>32</sup> ძეგლები., II, გვ. 43, 9—14.

\* კოლბი || კოლბი მონაცვლეობა სახეებით: კანონზომიერი ბგერათმონაცვლეობაა ქართულსა და სომხურ ენებში. წინააღმდეგობას არ ქმნის არც კოლბი || კოლბი || კულბი მონაცვლეობანი.



მამასადამე, იოანემ ბერად შედგომიდან ათანასე ათონელის დიდ ლავრაში დამკვიდრებამდე მოიარა შემდეგი მონასტრები: ოთხთა ეკლესია, ულუმბოს მთა (ბითვინია, მცირე აზია), ათანასეს ლავრა (ათონზე) გიორგი ათონელის „იოანესა და ეფთვიემს ცხოვრებულს“ მიხედვით; ხოლო „Βίος και πολιτεία“-ს მიხედვით: ტაოსთან ახლოს მდებარე რომელიღაც მონასტერი, კოლპის მთა, ოლიმპო, დიდი ლავრა.

9. ბერძნული ცხოვრებით, ათანასე ათონელმა იოანე ლავრაში მისვლისთანავე გამოარჩია და ჰპოვა მასში ჭეშმარიტი მორწმუნე, ერთგული დამხმარე და კარგი მრჩეველი ყოველგვარ საქმეში. იოანე ვახდა ათანასესთან ფრიად დაახლოებული პიროვნება. „ყველა, ვინც ზედავდა მათ, მიიჩნევდა ორ სხვადასხვა სხეულში მცხოვრებ ერთ სულად“ (Βίος, § 4). დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა იგი დიდ ლავრაში და თითქმის ათანასესთან ერთად დაბერდა. შემდეგ „Βίος“-ში ნათქვამია, რომ ნათესაეების მრავალგზისი თხოვნითა და იმპერატორ ბასილის სამეფო წარსაგებელით იოანემ აღმართა საკუთარი ლავრა იმ ადგილას, სადაც თავდაპირველად იყო წინამორბედის პატარა ეკლესია—კლიმენტოსი, ვილაც ბერი კლიმენტოსის მიერ აშენებული ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდის დროს (IV ს.). მონასტერს ივირონი („ქართველთა“) ეწოდა<sup>33</sup>.

გიორგი მთაწმიდლის თხზულებაში ქართველთა დიდი ლავრი-საგან გამოყოფის ამბები უკავშირდება იოანე თორნიკ-ყოფილის სახელსაც. ათონზე მისი მისვლის „შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, განითქუა ჰამბავი მათი (იოანესი და თორნიკესი—მ. მ.)... იწყეს მიერთვან ქართველთა მოსლვად და განმრავლებად“ და ამიტომ „განიზრახეს, ვითარმედ, „არა ჯერ-არს ჩუენი მონასტერსა შინა ყოფაჲ, რამეთუ სხუანიცა მოგუმართებენ“... და ესრეთ განზრახვითა მამისა ათანასესითა ლავრისაგან განშორებულად, ვითარ მილიონ ერთ. უდაბნოსა შუენიერსა, წმიდისა იოანე მახარებლისა ეკლესიაჲ აღაშენეს“<sup>34</sup>.

ღვიქრობთ. „Βίოს“-ის ზემოთ მოყვანილი ცნობა გიორგი ათონელის ნაწარმოებიდან არ მომდინარეობს: ქართული „ცხოვრება“ არ იცნობს იოანე მახარებლის ეკლესიის თავდაპირველ სახელს—კლიმენტოსს, ხოლო ბერძნული—თორნიკეს არ ახსენებს.

10. „Βίος και πολιτεία“-ს § 5-ში, რომელსაც პირობითად ვუწოდებთ „ათანასე ათონელი იოანეს შესახებ“, ჩართულია 984 წლის ქრილობული იოანე იბერისადმი<sup>35</sup>.

<sup>33</sup> Βίος..., § 4, აგრ. § 12.

<sup>34</sup> ძეგლები..., II, გვ. 45, 3—13.

<sup>35</sup> გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩი-შვილის თარგმანითა და კომენტარებით, ტ. VIII, გვ. 172—174.

თხზულების ამ მონაკვეთისა და სიგელის გამოცემული ტექსტის შედარებამ დაგვანახა, რომ ავტორი უშუალოდ იცნობდა ამ წყაროს „ცხოვრების“ § 5 წარმოადგენს ქრისობულის თითქმის სიტყვასიტყვით გადმოცემას.

ბიზანტიის იმპერატორები რომ წყალობას არ აკლებდნენ ივირონს, მშვენივრად ჩანს „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებიდანაც“: „და ეგრეთვე ღმრთის-მსახურთა მეფეთა, ვინაფთგან ესევეთარნი მსახურებანი ჰმსახურნეს და დიდნი საქმენი უქმნეს, რომელნიცა ადგილნი და სოფელნი სთხოვნეს, ყოველნი ოქრობეჭდითა დაუმტიცნეს, რომელნი-იგი მრავალცა არიან და რჩეულ ფრიად“<sup>36</sup>. ამავე თხზულებიდან ვგებულობთ, რომ ქართველებმა „დიდნი საფასენი და მრავალნი ტურფანი შესწირნეს დიდსა ლავრასა“, და არა მარტო დიდ ლავრას, არამედ „ყოველთა მონასტერთა მთაწმიდისათა, რომელნი-იგი მას უამსა წუთთა გლახაკ იყვნეს და არა განმრავლებულ ესოდენ“<sup>37</sup>. გიორგი მთაწმიდელი საგანგებოდ საუბრობს ზემოთ დასახელებულ ქრისობულებზე ან „ოქრობეჭდებზე“, რომელნიც იოანე ციმისხისა და ბასილი II უბოძებიათ იოანესათვის, ამ უკანასკნელს კი ათანასეს ლავრისათვის გადაუცია: „დიდსა უკუე ლავრასა მისცეს ოქრობეჭედი განძისა ორას ორმეოცდა ოთხისა დრაჰკნისა, ჩიმიშკისა ბოძებული იოვანესდა, და ესე ყოველთა წელთა აქუს პალატით ლავრასა, და კუნძული, რომელსა ნეოს ეწოდების, ბასილ მეფისა ბოძებული იოვანესდავე, რომლისაგან გამოვალს გამოსავალი ყოველთა წელთა ათორმეტი ლიტრაჲ, განა ათხუთმეტი და ოდესმე ოციცა“<sup>38</sup>. ამას მოჰყვება ვრცელი სია სხვა წყალობათა, რომელიც დიდ ლავრას მიუღია ქართველთა მონასტრისაგან. სიას გიორგი მთაწმიდელი ამთავრებს სიტყვებით: „ესე ყოველი თვთ წმიდისა მამისა ეფთვუმეს ჯელთა ნუსხისაგან დაგვწერია, ვინაჲცა ჭეშმარიტ არს და უტყუველ“<sup>39</sup>.

11. სიკვდილის შემდეგ იოანეს გვამი დაუკრძალავთ მისსავე მონასტერში<sup>40</sup>.

„იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებით“ ვიგებთ უფრო მეტს: ეფთვიმეს იოანეს საფლავზე აღუმართავს წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია: „ხოლო პატიოსანი იგი გუამი მისი ღმერთ-შემოსილმან მამამან ჩუენმან ეფთვმე ჯეროვნად შემოსა და თვსაგან

<sup>36</sup> ძეგლები..., II, გვ. 49.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 52.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>40</sup> Βίος..., § 26.

დაპმარხა და ზედა ეკლესიაჲ წმიდათა მთავარანგელოზთაჲ ალაშქ-  
ნა“<sup>41</sup>.

12. „Βίος καὶ πολιτεία“-ს ერთ-ერთი ვრცელი ეპიზოდია ეფთვი-  
მესა და იოანეს შეხვედრა კონსტანტინოპოლში, იმპერატორის ნიკიფორე  
ფოკას კარზე (§ 8). რამდენიმე გვერდი ეძღვნება იოანესა და მისი მოწა-  
თვიმეს პაპის შორის გამართული დიალოგის გადმოცემას (14 r—18 v გვ.  
90-96).

თხზულების ეს ადგილი მომდინარეობს ეფთვიმეს ცხოვრების  
სვინაქსარული რედაქციიდან: „ხოლო შემდგომად ყამათა რაოდენ-  
თამდე წარვიდა ყრმითურთ სამეუფოდ ქალაქად (ეფთვიმეს პაპა)  
საქმისა რომლისთვისმე წინაშე ნიკიფორ ღმრთის-მსახურისა მეფისა.  
და, ვინაიდგან ყოველივე ზეგარდამო განეგებოდა, აღვიდოდა იოვანე-  
ცა წინაშე თვითმპყრობელისა და ეუწყა შვილისა თვისისაჲ, ვითარმედ  
მუნ არს... ეპა, საკვრველი დიდებული, რამეთუ რომელი-იგი კნი-  
და და არცა თუ უწყოდა იგი მზრდელსა მას და შუენიერად შემკო-  
ბილსა, აღირჩია და სრბით მივიდა და შთავარდა წიაღთა მამისა  
თვისისათა“<sup>42</sup>.

13. ბერძნული „ცხოვრების“ მიხედვით, იოანემ ეფთვიმე მიაბა-  
რა ბერძნულ მეცნიერებათა სკოლაში, კონსტანტინოპოლში, სადაც  
მან შეისწავლა წმინდა წერილი და ბერძნული ენა (§ 8) და მხოლოდ  
შემდეგ მიაშურა მთაწმიდას, სადაც სიხარულით იქნა მიღებული  
და ბერად იკურთხა ათანასეს მიერ (§ 11).

„იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ ამ ფაქტზე არაფერია ნა-  
თქვამი. ეფთვიმეს ცხოვრების პირუთენელი ბიოგრაფის გიორგი მთა-  
წმიდელის თქმით, „შვილი თვისი ეფთვიმე მამამან იოვანე წარიყვანა  
სამეფოთ და პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერ-  
ძულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით“<sup>43</sup>.

ეფთვიმეს სვინაქსარული ცხოვრებით, „ნეტარმან იოვანე მოი-  
ყვანა შვილი თვისი და სახე მონაზონებისაჲ შეჰმოსა და ყოვლითავე  
სწავლულებითა განსწავლა“<sup>44</sup>.

საკვირველია, რატომ არ აისახა „Βίος“-ის ეს ცნობა ქართულ  
„ცხოვრებაში“? ეს რომ არა, ბერძნული „ცხოვრების“ ცნობა ეფთვი-  
მეს კონსტანტინოპოლში სწავლის შესახებ სავესებით სარწმუნო იქ-  
ნებოდა. დაუჩერებელი ბერძენი ავტორის ცნობაში არაფერია, თუ  
გავიხსენებთ, რომ ეფთვიმე ბრწყინვალედ ფლობდა ბერძნულ ენას.

<sup>41</sup> ძეგლები..., II, გვ. 59.

<sup>42</sup> ძეგლები..., IV, გვ. 332.

<sup>43</sup> ძეგლები..., II, გვ. 60.

<sup>44</sup> ძეგლები..., IV, გვ. 333.

14. მთაწმიდელთა ბერძნული „ცხოვრების“ § 11-ში დატულია ცნობები ეფთვიმეს მთარგმნელობით და სამწერლობო საქმიანობაზე: „ეფთვიმემ თარგმნა მთელი წმინდა წერილი ბერძნულიდან ქართულად, კიდევ ბევრი სხვა და ნაირგვარი სულისმარგებელი თონაც წერდა დოგმატიკური და დამრიგებლობითი ხასიათის მრავალ თხზულებას თავის მშობლიურ ენაზე, ამიტომ სამართლიანად უწოდებდნენ ქართველები ახალ ოქროპირს ეფთვიმეს, რომელმაც გაამდიდრა თავისი ღარიბი ხალხი ოქროს ნაწარმოებებით და უფრო მეტად გააღამაზა და უფრო ცნობილი გახადა, ვიდრე კიროსმა თავისი ხალხი გამარჯვებებით, ხოლო კრეზმა — უთვალავი სიმდიდრით. ისინი სიზმარივით გაქრნენ და ისე დადნენ, როგორც ალზე ცვილი, ხოლო ახალი ოქროპირის — ეფთვიმეს ოქროს წიგნები მარად უკვლავი იქნება“<sup>45</sup>.

საბედნიეროდ, „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ წყალობით, ჩვენ თითქმის სრულად ვიცით, თუ რა თხზულებანი თარგმნა ეფთვიმემ. მის მიერ თარგმნილ შრომათა სიაში წმინდა წერილი, ბიბლია არ არის. მართალია, გიორგი მთაწმიდელი აღნიშნავს, რომ ეფთვიმეს მიერ ნათარგმნ საღმრთო წიგნთა „აღრიცხუაჲ კინინ-ღა და შეუძლებელ არს, რომელთაგანნი რაოდენნიმე მოვიკსენნეთო“, მაგრამ, შეუძლებელია, მას ბიბლია არ „მოეხსენებინა“.


ჩვენთვის უცნობია, რას გულისხმობს ბერძენი ავტორი „წმინდა წერილში“: მთელ ბიბლიას თუ მის რომელიმე ნაწილს, ამიტომ ამ ცნობისადმი სიფრთხილით მოპყრობა გვმართებს.

რაც შეეხება ცნობას ეფთვიმეს მიერ ქართულად დაწერილ დოგმატიკური და დამრიგებლობითი ხასიათის თხზულებებზე, ვფიქრობთ, ამ ფაქტსაც (მიუხედავად იმისა, რომ დიდია ცდუნება მისი ჭეშმარიტება უკრიტიკოდ დავიჯეროთ) ისეთივე სათუთი მოპყრობა უნდა, როგორც პირველს: აუცილებელია მისი შემავრთება სხვა წყაროებით, სხვა არგუმენტებით.

„Bios“-ის ზემოთ მოტანილი ცნობა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მისი ავტორისათვის ცნობილი ყოფილა: ეფთვიმე მხოლოდ მთარგმნელი კი არ იყო, არამედ მწერალიც. მას ისიც სცოდნია, რომ ეფთვიმეს ქართველები „ახალ ოქროპირს“ უწოდებდნენ:

„წყალობამან ღმრთისამან აღმიდგინა ჩუენ ახალი ოქროპირი და მისცა პირსა მისსა ენაჲ ცეცხლისაჲ და აღძრა თარგმანებად წიგნთა საღმრთოთა... ფრიადნი წიგნნი თარგმნნა მრავლითა ღუაწლითა... და

<sup>45</sup> Bios..., § 9.



არა ხოლო ბერძნულისაგან ქართულად თარგმნა ღრმანი და ძნიადსა-  
თარგმანებელნი წიგნნი, არამედ რაოდენნიმე ბერძულადცა ქართული-  
საგან“<sup>46</sup>.

15. გიორგი მთაწმიდელი გადმოგვცემს, რომ „არცა არიტი, არცა სხუანი მამასახლისნი თვნიერ მისისა (ეფთვიმეს—მ. მ.) ბრძანებისა არარას იქმოდეს და იშვათი დღე გარდაცდის, რომელსა ათი ანუ ათხუთმეტი მამასახლისი არა მოვიდის მათ წინაშე. და კუალად ზრუნვამ დიდისა ლავრისაჲ, საქმე მძიმე და მრავალფერი მის ზედავე იყო, რამეთუ დიდსა ათანასის მისდა მიენდო საურავი და დახედვამ და განგებამ მისა“<sup>48</sup>. ან კიდევ: „კუალად წინამძღურობასა შინა დაყო ათოთხმეტი წელი და სამასისა სულისა ზრუნვამ და დიდისა ლავრისა განგებამ და მთაწმიდელთა უფროასნი საურავნი მის ნეტარისა მიერ იურებოდეს“<sup>49</sup>.

ბერძნული „ცხოვრებითაც“, ეფთვიმე იყო მზრუნველი არა მხოლოდ ქართული, არამედ მთაწმიდის ბევრი სხვა მონასტრისა. სხვადასხვა ადგილას ააშენა წმინდა ეკლესიანი, საავადმყოფოები და მოხუცთა სახლები; იყო მამა მთელი მთისა და მხურვალე მფარველი<sup>50</sup>.

ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხოვრებით“, „დიდისა ლავრისა განგებამ და ზრუნვამ ათანასეს მიერ რწმუნებულ იყო მისდა“<sup>51</sup>.

16. ათონელთა ბერძნული და ეფთვიმეს სვინაქსარული „ცხოვრებანი“ საოცარი სიზუსტით მისდევს ერთმანეთს ეფთვიმეს მიერ მოხდენილი „სასწაულებს“ ეპიზოდებით. ეს ეპიზოდებია: ებრაელის დამარცხება თესალონიკაში, გვალვა ათონის მთაზე, ფერისცვალების დღესასწაულის დროს მომხდარი სასწაულებრივი აქტი.

ეფთვიმეს მიერ მოხდენილი კიდევ ერთი სასწაული — „შჯულისმეცნიერი და სწავლული ჰურიას“ დამარცხება—ქართულ „ცხოვრებაში“ მოსდევს I სასწაულს, ებრაელის დამარცხებას თესალონიკაში. ეს ეპიზოდი გვხვდება „Bიც“-შიც, მაგრამ არა იმ ადგილას, სადაც

<sup>46</sup> ჭეგლები..., IV, გვ. 333 იხ. აგრ. ჭეგლები..., II, გვ. 61.  
<sup>48</sup> იქვე, გვ. 81, 7—11.  
<sup>49</sup> იქვე, გვ. 65, 2—5.  
<sup>50</sup> Bიც..., § 12.  
<sup>51</sup> ჭეგლები..., IV, გვ. 334.

თავმოყრილია ეპიზოდები „სასწაულებზე“ (როგორც ეს ქართულშია), არამედ უფრო ადრე, ეფთვიმეს კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს (§ 10).

17. ორივე „ცხოვრებაში“ ვხვდებით აგრეთვე ეპიზოდებს, რომლებშიც გადმოცემულია ბასილი მეფის თხოვნა ეფთვიმესადმი, რათა იგი დათანხმდეს კვიპროსის მთავარეპისკოპოსობას („B:ძ“, § 16; „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი“, გვ. 13—19).

18. ქართული „ცხოვრებანი“ დასდებია უთუოდ საფუძვლად ეფთვიმეს მკვლელობის ცდის ეპიზოდებს („B:ძ“, § 17, § 18; ძეგლები..., II, გვ. 87,3—30; 88,1—13) და ეფთვიმეს გარდაცვალების ეპიზოდს („B:ძ“, § 20; ძეგლები, II, გვ. 90,13—28; 91, 1—12).

19. როგორც ქართული, ისე ბერძნული „ცხოვრების“ მიხედვით, ეფთვიმე სიკვდილის შემდეგ დაუკრძალავთ იქვე, კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ გადაუსვენებიათ მთაწმინდაზე თავისსავე მონასტერში („B:ძ“, § 21; ძეგლები, გვ. 91, 11—12, 29—30).

ასეთია დამოკიდებულება ათონელთა ბერძნულსა და ქართულ „ცხოვრებებს“ შორის. როგორც მაგალითებით დავრწმუნდით, ერთ შემთხვევაში „B:ძ“-ის ზოგიერთი ეპიზოდი უშუალოდ მომდინარეობს ქართული „ცხოვრებიდან“, ზოგჯერ მკვლევანდება არც თუ ძალიან მჭიდრო კავშირში, ზოგჯერ კი ბერძენი ავტორი სრულიად უგულებელყოფს ქართული „ცხოვრებების“ მნიშვნელოვან მონაცემებს და საჭიროდ არ თვლის მათ შეტანას თავის თხზულებაში. ქართული წყაროებისადმი ასეთი დამოკიდებულება აიხსნება ავტორთა ინტერესების სხვაობით, დროის არცთუ მცირე ინტერვალით, რომელიც ამ ნაწარმოებებს ამორებს ერთმანეთს და, ბოლოს, იმ მიზნით, რომელიც იდგა „B:ძ“-ის შემდგენელის წინაშე: მისი მიზანი იყო ივირონის ბერძნული მრევლისათვის შეესხენებინა მონასტრის დამაარსებელთა ვინაობა და მოღვაწეობა, დამაჯერებელი გაეხადა მონასტრის სიძველე და ისტორია. ხოლო ის ცნობები, რომლებიც მან ამ მიზნით ამოკრიფა ქართული „ცხოვრებებიდან“, ვფიქრობთ, საკმარისზე მეტია.

## ბიოგრაფის ვინაობისათვის

მთაწმინდის ქართველთა მონასტრის ფუძემდებელთა ბერძნული „ცხოვრებისა და მოქალაქეობის“ ორი პერსონაჟის ვინაობა არავითარ ეჭვს არ იწვევს: ესენი არიან ბრწყინვალე ქართველი მოღვაწე-

ები, ათონის ქართული კულტურული კერის დამაარსებლები იოანე (I წინამძღვარი მონასტრისა) და მისი ვაჟი ეფთვიმე (II წინამძღვარი). თხზულების მესამე პერსონაჟის, გიორგის, ვინაობის დადგენა კი სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

გიორგის ცხოვრებას „Βίος και πολιτεία“-ში მხოლოდ ორი ფურცელი (38 r—39 r) უჭირავს.

თხზულების ამ ნაწილში საუბარია იმის შესახებ, რომ გიორგი სისხლით ნათესავი იყო იოანესი და ეფთვიმესი, პირველს—ძმისწულად ერგებოდა, მეორეს—ბიძაშვილად; მონასტრის წინამძღვრობა მიიღო ეფთვიმესაგან, მისგან ეცხო ის დიდი სათნოება და სიჭკველე, რომელიც ყველა საქმეში ახასიათებდა; გიორგიმ აქცია ქართველთა მონასტერი „საღვთო ქალაქად,“ ააგო მრავალი სენაკი და დამხმარე ნაგებობა, ხოლო შემდეგ, სამეფო საზღაურით ააშენა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: უბრწყინვალესი და ულამაზესი დიდი ეკლესია (τὸ ἀμφικύβητον), რომელიც ჩვენს დრომდე შემორჩა; ნამდვილად რომ გიორგიმ ააშენა ეს ეკლესია, დასტურდება წარწერთაც, ტაძრის ცენტრში, ჭალის ქვეშ მოთავსებულ წრიულ ფირფიტაზე რომ არის შესრულებული და გვამცნობს: „მე გავამყარე ესე სვეტები და უკუნისამდე არ შეიძრან. გიორგი. ქართველი ბერი და მამულებელი“. „ცხოვრების“ ბოლოს აღნიშნულია გიორგის გარდაცვალების დღე—28 ივლისი.

ცხადია, რომ გიორგი, რომელზედაც „ცხოვრების“ ზემოთ მოტანილ ნაწყვეტშია საუბარი, არ არის გიორგი მთაწმიდელი (რომელიც ჩვეულებრივ იგულისხმება ხოლმე დიდ ქართველ ათონელთა მესამე წარმომადგენლად), რადგან ეს უკანასკნელი არც იოანესა და ეფთვიმეს ნათესავი იყო, არც ეფთვიმესაგან მიუღია მონასტრის წინამძღვრობა (ეფთვიმე 1028 წლის 13 მაისს გარდაიცვალა, გიორგი ათონელი კი 1040 წელს მოვიდა ათონზე, ხოლო მონასტერს წინამძღვრობდა 1044—56 წლებში), და ბოლოს, მისი გარდაცვალების დღეა 29 ივნისი და არა 28 ივლისი<sup>52</sup>.

ვინ არის „Βίος και πολιτεία“-ს გიორგი და რისი ქტიტორია იგი?

ვფიქრობთ, ეს გიორგი უნდა იყოს ივირონის III წინამძღვარი, ბერძნული წყაროებით—გიორგი ვარაზეაჟე, რომლის პიროვნება და ღვაწლი წყაროების სიმციროს გამო ნაკლებადაა ცნობილი და წარმოჩინებული ათონის მთის ქართველთა მონასტრის ისტორიაში<sup>53</sup>.

<sup>52</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 217—219.

<sup>53</sup> ქვემოთ ამ პიროვნებას მოვიხიენებთ გიორგი დიდალს, ან გიორგი მამულებლას, ისე, როგორც მას უწოდებენ ქართული წყაროები.

გიორგი დიდი, მამასახლისი გიორგი I, როგორც მას კ. კეკელიძე იხსენიებს<sup>54</sup>, იყო „თსია“ ანუ ნათესავი იოანესი და ეფთვიმესი. იგი უშუალოდ ეფთვიმეს შემდეგ, 1012—1030 წლებში განაგებდა მონასტერს<sup>55</sup>.

ეროვნული  
სახელმწიფო

განვიხილოთ ცნობები, რომლებიც ამ პიროვნების შესახებ ცნობილი ქართულ წყაროებში.

„იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ ცნობები გიორგი I შესახებ გაფანტულია თხზულების სხვადასხვა ადგილას და შეკრებილი სახით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1) სიკვდილის წინ იოანემ ეფთვიმეს დაუტოვა „ყოველი კელმ-წიფება და უფლება“ მონასტერზე. აგრეთვე უბრძანა, რომ თავის შემდეგ „მამად“ დაეტოვებინა გიორგი, მათი ნათესავი, „კაცი სახელოანი და ფრთხილი ჯორციელთა საქმეთა ზედა“<sup>56</sup>.

როგორც ვხედავთ, თხზულების ამ ადგილას გიორგი დახასიათებულია, როგორც სახელგანთქმული, სახელოვანი, მხოლოდ სულიერი საქმეებით გატაცებული კაცი, რომელსაც ისეთი ავტორიტეტი ჰქონია იოანეს თვალში, რომ ამ უკანასკნელს იგი მიუჩნევია ერთადერთ კანდიდატურად, რომელსაც ეფთვიმეს შემდეგ უნდა დაეკავებინა მონასტრის წინამძღვრის პოსტი.

2) იოანე მოწიწებით შესთხოვს ბიზანტიის თვითმპყრობელ მეფეებს, რომელთაც მრავალი წყალობა გაუღიათ და დახმარება აღმოუჩინიათ მისი მონასტრისათვის და რომელთა უშუალო მონაწილეობის გამოც გახდა შესაძლებელი ათონზე ქართველთა ლავრის აშენება (როგორც იოანე ამბობს, „მათი წყალობითა და შეწევნით აღვაშენე ლავრა“<sup>57</sup>, ან კიდევ: „ჩუენ უღირსთა ზედა უმეტეს ყოველთასა აჩუენეს წყალობად, ვინაჲცა საქირკუელითგან დიდთა მათ

<sup>54</sup> კ. კეკელიძე, ერთი ადგილის შესახებ ათონელების ბიოგრაფიაში, ეტიუდები, III, თბ., 1955, გვ. 65.

<sup>55</sup> ცხორება იოანესი და ეფთვიმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ., 1967, გვ. 89, გვ. 92; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 232; გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 8; ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ა.ბ., 1970, გვ. 130. Archives de l' Athos, V, Actes de Lavra, par Lemerle, Guillou. Svoronos. Paris, 1970, გვ. 386; Archives de l' Athos, VII, Actes du Protaton, par Papachryssantou, Paris, 1975, გვ. 62.

<sup>56</sup> ცხორება იოანესი და ეფთვიმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნ. II, თბ., 1967, გვ. 57, სტრ. 24—26, გვ. 92, 19.

<sup>57</sup> იქვე, სტრ. 14—15.



ქველსმოქმედებათა მათთა მიერ აღვაშენე ლავრაჲ ესე<sup>58</sup>, რათა მათ წყალობა არ მოაკლონ როგორც მონასტერს, ასევე ეფთვიმესა/და გიორგის:

„მათთავე (მეფეთა — მ. მ.) კელთა შევჰვედრებ ლავრა — მ. მ.) და ჩემ თანა მონათა და მლოცველთა მათთა ეფთვიმესა და გიორგის“<sup>59</sup>.

ამრიგად, იოანე ეფთვიმესა და გიორგის ერთად ახსენებს, ერთად ავედრებს მათ თავს ბიზანტიის იმპერატორებს.

3) თხზულების რამდენიმე ადგილას მეორდება ცნობა იმის შესახებ, რომ ეფთვიმემ, მას შემდეგ, რაც თოთხმეტი წლის განმავლობაში გასწია მამასახლისობის ტვირთი, ხოლო შემდეგ წმინდა მამათა შეგონებით გადადგა და მხოლოდ „წიგნთა საღმრთოთა თარგმანებასა შეუდგა“, შეასრულა იოანეს ანდერძი: მონასტრის წინამძღვრობა გიორგის, „თუსსა ნათესავსა“, მიანდო:

„ეფთვიმემ წინამძღვრობაჲ ძმათაჲ შეჰვედრა გიორგის“<sup>60</sup>;

„ეფთვიმემ გიორგი მამად დაადგინა“<sup>61</sup>;

„თუსი ნათესავი გიორგი მამად დაადგინა და თავადი მყუდროებით ცხოვრებოდა“<sup>62</sup>;

„და ესრეთ სათნოდ ღმრთისა მოქალაქეობასა შინა უფლისა მიმართ მიიცვალა (ეფთვიმე) და ძმანი ქართველნი მამასა გიორგის და მამასა გრიგოლს შეჰვედრნა“<sup>63</sup>.

4) გიორგის მთელ მთაწმიდაზე გაუთქვამს სახელი. მას წარჩინებულნი და დიდებულნიც რიდითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ:

„მის უამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე სახელოვან (იქმნა), და მთაჲ ყოველი დიდად პატივს-სცემდა და ეკრძალოდა“<sup>64</sup>.

5) მაგრამ დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მონასტრის წინამძღვრად დადგა, რომ „მამაჲ გიორგი დავიწყებად მოვიდა, და არცა ერთი რაჲ ზრუნვაჲ აქუნდა ქართველთა აღორძინებისაჲ, არამედ სრულიად ბერძენთა მიექცა და იგინი განამრავლნა“<sup>65</sup>.

<sup>58</sup> ცხობრება იოვანესი და ეფთვიმესი, ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნ. II, თბ., 1967, გვ. 57, სტრ. 18—20.

<sup>59</sup> იქვე, სტრ. 15—16.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 89, 8.

<sup>61</sup> იქვე, გვ. 92, 12.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 95, 3—4.

<sup>63</sup> იქვე, გვ. 95, 14—17.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 92, 19—21.

<sup>65</sup> იქვე, გვ. 95, 18—21.

ან კიდევ:

„კულად ბერძენნი ფრიად რამე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა სხურნი რამე და უნდონი, უგულუბელს-ყვნა და შეამციტნა“<sup>66</sup> მასასადამე, გიორგის მამობის დროს ათონის ქართველთა მონასტერში გამრავლებულა ბერძენთა რიცხვი, თვით გიორგი კი, ზემოთ მოყვანილი ციტატების მიხედვით, არ ჩანს, რომ ეწინააღმდეგებოდეს ამ ფაქტს.

6) გიორგის დაუვიწყებია, უგულუბელუყვია ის წესები, რომლებიც მანამდე არსებობდა მონასტერში და თვით იოანესა და ეფთვიმეს დროს იყო შემოღებული და დამკვიდრებული:

„ქინლა-და უმეტესნი წესთაგანნი შეცვალნა და თვისა ნებასა და განზრახვასა შეუდგა და სხუათა რათმე წესთა და კანონთა ენება დამტიციებად“<sup>67</sup>.

7) მეფე რომანოზის ზეობის დროს (1028—34) გიორგი მაშენებელი დაახლოებული და მიღებული პირი შეიქნა სამეფო კარზე, შემდეგ კი, „თუ ვითარ იქმნა, ღმერთმან უწყის“, ორგულება დასწამეს მეფისა და გადაასახლეს კუნძულ მონოვატზე, სადაც გარდაიცვალა კიდევ<sup>68</sup>.

ცნობები, რომლებსაც გვაწვდის გიორგი I-ის შესახებ „ცხოვრება იოვანესი და ეფთვემესი“, ამით ამოიწურება. მიუხედავად ფაქტების მცირერიცხოვნობისა, ისინი მაინც სხვადასხვა რიგის, ურთიერთსაპირისპირო ხასიათისაა:

ერთი მხრივ, გიორგი თხზულებაში მოხსენიებულია, როგორც „კაცი სახელოანი და ფრთხილი ჯორციელთა საქმეთა ზედა“, მთელ მთაწმიდაზე ცნობილი და სახელმოხვეჭილი პიროვნება, რომლის წინამძღოლად დაყენება თვით იოანემ ინება, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველთა მონასტრის III წინამძღოლი დაუდგრომელი, მემამბოხე სულის კაცია, მონაწილეობას იღებს იმპერატორის საწინააღმდეგო შეთქმულებაში და, რაც მთავარია, ბერძნული ელემენტი, რომელიც შემდგომში ასე საშიში გახდა ქართველთათვის, მის დროს ძალიან ძლიერდება ივირონში.

როგორც ვხედავთ, „Βίος και πολιτεία“ და „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ გიორგის შესახებ ცნობებში ბევრი მომენტი კვეთენ

<sup>66</sup> ცხოვრება იოვანესი და ეფთვემესი... გვ. 92, 21—24.

<sup>67</sup> იქვე, გვ. 92, 12—14.

<sup>68</sup> იქვე, გვ. 93, 14—20; გვ. 95, 25.

ერთმანეთს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ, თუ „Βίος και πολιτεία“-ს ავტორისათვის გიორგი წინამძღვარი ქტიტორიცაა მონასტრისა, გიორგი ათონელი ერთ სიტყვასაც არ ამბობს იმის შესახებ, რომ მონასტრისათვის ააშენა, არამედ მონაწილეობა მაინც მიიღო მონასტრის მთავარი ეკლესიის აგებაში.

\* \* \*

ორჯერ არის ნახსენები ათონის მთის ქართველთა ლავრის III წინამძღვარი „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ და ორჯერვე ეპითეტით „მაშენებელი“.

გიორგი ათონელის კონსტანტინოპოლიდან მთაწმიდაზე გადმოსვენებისა და დიდ ეკლესიაში დაკრძალვის სცენაში, რომელსაც საოცარი მხატვრულობით აღწერს გიორგი ხუცესმონაზონი, არის ასეთი ადგილი:

„ბრძანებითა ამათ მამაძთა, განვალეთ ლუსკუმაჲ ნეტარისა მამისა გიორგი მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ის ა ჲ ეკლესიისა შტოსა მარცხნით კერძო, დამართებით ლარნაკსა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა... და ესრეთ ცხოველი კიდობნით აღმოვიყვანეთ (იგულისხმება გიორგი ათონელი—მ. მ.) და ლუსკუმასა შინა მარმარილომასაა გიორგის თ ა ნ ა მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ის ა დავჳკრქალეთ, ჳემმარიტად, ვითარცა მეორე მაშენებელი და შემამკობელი ეკლესიათაჲ“<sup>69</sup>.

გიორგი I-ის „მაშენებლად“ მოხსენიება „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“, ჩვენი აზრით, ფრიალ მნიშვნელოვანი ფაქტია და გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ქართული წყაროებისათვის უცნობი არ არის გიორგი I-ის აღმშენებლობითი საქმიანობა.

\* \* \*

კიდევ უფრო საინტერესო სურათია „ათონის აღაპებში“ № 13 ალაპში, რომელიც გიორგი I-ს ეკუთვნის, იგი იწოდება „გიორგი დიდად“:

„თუესა დეკენბერსა: ზ: ალაპი არს გიორგი დიდისა და ვითარცა სჯნგელოზისასა სწერია და იოანესსა და ეფთჳმესსა, იგივე წესი აღესრულენ ლოცვისა და ჟამის წირვისა და ძმათა ნუგეშინის ცემისა“<sup>70</sup>.

<sup>69</sup> გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ., 1967, გვ. 200; 22—25; გვ. 201, 8—11.

<sup>70</sup> ათონის ივერთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ალაპებით, თბ., 1901, გვ. 219.

მამსადამე, გიორგისათვის ისევე უნდა აღესრულებინათ ალაპი-  
ლოცვისა და წირვის იგივე წესები უნდა დაეცვათ, როგორც სწერია  
„სუნგელოზისასა“, ხოლო „სუნგელოზისასა“ ანუ იოანე თორნიკეს  
ფილის ალაპში, სწერია, რომ „თუესა დეკენბერსა: იე: ალაპი არს  
იოანე სუნგელოზისა, მამენებელისა ამის დიდებულისა ლავრისაა“.

გიორგი მოხსენებულთა № 87 ალაპშიც. ეს არის ალაპი გიორგი  
მთაწმიდლისა:

„თუესა ივნისსა: ლ: ალაპი არს წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი  
თარგმანისა და ვითა სწერია სუნგელოზისათჳს და იოანე, ეფთჳმეს  
მამისა, და დიდისა გიორგისათჳს ყოველი წესი ლოცვისა  
და ჟამისწირვისა და ძმათა ნუგეშინისცემისა აღესრულებოდენ,  
ანაფორაჲ, ვითა მოასწავებს, და სამ-სამი მწუხრსა და ხუთ-ხუთი  
სამხრად. ესე მე, მამამან გიორგი, განვაწესე მისთა წიგნათჳს, რო-  
მელი ამას ეკლესიასა დარჩეს საცხენებლად მისდა საუკუნოდ“<sup>71</sup>.

გიორგისათვის „დიდის“ წოდება, მისთვის ალაპის ისევე  
გადახდა, როგორც მონასტრის დამაარსებლებისა და მამენებლების—  
იოანე-თორნიკესათვის, იოანესა და ეფთვიმესათვის, ხოლო გიორგი  
ათონელის ალაპში იმის მითითება, რომ გიორგი თარგმანისათვის ჟა-  
მისწირვისა, ძმათა ნუგეშინისცემის და სხვა წესები ისე დაიცავით,  
როგორც ეს გიორგი დიდის ალაპშია აღნიშნული, მიუთითებს უკა-  
ნასკნელის უდიდეს დამსახურებასა და ავტორიტეტზე<sup>72</sup>.

\* \* \*

გიორგი მამენებელს იცნობენ და მოახსენიებენ შედარებით  
გვიანდელი ქართული წყაროებიც.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ათაბაგის სახლის წევრთა  
XV—XVI საუკუნეების მოსახსენებლები:

<sup>71</sup> ათონის ივერთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ალაპებით, 1901, გვ. 238.

<sup>72</sup> სტატიაში „ერთი ადგილის შესახებ ათონელების ბიოგრაფიაში“ (ეტნოგრაფიკა,  
III, თბ., 1955, გვ. 65—69), ე. კეკელიძე, რომელიც ადგენს „იოანესა და ეფთვიმეს  
ცხოვრებაზე“ დართული „მოსახსენებლის“ ერთ-ერთ ეპიზოდში (კერძოდ, 1029—34  
წლების ბერძენ-ქართველთა კონფლიქტის ეპიზოდში) მოხსენიებულ პირთა—გიორგი  
„უკეთურის“, გიორგი „პირველ ხსენებულისა“ და ათანასე დიდის—ვიწაობას, აღნიშ-  
ნავს, რომ „უკეთური გიორგი“ არის ათონის მთის მონასტრთა პროტი, უფროსი წი-  
ნამძღვარი, რადგან „გიორგი ვარაზეაჩე არ იყო ისეთი ქა-  
ცი, რომ შესაძლებელი იყოს იმასთან „უკეთური“ აღა-  
მინის შედარება“. მკვლევარი აქვე დასძენს, რომ ათონის ქართველთა  
მონასტრის № 13 და № 87 ალაპებში მოხსენიებული გიორგი არის გიორგი ვარაზეაჩე.

ამილახორთა სახლის კრებულის მოსახსენებელში (S—1246. XVI საუკუნის 20—40-იანი წლები) ვკითხულობთ:

12. წთა მამათა: იოვანესი და იოვანე სუნგელოზისა და გიორგისი საუკუნომცა არს საჯ.

იოანესა და თორნიკესთან ერთად დასახელებული ეს გიორგი რომ გიორგი დიდია და არა გიორგი ათონელი, ცხადი ხდება იქიდან, რომ გიორგი ათონელის მოსახსენებელი ცალკე დაუწერიათ, იგი უშუალოდ მოსდევს ზემოთ მოყვანილ მოსახსენებელს:

13. წრისა მამისა ჩუჴნისა გიორგი მთაწმიდელისა, ქართველთა მნათობისა, საუკუნომცა არს საჯსენებელი და...<sup>73</sup>.

ანალოგიური სურათია მეწიეთის მარხვანის მოსახსენებლებშიც (Q—642, 1556 წ.):

10. უსხეულოთა მიმსგავსებულისა წრისა მამისა ჩუჴნისა ეფთჳმე მთაწმიდელისა, ახლისა ოქროპირისა, ქართველთა განმანათლებელთა სკნდ.

12. წთა მამათა: იოვანე და იოვანე სუნგელოზისა და გიორგისი სკნდმცა.

13. წრისა მამისა ჩუჴნისა გიორგი მთაწმიდელისა, ქართველთა მნათობისა სკნდმცა არს<sup>74</sup>

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში გარჩეულია გიორგი მთაწმიდელი და გიორგი, რომელიც იოანესა და თორნიკესთან (იოანე სვინგელოზთან) ერთად მოიხსენიება და რომელიც, უთავოდ, არის გიორგი მაშენებელი.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ, როგორც ამ ტექსტთა გამომცემელი ქრ. შარაშიძე მიიჩნევს, სრულიად საქართველოს მეფეთა და თვალსაჩინო მოღვაწეთა ეს „ყოვლად უტყუარი სია“ შედგენილი უნდა იყოს ათონის მთაზე XI, XII, XIII საუკუნეებში<sup>75</sup>.

\* \* \*

გიორგი I-ის შესახებ ქართულ წყაროთა ცნობებს უნდა მივუმატოთ რამდენიმე ბერძნული საბუთის მონაცემიც.

გიორგი ხელს აწერს რამდენიმე ბერძნულ საბუთს, რომელიც ათანესეს ლავრას ეკუთვნის. ეს საბუთებია:

<sup>73</sup> სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები, და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 18.

<sup>74</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 60.

1. 1016 წლის სიგელი წმინდა ელიას სკიტის ილუმენის ნიკოლო-  
ოსისა (გიორგის ხელრთვა ამ დოკუმენტში მეხუთე ადგილზეა):

Γεωργίου μοναχὸς ὁ Ἰβηρ ἡπάρχαψαλμοῦ ἐξ ἑώρας<sup>76</sup>.

2. პროტოს ნიკიფორეს 1017 წლის აქტს ხელს აწერენ ეფთვიმე  
და გიორგი ქართველებიც (III ხელრთვა)<sup>77</sup>.

3. იმავე ნიკიფორე პროტოსის 1018—1019 წლის აქტს ხელს  
აწერს გიორგი:

ὁ ἄν Ἰβηρῶν Γεωργίου μοναχὸς<sup>78</sup>.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი:

„Actes de Lavra“-ში<sup>79</sup> 1035 წლის თეოკტისტე პროტოსის აქტზე  
შესამე ხელრთვა არის გიორგი ქართველისა:

Γεωργίου μοναχὸς ὁ Ἰβηρ.

ვინ უნდა იყოს ეს გიორგი? გიორგი ვარაზვაჩე 1030 წელს გარ-  
დაიცვალა კუნძულ მონოვატზე. არ უნდა იყოს იგი გიორგი მთაწმი-  
დელი. გამოდის, რომ 1035 წ. ივირონის წინამძღვარი ყოფილა გი-  
ორგი II.

გიორგი II-ის არსებობას აღიარებს D. Papachryssanthou გამო-  
ცემის წინასიტყვაობაში<sup>80</sup>.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ივირონის წი-  
ნამძღვართა არც ერთ რიგში, რომელიც დღემდე მოგვეპოვება (კ. კე-  
კელიძე, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი...), ეს ფაქტი გათვალისწი-  
ნებული არ არის.

\* \* \*

გადავიდეთ გიორგი I-ის შესახებ ზემომოყვანილი ცნობების  
განხილვაზე.

პირველ რიგში გვინდა შევეცადოთ მოგხსნათ გიორგი მაშენე-  
ბელს ყველაზე დიდი „ბრალდება“, რომელიც მისთვის ივირონის მა-  
მებს წაუყენებიათ, კერძოდ, ის, რომ მან „შეიყუარა და განამრავლ-  
ნა ბერძენნი, ხოლო ქართველნი უგულუბელს-ყვნა და შეამცირა“.

<sup>76</sup> Archives de l'Athos, V..., გვ. 155.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 165.

<sup>78</sup> იქვე, გვ. 170.

<sup>79</sup> Archives de l'Athos V..., გვ. 186.

<sup>80</sup> Archives de l'Athos, VII..., გვ. 62, სქ. 6.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“, რომელშიც დაცულია ეს ცნობა, როგორც ცნობილია, პირობითად ორ ნაწილად იყოფა: I—საკუთრივ „ცხოვრება“ გიორგი ათონელის კალამს ეკუთვნის, II — „მოსახსენებელი“ ანუ მემორანდუმი ანონიმი ავტორისა, რომელიც ივირონის ბერებს შეუდგენიათ სვიმეონის მამობის დროს (1041—1042 წლებში) და შემდეგში მექანიკურად დაურთავთ გიორგის თხზულებისათვის. საინტერესოა, რომ გიორგი დიდის დახასიათების „ნეგატიური“ ნაწილი სწორედ ამ „მოსახსენებელში“ გვხვდება.

ჩანს, ძმობამ არ აპატია გიორგი მაშენებელს მონასტერში ბერძნული ელემენტის მომრავლება (უფრო სწორად ის, რომ მის დროს გაძლიერდა ეს ელემენტი), ეს ფაქტი მის პირად დანაშაულად ჩათვალა. აქედან მომდინარეობს ის დაუფასებლობა და არდანახვა გიორგის ღვაწლისა, რომელიც ცხადი ზღბება თუნდაც იმით, რომ წყაროები საოცარ სიძუნწეს იჩენენ III წინამძღოლის მიმართ. ამითვე უნდა აეხსნათ ისიც, რომ სამართლიანობითა და ობიექტურობით ცნობილი ისეთი დიდი ავტორი, როგორიც გიორგი ათონელია, თითქმის დუმილით უვლის გვერდს გიორგის დამსახურებას. მართალია, გიორგის მიზანს არ შეადგენდა გიორგი დიდის ცხოვრების აღწერა, მაგრამ საეჭვოა, მას მოკლედ მაინც არ ეხსენებინა მოღვაწეობა იმ კაცისა, რომელმაც უშუალოდ გააგრძელა ეფთვიმეს დაწყებული საქმე. იგი ხომ არ ივიწყებს არც არსენ ნინოწმიდელს, არც იოანე გრძელისძეს, არც სხვა ნეტარ მამებს, დაწვრილებით აგვიწერს ყველა საყურადღებო ფაქტს, რომელიც იმ დროს ზღბებოდა მონასტერში.

ჩანს, გიორგი I-ის შესახებ მას ან არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია, ან, იმ დროს, როცა ამ თხზულებას წერდა, ქართველ ძმობაში არ იყო გარემო, რომელიც გიორგისადმი სხვანაირი განწყობით წარმოდგენილ „ცხოვრებას“ მიიღებდა.

მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც გიორგი თვითონვე ამბობს, „ჩუენ თავით თვისით არარაჲ აღგვწერია, არამედ რაჲ-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხალენეს და ემსახურა მათდა“<sup>81</sup>. როგორც ჩანს, ეს „სწავლა“ ყოველთვის არ იყო „სავსე მადლითა ზეგარდამოათა“.

განა მალავს გიორგი ათონელი, რომ იოანესა და თორნიკეს სურდათ, „რაჲთა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი. გარნა, ვინაჲთგან ამისი ქმნაჲ შეუძლებელ იყო, იძულნეს ბერძენთაცა შემოყვანებაჲ“<sup>82</sup>. უფრო მეტიც, თხზულების სხვა ად-

<sup>81</sup> ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი..., გვ. 40, 11—13.

გილას გიორგი ათონელი წერს: „ვინააფთჳან სიშორცჳ ქუეყანისა ჩუენისაა დიდ იყო, და სივრცე ადგილისა ამის დიდებულისაა ფრიად იყო, შემწედ და მსახურად შეიწყნარა (ეფთვიმემ—მ. მ.) ზიარებნი უმანკობით და სიწრფობით და ესრეთ განმრავლდა ნათესავი ბერძენთაჲ ლავრასა ამას“<sup>83</sup>.

ამაზე დიდი ბრალდება არცა აქვს გიორგი დიდს. ის, რაც აპატიეს ეფთვიმეს, არ ეპატია გიორგი მაშენებელს.

მამასაღამე, ის ფაქტი, რომ გიორგი I-ის დროს ბერძენთა რიცხვი გამრავლდა ივირონში და, ალბათ, ამასთან ერთად გაძლიერდა მათი გავლენაც, იმას კი არ ადასტურებს, რომ წინამძღოლი ელინოფილი იყო და მისი საკუთარი სურვილით ხდებოდა ბერძენთა მოზიდვა ქართულ ლავრაში, არამედ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ რაოდენ ძლიერი და გარდუვალი იყო და რა ადრე დაწყებულა ქართველთა მონასტერში ბერძენების დამკვიდრებისა და ფეხის მოკიდების პროცესი, რომ არ არსებობდა ძალა, რომელიც ამ პროცესს წინ აღუდგებოდა.

ივირონის მთელი შემდგომი ისტორია, აღსავსე ბრძოლითა და წინააღმდეგობით ქართველთა და ბერძენთა შორის, ამის ნათელი დადასტურებაა.

ამ მოვლენათა ფესვებსა და მიზეზებს არაფერი ააშკარავებს ისე დამაჯერებლად, როგორც „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ და ვერავინ ახსნის უფრო სწორად, ვიდრე თვით გიორგი ათონელი, რომელსაც ამისთვის სულ რამდენიმე სტრიქონი სჭირდება:

„ვითარცა უწყით ყოველთა, ადრე შევირყევით და მიმოსულასა მოსწრაფედ შეუდგებით და ამით მიზეზითა ფრიად ვავნებთ თვსთაცა სულთა და ადგილსაცა. ხოლო იგი (გიორგი მაშენებელი—მ. მ.) ვითარცა იყო ფრთხილი და მძიმე კაცი, მეტნი რამე შეპოვნებანი და ლიქნანი ვერ შეეძლნეს და კუალად, ვინააფთჳან იხილა, რომელ ფრიადი ერი საჯმარ იყო სივრცისათჳს მონასტრისა და სიმრავლისათჳს სამსახურებელთაჲსა, და ჩუენ არა დავდგებოდეთ, ბერძენთა მიექცა და იგინი განამრავლნა“<sup>84</sup>.

\* \* \*

შეიძლება თუ არა გიორგი მაშენებელი იყოს „დიდი ეკლესიის“ ქტიტორი? ვფიქრობთ, ეს არა თუ შესაძლებელია, არამედ შეესაბამება კიდევ ჭეშმარიტებას.

<sup>83</sup> ცხორებაჲ იოანესი და ეფთვიმესი..., გვ. 94, 30—32; 95, 1—2.

<sup>84</sup> იქვე, გვ. 92, 24—28; 93, 1—3.





ქართველთა სავანე ათონზე საკმაოდ დიდი სამონასტრო კომპლექსია. იგი შედგება 30-ზე მეტი სხვადასხვა ნაგებობისგან, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირებისა და შეწირულობების წყალობით აშენებულა.

უძველეს ფენაში, ანუ იმ ნაგებობათა შორის, რომლებიც მოხსენიებულია მთაწმიდელთა „ცხოვრებებში“, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ:

1. იოანე მახარებლის ეკლესია — პირველი ეკლესია, რომელიც იოანემ და თორნიკემ ააგეს ღას შემდეგ, რაც გამოეყვნენ ათანასე დიდის ლავრას და „უდაბნოსა შუენიერსა“ დამკვიდრდნენ. ალბათ, ამავე ადგილას დახვდათ მათ კლიმენტოსის ეკლესია, რომელიც, ბერძნული წყაროებით, ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდს ეკუთვნოდა. იოანე მახარებლის ეკლესიასთან ერთად „აღაშენეს სენაკები და მუნ იყოფებოდეს მრავალ ჟამ ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი“<sup>85</sup>.

2. წმინდა მთავარანგელოზთა ეკლესია, — სადაც თავდაპირველად იოანე ყოფილა დასაფლავებული და რომელიც მისთვის აუშენებია ეფთვიმეს<sup>86</sup>.

3. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, სადაც დაუმარხავთ ეფთვიმე.

„პატოსანნი იგი ნაწილნი მისნი აღმოიყვანნეს მონასტერსა და დაისხნეს სამარხოსა ლუსკუმასა, ტაძარსა შინა წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისასა“<sup>87</sup>.

მე აღმეძრა სურვილი, ხელი მოვიკიდო საქმეს და რამდენადაც ძალა შემწევს, გასაგებ ენაზე გადმოვიცე ყველაფერი, რაც მოვიხივე მათი ცხოვრების შესახებ ბერძნულ ენაზე. თხრობას არც არაფერს მივუმატებ, არც დავაკლებ, რათა შემატებამ მოთხრობა არასაიმედო და საეჭვო, ხოლო გამოკლებამ — დაუსრულებელი და უნაყოფო არ გახადოს.

გევედრებით თქვენ, ქრისტესმიერნო მამანო და ძმანო ჩემნო, მომბაძოთ და, როგორც მე მივუზღე საზღაური და გამოვხატე ბატონისცემა ჩვენი საერთო მამებისადმი, თქვენც აღასრულოთ მოვალეობა და გამოამყლავნოთ თქვენი სიწმინდე: მაშ, მიაპყართ მთელი თქვენი ყურადღება ამ მოთხრობას და, დაე, მან, რამდენადაც შესაძლებელია, აღძრას მსმენელში ასეთივე თავდადება, მიბაძვის სურვილი ჩვენი საერთო წმინდა მამების ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. დაე, ამ მოთხრობამ აღაფრთოვანოს ჩვენი სულები.

## 1

მამ ასე, დღევანდელ დღეს ჩვენ ვზეიმობთ და განსაკუთრებულად აღვნიშნავთ ჩვენი ნეტარი მამის ეფთვიმეს ხსოვნას, ხსენების დღე კი ორი დანარჩენი ნეტარისა — იოანესი და გიორგისა, არასოდეს აღვვინიშნავს განსაკუთრებული ზეიმით და რადგან ჩემთვის ცნობილი არ არის ამის მიზეზი, ამ ამბავს დღემილით ავუვლი გვერდს. განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ მათი ხსოვნა ზეიმით აღინიშნება საქართველოში: ჩვენი ნეტარი მამის იოანეს ხსენების დღეა 14 ივნისი, ხოლო ნეტარი გიორგისა — 28 ივლისი<sup>2</sup>.

იგივე შეიძლება ვნახოთ აქაც: ქართულ ენაზე დაწერილ „თვენში“; იმ დროს, როდესაც ეს წმინდა მონასტერი ქართველებით იყო დასახლებული, მათი ხსენების დღეს საზეიმოდ იკითხებოდა აკოლუთიები და მრავალრიცხოვანი ტროპარები.

მე ვფიქრობ, არ არის სამართლიანი, რომ ჩვენ ამ თარიღებს არ ვზეიმობთ, ხოლო მათ ცხოვრებას მოკლე მოთხრობით მაინც არ გად-



მოცემთ. ეს კი სრულიად აუცილებელია, რადგან ბევრისათვის არ არის ცნობილი მათი საქმეები, ეს არცოდნა კი ახლოს არის ბიჭირებასთან და ჩვენი დანაშაულია. ხომ ცოდვას ღვთის წინაშე, ვიცნობდეთ ბევრ სხვა წმინდანს, მათ ცხოვრებას, მათ გნობას და არ ვიცოდეთ, თუ რა არის დაწერილი ჩვენი საკუთარი მამებისა და ქტიტორების შესახებ.

2

იოანე, გვართ წარჩინებული, მეფეებთან სიახლოვითა და სხვადასხვა საგმირო საქმეებით ცნობილი და გამოჩენილი კაცი, წარმოშობით იყო ქართველი, ქვეყნიდან, რომელსაც ეწოდება ტაო, ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი.

ზუსტად ვერ ვიტყვით, თუ ვინ იყვნენ მისი მშობლები, ხოლო იმათგან, ვისაც ქართულ წიგნებში ამოუკითხავს, შევიტყვეთ, რომ ისინი ყოფილან სამეფო გვარიდან.

გადმოცემა მის შესახებ გვამცნობს, რომ იოანე განდიდებული და ცნობილი შეიქნა ქართველ მეფეთა კარზე, რომლებიც იმ დროს, დიდი იობისა არ იყოს, ყველაზე კეთლშობილნი იყვნენ მთელს აღმოსავლეთში.

კეთილშობილებამ, საქვეყნო საქმეთა წარმართვის ღრმა ცოდნამ და ბრწყინვალე განათლებამ იოანე აქცია ქართველთა მაშინდელი მეფის რჩეულად: მის პროტოსიმბულატორად და სენგელოზად, რაც ქართველებში დიდ პატივად ითვლება და მხოლოდ ღირსეულთა ხვედრია.

იოანეს ცოლიც თავისი სწორი ჰყავდა — უბრწყინვალესი გვარის შთამომავალი. მეტი რაღა ვთქვა; ისეთი იყო, რომ დავით წინასწარმეტყველიც კი შეაქებდა: იყო ჭეშმარიტად ღვთისდარი ადამიანი, რომელიც არასოდეს არ მიდის მათი გზით და ყურად არ იღებს მათ რჩევას, ვისაც ღმერთის არ ეშინია.

იოანე არ დადიოდა ცოდვათა გზით, ზიზღს გვრიდა ყოველგვარი პატივი, უკანონო საქმე და მისი ნებისყოფა ყოველთვის მიპყრობილი იყო საღვთო კანონებისაკენ. როგორც ბრძანებდნენ ეს კანონები, ისე ცხოვრობდა, გულმოდგინედ იცავდა ამ წმინდა წესებს, ეს კი უმაღლეს ღირსებად ითვლება მათთვის, ვინც მეფეთა კარზე ტრიალებს.

ამიტომ არ შეცდება ის, ვინც მას უწოდებს წყაროს თავში გაზრდილ ხეს. ჩვენ ხომ ვხედავთ უდიდეს ნაყოფს, თავის ღროზე მისგან აღმოცენებულს — წმინდა ეფთვიმეს, რომლის ფოთოლი და ნა-

ყოფი — მოღვაწეობა და შინაგანი ღირსებანი და სხვა ანგელო-  
ზებრივი გმირობანი — მაცნე იყო მამამისის სიქველისა. როგორც  
წმინდა წერილი ამბობს: „ვერ ხელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყო-  
ფისა ხენეშისა გამოღებადნ; ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურია“.

ღვთიური წყლით წყურვილმოკლული საკვირველი ირანე, თავის  
მხრივ, კეთილ აზრებს ნერგავდა. ხშირად ფიქრობდა ხოლმე ქვეყნის  
გაჩენასა და მის ვნებებზე.

როგორც იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „ყოველსა, რომელსა  
პრწმენეს იგი, აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“<sup>7</sup>.

სულითა და გულით შეიძულა იოანემ სოფელი და მიიჩნევდა,  
რომ უპირველესი მტერი ადამიანისა სხვა არაფერია, თუ არა ეს ქვე-  
ყანა, რადგან ვიდრე ის არსებობს, მძლავრობს ორი სხვაც: სხეულსა  
და ეშმაკს ვგულისხმობ.

და ის გაურბის ამ სოფელს, ტოვებს ყველაფერს, რაც მას ეკუთ-  
ვნის: სიმდიდრეს, რომელსაც მე ვუწოდებდი სახრჩობელას სული-  
სას, დიდებას — სიქველის უგულო ტირანს; უფლებებს; ღირსებას;  
საქმეს, მეფის წყალობებს, ცოლს — უდიდეს დამაბრკოლებელს ამ  
სოფლიდან ლტოლვისას; შვილებს — ამ ხმალს, რომელიც ორად აბობს  
ყოველ გულს, რომელმაც განიზრახა ხელი მიჰყოს მსგავს საქმეებს;  
მონებს, მხველებს, მამულს.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი: იოანემ უარი  
თქვა საკუთარ თავზე, ისმინა რა სახარების შეგონება: „რომელსა  
ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ-ჰყავნ თავი თვისი და ისმინოს სიტ-  
ყუანი ჩემნი“.

იოანე მივიდა ერთ მონასტერში, რომელიც მის სამშობლოსთან  
ახლოს მდებარეობდა და რომელშიც ექვსი ბერი — ექვსი ქველი ადა-  
მიანი სახლობდა, მაშინვე შევიდა შიგ, გაიხადა ბრწყინვალე სამოსი,  
რომელიც ტანთ ემოსა, მასთან ერთად მოიცილა თავიდან ძველი ადა-  
მიანი, რომელიც მასში სახლობდა ძველი ქცევებითა და სურვილებით,  
სხვა საქმეებითა და მისწრაფებებით.

იოანემ შეიმოსა ბერის სამოსი და იმავე მონასტერში შედგა ბე-  
რად.

განა საჭიროა სხვა რაიმე საქებრის გახსენება და იოანეს სათნო-  
ების მტკიცება? განა ეს საკმარისი არ არის?

თუ ისეთებიც აღმოჩნდებიან, რომ არ მოისურვებენ ჩემს მოსმე-  
ნას, მათ იქონიონ მოთმინება და ყურად იღონ ის, რაც თვით ათანასე  
ათონელის ბაგეთაგან გამოსულა: ეს იქნება არა მარტო ის, რასაც  
ელოდება მსმენელი, არამედ მოსალოდნელზე გაცილებით მეტი.

ეს არის სწორედ ის, რამაც გადამაწყვეტინა დამეწერა ჩვენი დიდი მამის იოანეს ქველობის შესახებ.

3



მონასტერში ყოფნის დროს საკვირველი იოანე ცვილივით მორჩილი იყო ქველი საქმეებისადმი. შემდეგ მან დატოვა ეს ექვსი წმინდანი და მივიდა კოლხად წოდებულ მთაზე მდებარე მონასტერში, რათა იქ, როგორც შრომისმოყვარე ფუტკარს, შეეგროვებინა სიქველის თაფლი იქ მცხოვრები ასკეტებისაგან.

მსგავსად ამგვარი საქმეებით გატაცებული ფილოსოფოსისა, მანაც აივსო სული იქაური ქველი მამების უტკბილესი თაფლით, რადგან ისევ და ისევ განიცდიდა სათნოების წყურვილს.

იოანემ გაიგო, რომ ოლიმპოს მთაზე იყვნენ სიქველეში გამოცდილი და ღირსეული მოღვაწენი, რომელთაც შეეძლოთ სხვებისათვისაც მიეცათ ქველი ცხოვრების მაგალითი. ყველა, ვინც გაიგებდა ამ მთის შესახებ, როგორც ამბობენ, წყაროს ბილიკზე დამდგარი მწყურვალე ირემივით სწრაფად მიაშურებდა ხოლმე მას.

როცა წყურვილით აღძრული იოანე იქ მივიდა, მიხვდა, რომ საჭიროებდა სრულყოფას იქაურ მამათაგან. ამიტომ ერთხანს იქ დარჩა, მოწადინე, რომ სიქველის ყველა სახისათვის მიეღწია.

4

მისი იქ ყოფნის დროს ოლიმპოს მაღალ მთაზე, ისევე როგორც ბევრ სხვა მხარეში, მოვიდა და სწრაფად გავრცელდა ხმა ათანასე ათონელის შესახებ და ამ ხმამ ისე მიიზიდა თავისკენ წმინდა იოანე, როგორც მაგნიტმა — რკინა.

იოანემ მიატოვა მაღალი ოლიმპო და მიაშურა ათანასე დიდს, რომელმაც დიდი სიხარულითა და სულიერი კმაყოფილებით მიიღო იგი (რადგან სმენოდა მისი სახელისა და ქველი ცხოვრების შესახებ) და, სხვებისაგან განსხვავებით, ეპყრობოდა როგორც ძმას, რადგან ათონზე მისი მისვლისთანავე იოანე თავისი წრფელობით გამოარჩია და მასში ჰპოვა ამოუწურავი საგანძური.

იოანე იყო მისი დამხმარე და კარგი მრჩეველი ყოველგვარ საქმეში, რადგან მისი და წმინდა მოხუცის აზრები ყოველთვის თანხმობაში იყო და ეპყრობოდა დიდი მოწიწებითა და მორჩილებით. ამის გამო, ჭეშმარიტად ყველაზე მეტად უყვარდა წმინდა ათანასეს იოანე,

როგორც სათნოების მოყვარული და მორჩილების წესის ხალხით დამცველი მუშაკი.

ნათქვამია, რომ ყველა ადამიანს უყვარს ყველაფერი, რაც მისი მსგავსია და ყველა, ვინც ხედავდა მათ, მიიჩნევდა მათ სხვა სხეულში მცხოვრებ ერთ სულად.

დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა იმ ლავრაში დიდ ათანასესთან, მისი ღვთისმოსაობისა და მოთმინების კალთას ამოფარებული. ისინი თითქმის ერთად დაბერდნენ.

მოგვიანებით, თავისი ნათესაების მრავალგზისი თხოვნითა და მეფე ბასილის, რომანოზის ძის, მეფური წყალობით, იოანემ აღმართა საკუთარი ლავრა, რომელსაც ძველად კლიმენტოსს ეძახდნენ, მოგვიანებით კი ივირონი ეწოდა.

თავდაპირველად ეს იყო პატარა ტაძარი, წმინდა წინამორბედის სენაკებიანი ეკლესია<sup>10</sup>, კედლებით გარშემორტყმული პატარა ნაგებობა, რომელიც, როგორც ამბობენ, მეფე კონსტანტინე დიდს ეკუთვნოდა და ვიღაც ბერის, კლიმენტოსის მიერ იყო აშენებული.

შემდგომ, როცა ღვთისნიერმა იოანემ მოჰკიდა საქმეს ხელი, ზერძენთა მეფის ბასილის მეფური წყალობით ყველაფერი იმგვარად გააკეთა, როგორც დღეს ვხედავთ. ამგვარად, პირველი აღმაშენებელი კონსტანტინე დიდის შემდეგ იყო ჩვენი ქებული და ყველაფრით სანიმუშო იოანე.

რათა ჭეშმარიტი რწმუნებებით უფრო სრულად შევიტყოთ მისი სათნოება და სხვა ასკეტური საქმენი, ყურადღება უნდა მივაპყროთ და მოვუსმინოთ დიდი ათანასე ათონელის სიტყვებს, რომლებიც მისი ანდერძის თარგმანში, აგრეთვე, მისი „წყალობის წიგნების“ სხვადასხვა ნაწილშია.

## 5

„მე, ათანასე, საწყალობელი ბერი, ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის მონასტრის წინამძღვარი, ათონელი, უსაფრთხოებისათვის წინამდებარე „წყალობის სიგელს“ ხელის მოწერით ვადასტურებ, რათა ჩემი წყალობა იყოს ჭეშმარიტი და მყარი.

არა რაიმე საჭიროების, ან დაცინვის, ან ფარისევლურად, ან კანონების უცოდინარობის გამო ვაკეთებ ამას, არამედ გონების ჩარევითა და საკუთარი ნებით, როგორც ამბობენ, აზრითა და მოსაზრებით და რჩეულ მამებთან შეთანხმებით, რომლებიც თვითონვე აწერენ ხელს და ადასტურებენ წყალობის ამ სიგელს, მიძღვნილს მართლმორწმუნე ბერისა და წინამძღოლის, იოანე ქართველისადმი,

ხოლო მისი საშუალებით—კლიმენტოსად წოდებული უბრწყინვალესი მონასტრისადმი.

როცა უღვთისნიერესი იოანე მოვიდა ჩვენს მთაზე, შემომიერთდა მე, საწყალობელსა და ცოდვილს, და დამემორჩილა ღვთის ღვთის ნებითაც და მისი საკუთარი თავმდაბლობისა და ღვთის ნებითაც ბის გამოც.

ასრულებდა ქველი ცხოვრების მრავალსა და ნაირგვარ წესს და მისი სული ბრწყინავდა და ანათებდა, როგორც მზე. მიადრწია რა სრულყოფას, ბევრი და დიდი სამსახური გავვიწია და თავისი შეხედულებებით გვწინამძღვრობდა.

მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ის სრულ მორჩილებაში იყო, ემსახურებოდა არა მარტო ღმერთს, არამედ მეც, საწყალობელს და სხვა ძმათა მიმართაც ისეთი მზრუნველი იყო, როგორც მანამდე არავინ ყოფილა. იგი თანაბარი ყურადღებით ეპყრობოდა მათაც. ვინც მიატოვა შთამომავლობა და იმათაც, ვინც იმთავითვე განუღვა ამას.

სანატრელმა იოანემ მრავალჯერ დიდი გაჭირვებით გადაცურა ზღვა სამეფო ქალაქისაკენ, ბევრ მეფეს წარუდგა და ებაძა.

დაწყებული მარადსახსენებელი უფალი ნიკიფორეს<sup>11</sup> დროიდან ვიდრე დღევანდლამდე, იოანე მიღებული იყო მეფეთა კარზე, მას პატივით ეპყრობოდნენ, რადგან ახსოვდათ ბრწყინვალე მეფეთაგან მისი დიდი სათნოების დაფასება, ამიტომ ასრულებდნენ მის სათხოვარს და სწყალობდნენ ჩვენს მონასტერს.

იოანეს თხოვნით უფალმა მეფე იოანემ<sup>12</sup> გვიბოძა ქრისობული, რომლის ძალითაც კუნძულ ლემნოსს ყოველ წელიწადს უნდა მოეცა ორას ორმოცდათხუთი ნომიზმა, რომელსაც დღევანდლამდე ვღებულობთ.

მეფე ბასილმაც<sup>13</sup>, რომანოზის ძემ, მეორე ქრისობული მისცა სამგზის სანატრელ იოანეს, რომლითაც კუნძული ნეონი, ახლა ევსტრატოზის რომ ეწოდება, მას დაემორჩილა. ამგვარად, ქრისობული და კუნძული ებოძა ჩვენს უძვირფასეს იოანეს, რომელმაც დაბრუნების შემდეგ ისინი ჩვენს მონასტერს გადმოსცა.

იოანე კეთილ საქმეს მარტო მაშინ კი არ გვიკეთებდა, როცა ჩვენს ლავრაში იმყოფებოდა, არამედ მაშინაც კი, როდესაც იგი წავიდა მონასტრიდან და ღვთის შეწევნით აღმართა და აღაშენა თავისი მონასტერი კლიმენტოსი. იგი არ წყვეტდა ჩვენს მწყალობლობას და, სახარების სიტყვებით რომ ვთქვათ, მსხვერპლად მოჰქონდა საკუთარი სული ჩვენთვის და ჩვენი მონასტრის აღდგენისათვის. მაშინაც და ახლაც იგი იღვწის, რათა შექმნას და გაამყაროს ჩვენი მო-

ნასტერი და როცა შეიტყობს ჩვენს გასაჭირს, ყოველთვის უხვად განგვიკითხავს ხოლმე“.

და ისევ წმინდა ათანასეს ანდერძში წერია: უპიტროპად ვტოვებ უფალ იოანეს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ბოდა დიდი დათმინებით, მორჩილებითა და სიმშვიდით, გვწინამძღვრობდა მეც და მთელ ძმობასაც.

მსურს, ჩემი სიკვდილის შემდეგ, თუ შესაძლებელია, მან ისევ ჩვენთან ერთად წინანდებურად იცხოვროს აქ, როგორც აქაური ძმობის მფარველმა და წინამძღოლმა, რადგან იგი ჩვენი მწყალობელია და განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ წმინდა სულია, ყველასაგან გამოირჩევა და თანაც საცნაური გახადა ჩემთვის თავისი თავმდაბლობა და ჩვენი ძმობისათვის—უბადლო სიყვარული და ჭეშმარიტი რწმენა (ეს ყველაფერი გამოცდილებით ვიცი, რადგან ერთად განველეთ ცხოვრება, ერთად ვიღვაწეთ და ვიცხოვრეთ ამ მთაზე; იგი ხშირად მოდიოდა ჩვენს მონასტერში).

ხოლო სიკვდილის წინ, მანაც ისევე, როგორც მე, უპიტროპად დატოვოს სულიერი მემკვიდრე უფალი ეფთვიმე—თავისი შვილი სულითაც და ხორციითაც.

ეფთვიმემაც აღსასრულის წინ იზრუნოს, რათა ჩვენი მონასტრის წინამძღვრად დაინიშნოს ისეთი პირი ჩვენსავე მონასტრიდან ან მთაწმინდის სხვა ადგილიდან, რომელსაც ღირსად სცნობს ასეთი საქმისათვის და რომელიც მთელ ძმობას ატარებს ქველი ცხოვრების გზით“.

შემდეგ წმინდა ათანასე ასე მიმართავს თავის ძმებს: „უფალ იოანესა და მისი ძმობის მონასტერს კი სიყვარულს ვთავაზობ და მსურს, რომ ყველაფერი, რაც მე იოანეს პიროვნებაში შევიცანი და მის მონასტერში ვიხილე, სხვებმაც დაინახონ და შეინარჩუნონ ჭეშმარიტი სიყვარული უფალ იოანეს მონასტრის ბერებისადმი.

მსურს რომ ის პირი, რომელსაც ჩვენი ლავრის წინამძღვრად უფალი ინებებს, იოანეს ხელით დაინიშნოს. მანვე სცნოს იგი გამოცდილად და ღირსეულად“.

ამას ამბობს წმინდა ათანასე იოანეს შესახებ.

## 6

ყოველივე ამის შესახებ ჩვენ მოგითხრეთ არა სხვა რაიმე მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ გვეჩვენებინა იოანეს ამაღლებული ცხოვრება, ის, თუ როგორი სახელი ჰქონდა მეფეთა თვალში და დიდ სამღვდელთა პირთა შორის და რა დიდი პატივით სარგებლობდა.

იოანემ დაასრულა თავისი ივერთა მონასტერი, შეამკო სხვადა-  
სხვა წყალობით იქ მყოფი მრავალი ძმა და ღრმად მოხუცებულმა  
მიაბარა თავისი წმინდა სული უფალს. იგი იმ მონასტერშივე დაამარ-  
ხეს.

იოანემ მონასტრის წინამძღვრად დატოვა შვილი, თავისი სის-  
ხლი და ხორცი ეფთვიმე.

იმისათვის, რათა დაწვრილებით შევიტყოთ, თუ როგორი იყო  
ეფთვიმე სიქველით, როგორც ნაყოფი ასეთი ხისა, საჭიროა და აუ-  
ცილებელიც ყრმობის ხანიდან გავიცნოთ იგი.

დიდება უფალს უკუნიით უკუნისამდე. ამენ. მამაო, გვაკურთხე-

## 7

როდესაც წმინდა იოანე განუდგა ამ სოფელს და ბერად შედ-  
გა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფთვიმე პატარა იყო. პაპამ, ქველმა  
და კეთილშობილმა ვაჟკაცმა, გააცნო მას საღვთო კანონები, საკუთარ  
ენაზე შეასწავლა წმინდა წერილი. იმის გამო, რომ ბუნებით ფრიად  
ნიჭიერი იყო, ეფთვიმემ მცირე დროის განმავლობაში მიადწია დიდ  
წარმატებას. ამასთანავე, იგი ისე არ ცხოვრობდა, როგორც ახალ-  
გაზრდებს სჩვევიათ ხოლმე (დროის უწყალოდ ხარჯვა ძიამოვ-  
ნებაზე და საერთოდ, ყველაფერზე, რაც ახალისებს ამ ასაკს).

ეფთვიმეს მთელი ნებისყოფა წარმართული იყო იქითკენ, თუ  
როგორ გამხდარიყო ღირსეული მემკვიდრე მამამისის სათნოებისა,  
რომლის შესახებაც ასე ბევრი სმენოდა პაპისაგან და სხვებისაგანაც.  
ასიც მოწოდებული იყო იმისათვის, რათა ყოფილიყო ვენახში,  
სადაც განსაკუთრებული, აღტაცების ღირსი ცხოვრებით ცხოვრო-  
ბენ, ხოლო ღვთის უკვდავი, ყოვლისმხილველი თვალი ეფთვიმეში  
ხედავდა ამ ვენახის ღირსეულ მუშაკს.

## 8

ერთხელ, რალაც საქვეყნო საქმის მოსაგვარებლად, ქართველ-  
თა მეფეს დასჭირდა კაცის გაგზავნა კონსტანტინოპოლში, სადაც შე-  
საძლებელი იყო ბერძენთა მეფის ხილვა.

მაშინ ბერძენთა მეფე იყო დიდი ნიკიფორე—ფილომონახი და  
ფილარეტი.

როცა მსჯელობდნენ, თუ ვინ გაეგზავნათ, ყველაზე მეტად გა-  
მოსადეგი და საქმიანი, შეჩერდნენ წმინდა იოანეს მამაზე, მაშინ

ყრმა ეფთვიმეს პაპაზე, როგორც ყველაზე შესაფერისზე. მან კი ვინც კონსტანტინოპოლში წარსაგზავნად შეარჩიეს, მიიღო ეს ამბავი სულიერი კმაყოფილებით არა იმდენად მეფის ბრძანების გამო, რამდენადაც იმიტომ, რომ რაც შეიძლება მეტი გაეგოთ თვის მიერ იოანეზე, რადგან იცოდა, რომ ათონის მთა ახლოს იყო კონსტანტინოპოლთან და მიზნად დაისახა, საქვეყნო საქმეების მოგვარების შემდეგ ათონს სწვეოდა, რათა იქ მოეძებნა ძვირფასი შვილი იოანე.

წასასვლელად რომ გაემზადა, იქვე თვალი მოჰკრა თავის თავმდაბალ შვილიშვილ ეფთვიმეს, რომელიც მზად იყო მას თან გაყოლოდა, რათა ენახა მამამისი, თუმცა მას კარგად არც კი იცნობდა: იმ დროს, როცა იოანე წავიდა, ეფთვიმე მცირეწლოვანი იყო, მაგრამ თავისი ბუნება და კეთილშობილება უბიძგებდა მას, პაპასთან ერთად წასულიყო კონსტანტინოპოლში, რათა საკუთარი თვალთ ენახა ის, რაც გაეგონა ამ ქალაქზე: სამეფო წესები, უმშვენიერესი ეკლესიები, გასაოცარი მონასტრები, წმინდანები, მორწმუნენი და ყოველივე ამაზე უფრო საყურადღებო—სხვადასხვა სახის სკოლა, სადაც მრავალგვარი განათლების მიღება შეიძლებოდა.

პაპა უძილური აღმოჩნდა დაეშალა მისთვის ეს გადაწყვეტილება და შვილიშვილი თან წაიყვანა.

ბრწყინვალე სამეფო ქალაქ კონსტანტინოპოლში რომ ჩავიდნენ, იხილეს ყველაფერი, რისი ნახვაც სურდა მოგზაურ ეფთვიმეს. სხვათა და სხვათა შორის ნახა ისიც, რისი ნახვისა და სიამოვნების განცდის გამო ყველაზე მეტად სურდა წამოსვლა.

და იხილეთ ღვთის გამოუთქმელი სასწაული! როგორც მოუხმობს იგი თავის საცნაურ ვენახში ყველა ღირსეულ მოღვაწეს.

მე ვფიქრობ, ეს ამბავი, რომელიც ახლა უნდა მოგიტხროთ, შემთხვევით კი არ მოხდა, არამედ ღმერთის ჩარევით.

იმ დროს, როდესაც საქართველოდან კონსტანტინოპოლს მოვიდა მეფის ბრწყინვალე მთავარი ელჩი (როგორც ვთქვით, მამა წმინდა იოანესი ეფთვიმესთან ერთად), ბიზანტოსის ქალაქში<sup>14</sup> მარად ნეტარ მეფე ნიკიფორესთან მთაწმიდიდან ჩამოვიდა იოანეც ათანასე ათონელისა და სხვა პატივცემული მთაწმიდელი მამების დავალებით, რათა ძმობისათვის რაღაც საქმეები მოეგვარებინა.

სამეფო დარბაზში შემოსული რომ დაინახა იოანე მამამისმა, მოულოდნელად ისეთი აღტაცება გამოხატა, რომ ეს განსაცვიფრებელი სიხარული ძნელია გადმოიციეს ამ მოთხრობაში. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ვიტყვი მხოლოდ ამას, რათა ყველამ წარმოიდგინოს, იქ რა ხდებოდა: ხვეენა, ცრემლები, კითხვა-პასუხები, საუბარი ამაო ცხოვრებაზე, ჭეშმარიტი ცხოვრების ქება, ამ ქვეყნიდან



ლტოლვის ღირსებათა შესახებ მსჯელობა და სხვანი, რომლებზეც არ შეეჩერდები, რათა დრო არ დაგვარგო.

ყველაფრის გადმოცემა რომ არ მომიხდეს, რაც იქ მოხდა, მსურს მეც ისევე ვთქვა, როგორც ნეტარმა პავლემ: „დამაკლებს მე მთის მთაზე დადებული წიგნი“<sup>15</sup>. მინდა მოგითხროთ იოანესა და მის მამაზე, უფრო მეზე, რომელმაც, როცა დაინახა, რომ პაპამისი თვალცრემლიანი ეხვეოდა წმინდა იოანეს, მასში მამა შეიცნო. სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნითაც, ორივეს სახე რომ ავლენდა და ადასტურებდა მათ მსგავსებას, მიხვდა, რომ ისინი მამა-შვილი იყვნენ.

უცებ, ყოველგვარი შეკითხვის გარეშე, დაემხო მამამისის ფეხებთან, დაუკოცნა ხელები და აღმოხდა:

„დღევანდელი დღე არის ჩემი დაბადების დღე, მამაჩემო, უბატონესო, რამეთუ ვიხილე უსაყვარლესი და უძვირფასესი სახე თქვენი. უკვე რამდენი წელია ვირწმუნე ხმა, რომ მამა მყავდა და ახლა თვალნი ჩემნი ხედავენ, რომ შენ მიგიტოვებია სამშობლოს ძვირფასი მიწა და უტკბილესი ნაყოფი მისი (როგორც პოეტი ამბობს), მოსულხარ აქ, რათა ჩემთვის მწუხარება გაგქარვებინა და სიხარული გაგემრავლებინა. დაე, იდიდოს სახელმა ღვთისამ, რომელმაც მაჩუქა მე ის, რაზეც ვოცნებობდი და მაჩვენა უძვირფასესი მშობელი ჩემი, რათა დავრჩე მარად შენთან და გავხდე მემკვიდრე არა იმ მონაგარისა, რომელზედაც, როგორც უღირსზე, უარი ვთქვი და განვუდექი, როგორც უსარგებლოსა და ფუჟს, არამედ შეგიქნე მემკვიდრე შენი სიქველისა და ამ სიქველის გამგრძელბელი, რამეთუ შენ რომ გიმზერ, მგონია, ზეციურ ანგელოზს ვხედავ“.

ეს რომ მოისმინა წმინდა იოანემ, დიდად გაიხარა, სიხარულის ცრემლები მოსწყდა თვალთაგან, ცისკენ ალაპრო ხელები და წარმოთქვა:

„მადლობას გწირავ შენ, ღმერთო, რათა დღეს საშუალება მომეცი გავიხარო იმით, რომ საკუთარ ნაშიერს მშობლად გამოვუჩინდი. ახლა აქ მყოფ ჩემ შვილს უმანკო მსხვერპლად შემოგწირავ შენ, ისევე როგორც ერთ დროს აბრაამმა თავისი სხეულის ნაწილი ისააკი შემოგწირა.“

აი, უფალო ჩემო, მე და შვილი ჩემი, შენ რომ მარჯუნე, შენივე წმინდა ნება-სურვილისამებრ მოაწყე მისი ცხოვრება, რათა მან განადიდოს სახელი შენი სამარადისოდ“.

ამას ამბობდა, თან ეხვეოდა თავის შვილს და კოცნიდა, როგორც მშობელი. შემდეგ მიუბრუნდა ღირსეულ მამას და, თვალცრემლიანმა და გულით გახარებულმა, უთხრა შემდეგი სიტყვები:

„მრავალგზის პატივცემულო მამავ ჩემო, ბატონო ჩემო, როგორ შეეძლებ გადაგიხადო ის ამაგი, რომელიც შენ ჩემს შვილზე ზრუნვით გამოიჩინე: ღვთიური შეგონებებით აღზარდე და უფროსებში შთათუნერგე. ვხედავ, რომ ასაკით მცირეწლოვანია და ხანდახან მუცლის ტკივილით კი აზროვნებს. ხარობს სული ჩემი ორმაგად, მაგრამ მსურს, ჩემთან დარჩეს. მისი ლაპარაკი, თავმდაბალი ქცევა და ბრძნული აზროვნება სასიამოვნოდ მაფიქრებინებს იმას, რომ იგი მომავალში ცნობილი ბერი გახდება და თავის სულთან ერთად იხსნის პეკრ სხვა სულსაც. ვთხოვ, წინააღმდეგობას ნუ გაუწევ, მამაჩემო, ჩემს განზრახვას, როგორც არასწორს. მსურს, ისევე როგორც მე; ჩემმა შვილმაც შეიძულოს ეს სოფელი და გაექცეს მას, რათა გახდეს ზეციური სამეფოს მემკვიდრე“.

ასეთი მოულოდნელი განცხადების გამგონე წმინდა იოანეს მამა ერთხანს განცვიფრდა, ხოლო როცა გამოერკვა, ეს თქვა:

„ო, შვილო ჩემო, ძვირფასო იოანე, ეს რა მესმის? ვიფიქრე, ჩემთან ერთად წამოხვიდოდი ჩვენს სამშობლოში, იქ მონასტრებს აღმართავდი, ისევე იმოდგაწებდი, როგორც ათონის მთაზე, სიბერეში დამამშვიდებდი. შენ კი მთხოვ, დაგიტოვო ეფთვიმეც, საყრდენი ჩემი სიბერისა და ჩვენი გვარის მემკვიდრე? თუმცა, თუ ეფთვიმეს სურს, დაე, მას ჰკითხოვნ. მე კი კეთილი და საღვთო მიზნის ხელისშემშლელი რომ არ აღმოვჩნდე და ცოდვა არ დავიდო მისი არ დატოვებით, ხელს არ შევუშლი, დაე, დარჩეს“.

როცა ეფთვიმეს ეკითხებოდნენ, იგი, როგორც იტყვიან, ველად გაჭრილი კვიცივით ლალი იყო. და დარჩა მამასთან, რომელმაც, მიიღო თუ არა იგი მშობლის ხელიდან, მაშინვე მიაბარა ბერძნულ მეცნიერებათა სკოლაში და ყველა მსურველს შეეძლო ენახა, როგორ მოჰყვებოდა სასწაული სასწაულს: ძალზე იოლად სწავლობდა წმინდა წერილსაც და ბერძნულ ენასაც, და ამგვარად, დროთა განმავლობაში ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ ცნობილი გახდა მთელი ქალაქისათვის. ყველას პირიდან მხოლოდ ეფთვიმეს ქება ისმოდა.

იოანემ თავისი საქმეები განასრულა, დაუბრუნდა ათონს და იქ ასკეტურ მოღვაწეობაში ჩაება, ხოლო ეფთვიმე შეება წმინდა წერილის შესწავლასა და დიდი ჯაფის შედეგად ისე ძლიერ გახდა ავად, რომ სიკვდილის პირას მივიდა, მაგრამ გადარჩა არა მკურნალთა წამლობით, არამედ დედოფლის ჩვენის ღვთისმშობლის ჩარევით, რომელიც მას სიხმარში გამოეცხადა და უბოძა ჯანმრთელობა: ეს გახდა

მიზეზი ეფთვიმესათვის, რათა მთელი არსებით შეეყვარებინა ქველი ცხოვრება, მოიძულა ეს ქვეყანა და ბერობა მოისურვა. მაშინვე, რომელმაც მეცნიერებათა შესასწავლად დატოვა იგი ქალაქში, სურდა, რომ მას შემდეგ, რაც იგი ყველაფერს შეისწავლიდა, დაბრუნებულიყო წაყვანა და ბერად აღეკვეცა.

ეფთვიმემ მიზანს სწრაფად მიაღწია. სწორედ ამაზე მოგთხრობთ ქვემოთ.

## 10

ხმა ეფთვიმეს სიქველისა და განსწავლულობის შესახებ მთელს კონსტანტინოპოლს მოედო.

ერთ დღეს მივიდა მასთან ვიღაც ებრაელი და სთხოვა, რომ რწმენის შესახებ გაემართა კამათი მასთან. ნეტარმა თავიდან მოიცილა იგი, რადგან იცოდა, რომ ებრაელთან ბაასს აზრი არა აქვს და შედეგს არ გამოიღებს არც მოკამათის, არც მსმენელისათვის. ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ უფალი მოვიდა ამქვეყნად, როგორც ამბობენ წინასწარმეტყველები ქრისტეს მოვლინებაზე, და რომ ყველას მიეზღვება დამსახურებული აღსასრული და ის, ვინც იკამათებს ამ საკითხებზე, უაზრობას სჩადის. ნაცვლად იმისა, რომ თავიდან აცილებინა ხშირი შეწუხება იმ წყეული ებრაელისაგან, რომელიც მოდიოდა ხოლმე მასთან და თავს აბეზრებდა, ღვთისნიერი ეფთვიმე დათანხმდა მასთან ბაასზე და სასტიკად დაამარცხა იგი წმინდა გამოხატვამთა მოშველიებით. ებრაელის ყველა უძალო შეკითხვა ისე დაირღვა ბრძენის მიერ, როგორც თობას ქსელი. და როცა ებრაელს არც ერთი ძლიერი მტკიცება არ დარჩა, მან დარწმუნების იოლ გზას მიმართა: ილანძღებოდა, მრისხანებდა. იმ დროის განმავლობაში, რაც ის ავსიტყვაობდა, წმინდანს გუნებაში ეცინებოდა. ეფთვიმეს აუღელვებლობა და სულიერი სიმშვიდე შენარჩუნებული ჰქონდა, ხოლო როცა უღირსმა ებრაელმა ხმა აიმაღლა მაღალი ღმერთის წინააღმდეგ, ეფთვიმემ, საღვთო შურით ანთებულმა, უთხრა მას:

„გააჩერე შენი ღვთისმგმობი ენა“.

და აი, სასწაული! მაძაგებელი მიწაზე დაეცა და ენა წაერთვა, პირზე დუყი მოადგა, გორაობდა, საცოდავი შესახედავი გახდა. ყველა იქ მყოფი გაკვირვებული დარჩა. გათენებამდე განშორდა ებრაელი თავის უღირს სულს და მიაბარა იგი ეშმაკს. ყველა, ვინც შეიტყო ეს ამბავი, განცვიფრებამ შეიპყრო და შეაშინა ამგვარმა სასწაულმა. ამის გამო მთელ ქალაქში გავრცელდა ხმა ახალ პეტრეზე— ეფთვიმეზე, როგორც სასწაულმოქმედზე. ყველა აღიდებდა მას,

უკვირდით მისი, პატივს სცემდნენ, როგორც ვინმე სახელგანთქმულ პიროვნებას ძველი დროისა.

ნეტარი კი გაუბოლოდა ქებას, არ სურდა სახლიდან გვესწავლინათ თქოს რაიმე ცოდვა მიუძღოდა და უნდოდა (როგორც იმას ვიცნობთ) ლი ნება უკარნახებდა) განშორებოდა ფუჭსა და უბადრუკ დიდებას. განიცდიდა რა ზიზღს იმ ხმებისადმი, რომელიც ხალხმა გაავრცელა მასზე და რადგან იგი შორს იყო ნამდვილი დიდებისაგან, ეფთვიმე გაემგზავრა ათონის უწმინდეს მთაზე, დატოვა კონსტანტინოპოლი და მასთან ერთად განეშორა ყოველივე ამქვეყნიურს, (როგორც ვერავ მტერს, რომელიც ხაფანგს უგებს სულს), რათა ხელი მიეყო ქრისტესდარი ცხოვრებისათვის.

## 11

თითქმის მაშინვე, როცა ავიდა წმინდა ათანასეს ლავრაში, ეფთვიმე შეხვდა მამამისს. ხოლო წმინდა ათანასემ, რომელსაც ძლიერ უყვარდა იგი, დიდი სიხარულით მიიღო და ცოტა ხნის შემდეგ ბერადაც აკურთხა, რადგან ხედავდა თუ როგორ ძლიერ შიისწრაფოდა იგი ღმერთისაკენ, არ არსებობდა მისთვის სხვა საქმიანობა, თვინიერ ღვთის განდიდებისა. მარხვის, ღამისთევის, დათმენის, მორჩილების და საღვთო წერილის კითხვის მეტი არაფერი აინტერესებდა. ეს კი სასარგებლო საქმეა და სულისმარგებელია როგორც მთელი ძმობისათვის, ასევე ჩვენი—რომაელთა და მათი—ქართველების, სიბრძნეთა დასაკავშირებლად.

ეფთვიმემ თარგმნა მთელი წმინდა წერილი ბერძნულიდან ქართულად. კიდევ სხვა ბევრი და ნაირგვარი სულისმარგებელი წიგნი. თვითონაც წერდა დოგმატური და დამრიგებლური ხასიათის მრავალ თხზულებას თავის მშობლიურ ენაზე, ამიტომ სამართლიანად უწოდებდნენ ქართველები ახალ ოქროპირს ეფთვიმეს, რომელმაც გაამდიდრა თავისი ღარიბი ხალხი ოქროს ნაწარმოებებით და უფრო მეტად გაალამაზა და უფრო ცნობილი გახადა, ვიდრე კიროსმა<sup>16</sup> თავისი ხალხი გამარჯვებებით, ხოლო კრემმა<sup>17</sup>—უთვალავი სიმდიდრით. ისინი სიზმარივით განქრნენ და ისე დადნენ, როგორც ალზე ცვილი, ხოლო ახალი ოქროპირის—ეფთვიმეს ოქროს წიგნები მარად უკვდავი იქნება, როგორც ჭეშმარიტი მოწმე და სამუდამო პაცნე მისი ორგვარი სიბრძნის, დიდებისა და განსაცვიფრებელი სათნოებისა.

წმინდა ათანასე ურჩევდა მას მიეღო მღვდლის მაღალი წოდება, რადგან მიიჩნევდა ამის ღირსად. მხოლოდ დიდი ცდის შემდეგ ათანასემ და იოანემ (პირველმა—სულიერმა, ხოლო მეორემ—ხორ-

ციელმა მამამ) დაითანხმეს იგი მიეღო მღვდლის წოდება და მას შემდეგ, რაც მიიღო წმინდა კურთხევა სული წმინდის მირონცხებით. ცდილობდა ყოფილიყო ღვთის დაუმარცხებელი მხედარი. ეფთვიმემ დატოვა ყველაფერი, შეისწავლა, თუ რაზე უნდა მივსულიყავი. ფერებოდა ქრისტეს მხედარს. როგორც ამბობს დიდი მოციქული, „არა ვინ მოლუაწე შეეყოფვის სოფლისა საქმეთა, რათა ერისთავსა მას სათნო ეყოს“<sup>18</sup>. ამიტომ, ნეტარ ეფთვიმეს სხვა მიზანი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მარხვას მარხვას უმატებდა, ღვთის სამსახურს—ღვთის სამსახურს და ისეთი გახდა, რომ ვინც ხედავდა, უკვირდა, ადამიანი იყო იგი თუ ანგელოზი, შემოსილი ხორცით. განა ნახავდით ოდესმე აღშფოთებულს, აღელვებულს? ან მზერამიპყრობილს რაიმე მიწიერი საქმისადმი?

უბრალოებით, უცოდველობით ისე ამაღლდა, რომ მომზირალთათვის გასაოცარი იყო, როგორც ეს ქვემოთაა მოთხრობილი.

## 12

ასეთი ზეადამიანურად მაღალი სათნოების გამო დიდ ეფთვიმეს სურდა სხეულსა და ამ სოფელზე უარის თქმით, როგორც ამბობს წმინდა წერილი, ეპოვნა განმარტობებული ადგილი, რათა არაფერს არ შეეშალა მისთვის ხელი, გამოეცადა თავი სიქველუში. როცა სულისათვის დადგება განკითხვის დღე, რომლის დროსაც ზეობს საღმრთო სიბრძნე, გამომდინარე ყოფიერებიდან, მაშინ იგი, სული, არაფერს ისურვებს სხვას, თუ არა სიმშვიდეს, რათა წინ არავითარი დაბრკოლება არ გადაელობოს და მისი ყურადღება მიემართოს სიყვარულის სავანს—მე ვგულისხმობ საღვთო სიბრძნეს.

ასეთი სიყვარულის ტყვეობაში იყო წმინდა ეფთვიმეს სულიც—სხვა არაფერზე ფიქრობდა ის, თუ არა სიმშვიდეზე, განმარტობაზე.

ერთ დღეს, როცა გაუმეღავნა თავისი მიზანი მამამისს, წმინდა იოანეს, მიხვდა, რომ ისიც შეეპყრო ამგვარ სიყვარულს. ორივე გაეშურა სულიერ მამასთან, ღირს მოხუც ათანასესთან, რათა გაემეღავნებინათ მისთვის თავიანთი გადაწყვეტილება.

ეს რომ მოისმინა ათანასემ, ერთი მხრივ, გაიხარა, რადგან მათი მიზანი ღვთისსასურველი იყო; მეორე მხრივ, ეწყინა, რადგან ისინი დიდად ეხმარებოდნენ ყოველგვარ საქმეში და კარგი მრჩეველები იყვნენ. ამიტომ დიდ და ყოველმხრივ წინააღმდეგობას უწევდა, რათა გადაეფიქრებინებინა მათთვის და თავის ლავრაში დაეტოვებინა, როგორც ნიმუში და წესი ქველი ცხოვრებისა სხვა ძმათათვის, მაგრამ ვერ

შესძლო, რადგან ხედავდა მათი გადაწყვეტილების სიმტკიცეს. ამიტომ აკურთხა იოანე და ეფთვიმე, რომელნიც მისი რჩევით წავიდნენ (თავიანთ ნათესავ გიორგისთან ერთად) ერთ მყუდრო ადგილს, კლიმენტოსად წოდებულ მონასტერში და ცხოვრობდნენ იქ, აწუფულნი საღვთო შურით.

მონასტერი პატარა იყო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაგრამ როგორც „ვერ კელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა“<sup>19</sup>, ასევე სათნოებამ საშუალება არ მისცა მათ სიმშვიდეში დარჩენილიყვნენ, რადგან ბევრი, ვინც იგებდა მათი მოღვაწეობის შესახებ, მიაშურებდა მათ, განსაკუთრებით ჭარბობდნენ მათი თვისტომნი — ქართველები.

მაშინ, შევიწროებულებმა, თავისი ძმობის სახელით თხოვნით მიმართეს მეფე ბასილის, რომანოზის ძეს<sup>20</sup>, რათა მას გაეღო ხარჯი და ააშენეს, როგორც ზემოთ დაწვერეთ, ეს წმინდა მონასტერი. მისი წინამძღვრობა დღიდან მშენებლობის დაწყებისა, ვიდრე გარდაცვალებამდე ეპყრა ნეტარ იოანეს, რადგან ეფთვიმეს განმარტობა უყვარდა.

მისი სიკვდილის შემდეგ ნეტარ ეფთვიმეს გადაეცა წინამძღვრობა და დაეკისრა ზრუნვა არა მარტო თავის, არამედ მთაწმინდის ბევრ სხვა მონასტერზე. მან სხვადასხვა ადგილას ააშენა წმინდა ეკლესიანი, საავადმყოფოები და მოხუცთა სახლები. იგი იყო მამა მთელი მთისა და მხურვალე მფარველი, ამიტომ უყვარდა იგი ყველას, როგორც ბრძენი და სათნო სხვებზე მეტად. არა მხოლოდ მათ უყვარდათ იგი, ვისაც ენახა, არამედ მათაც, ვისაც მხოლოდ სმენოდა მისი სახელი—მეფეებსაც, მმართველებსაც, პატრიარქებსაც და დიდ მონაზონთაც.

ფუჭი რომ არ იყოს ჩვენი საუბარი, მოდით, აღვწეროთ საქმეებიც, რათა შევიტყოთ, რაოდენ გამოირჩეოდა წმინდა ეფთვიმე ცნობილ კაცთაგან.

იმ დროს, ერთხელ, საჭირო გახდა მთაწმინდიდან სალონიკში რალაც საერთო საქმეებზე უნარიანი კაცის გაგზავნა, რათა მას მოეგვარებინა ეს საქმეები.

მთაწმინდის ყველა მამამ სთხოვა წმინდა ეფთვიმეს, რათა თავის თავზე აეღო ეს მისია (რადგან ხელ-ეწიფებოდა სათნოებითაც და იმ აზრის გამოც, რომელიც მის შესახებ არსებობდა ყველგან) და მოეგვარებინა საქმეები მათი სურვილისამებრ და შეძლებისდაგვარად სწრაფად.

ეფთვიმემ, როგორც ქრისტეს მოწაფემ, მაშინვე ყურად იღო მათი თხოვნა და დაუყოვნებლივ გაემურა სალონკს. იგი კარგად

მიიღო სალონიკის მაშინდელმა არქიერევსმა, რომელიც ჭეშმარიტად შემკული იყო სხვადასხვა სიჭველით.

მოხდა ეს ამბავი, როგორც ვიცი, არა უბრალოდ და შემთხვევით, არამედ ღმერთის ჩარევით: არქიერევსს ჰყავდა ერთი ებრაელი, რომელიც ემსახურებოდა მას ყველა საქმეში. არქიერევსი მას არასოდეს ტოვებდა, რადგან სურდა დაეყოლიებინა, რათა მას დაეგდო თავისი მცდარი რელიგია და მოქცეულიყო უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს რჯულზე, მაგრამ, როგორც ამბობენ, სად ვირი და სად ქნარი! ჭირვეული და გაუტყეხელი ბუნების მქონე ებრაელმა უთხრა არქიერევსს: „მე მხოლოდ შიშველი სიტყვებით რწმუნებას ვერ დაუჭერებ. თუ გასურს ჩემი დარწმუნება, დაე ვიკანათოთ, და თუ შესძლებ ჩემს დარწმუნებას საღვთო წერილის სიწმინდეში, დაგეთანხმები“.

ეს რომ გაიგო არქიერევსმა, მიუბრუნდა იქ მყოფ ეფთვიმეს და უთხრა მას:

„გაისარჯე, პატიოსანთა შორის უპატიოსნესო და უბრძენესო მამაო, რათა ჭკუა ასწავლო ამ მკვეხარასა და უგუნურ ურიას. შენს ცოდნასა და განსწავლულობაზე მსმენია, ახლა კი თავად დავრწმუნდები ამაში“.

ეს რომ გაიგო ეფთვიმემ, წამოდგა, და რათა გადაერწმუნებინა იგი, როგორც ქრისტეს მორიდებულ და წყნარ მოწაფეს შეეფერება, უბასუხა:

„შემიწყალე მე, წმინდა უფალო, რამეთუ თქვენი სიწმინდის წინაშე არარა ვარ, თუ არა მიწა და ფერფლი და შენთან ლაპარაკი არ შემდერის, რადგან ყოველივე ეს შენ უკეთ მოგეხსენება, ვიდრე მე“.

უთხრა მას წმინდა არქიერევსმა: „შეუძლებელია ასე არ მოიქცე, რადგან დღეს მსურს ჩემი სიყვარულის გამო დაიჯერო, რასაც ვამბობ“.

როცა დიდმა ეფთვიმემ მოისმინა ეს, დაემორჩილა არქიერევსის სიტყვებს და ისე მოიგერია წინასწარმეტყველთა გამონათქვამებით ებრაელის შემოტევები და ისე დაადუმა იგი, რომ მსმენელნი განცვიფრებულნი იყვნენ და ეწადათ ეწოდებინათ მისთვის არისტოტელეს ან ვინმე სხვა მორჭმული ბრძენის სახელი კი არა, არამედ მოსე და ესაია.

ხოლო ღვთაებრივი გარდასახვის საიდუმლო ისე დაუსახა იმ წყეულ ებრაელს როგორც ზებუნებრივი, ასევე ბუნებრივი საბუთებით, რომ ძნელი გასარჩევი იყო, ადამიანის ნაშიერი იყო იგი თუ თავად სული წმინდისგან მოვლენილი.

ამიტომ, მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ეფთვიმე ყველაფერს

ამბობდა მხოლოდ სულის წყალობით, რომელიც მეტყველებდა ეფთვიმეს ბაგით ისევე, როგორც ერთ დროს დიდი პავლე ათენელისა<sup>21</sup> და სხვა წმინდა მოციქულების პირით.

ებრაელი უღონო აღმოჩნდა მას გამკლავებოდა, უფრო ღვიძლი დადუმდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი გაალო თავისი უწმინდური პირი და წარმოთქვა ღვთის საგმობი სიტყვები, ისევე როგორც აღრე ხსენებულმა, ეფთვიმეს მიერ დამარცხებულმა ებრაელმა კონსტანტინოპოლში.

ეფთვიმემ უკვე საკმაოდ კუშტად შეხედა მას (რადგან ღვთის მგობი ყოველი უცოდველი სულის აღშფოთებას იწვევს) და უთხრა:

„დააღუმე, უბადრუკო, შენი უწმინდური ენა, რომელიც ღვთის მიმართ ცილსა და გმობას ურცხვად წარმოსთქვამს“. ებრაელმა მასწავლებელმა გონი დაკარგა, მიწაზე დაეცა, თვალები და ბაგეები გადმოუბრუნდა და მკვდარს დაემსგავსა. ასეთმა სასწაულმა დიდად განაცვიფრა და შეაშინა იქ მყოფი ქრისტიანები და ებრაელები, რომელნიც პირქვე დაემხნენ წმინდანის წინაშე და მხურვალედ სთხოვდნენ მას ებრაელის შებრალებას.

წმინდანმა შეიბრალა იგი, გარდასახა ცხოველმყოფელი ჯვარი, აღადგინა, სული შეუბერა და ებრაელი ისევე ჯანმრთელი შეიქნა, როგორც აღრე იყო. როგორც კი წამოდგა, საზეიმო და ძლიერი ხმით აღმოხდა, რომ ჭეშმარიტი ღმერთი არის ქრისტი.

ხოლო წმინდანმა მოუწოდა მას, რათა აღესრულებინა წმინდა მონათელის წესი, მანვე მონათლა მთელი მისი სახლობა და არა მხოლოდ ის, არამედ იქ მყოფი ყველა ებრაელი, რომელთაც მოისმინეს წმინდანის სიტყვა და მოწამენი გახდნენ ამ გასაოცარი სასწაულისა.

ბევრმა სხვა ებრაელმაც, რომელიც იქ არ იყო, ირწმუნა ქრისტი და შიხათლა. ხოლო ამ ებრაელმა, რომელიც განიკურნა და მოიქცა, მოიწადინა რა საზღაური გადაეხადა წმინდანისათვის, მოიტანა და ფეხთ დაუწყო მას უამრავი ოქრო, რომელიც წმინდანმა მიიღო მიწად და არა ოქროდ, ისე რომ შეხედვაც კი არ ისურვა. მისი ბრძანებით ოქრო ღატაკებს დაურიგეს. დიდება უფალსა ჩვენსა უკუნითი უკუნიანდღე. ამენ.

მომდევნო საკითხავები. მამაო, გვაკურთხე.

იმ დროს, როცა წმინდა ეფთვიმემ დაასრულა თავისი საქმეები სალონიკში და ივერთა წმინდა მონასტერში დაბრუნდა, მთელ



მთაწმინდაზე დიდი გვალვა იდგა, ისე რომ, აუცილებელი იყო კოვის პირული წვიმისათვის მოეხმო ვინმეს, თუნდაც მეორე ელიას<sup>22</sup>.

ბევრი მოდიოდა ეფთვიმესთან და სთხოვდა მას, რომ თმეტოსა შევედრებოდა მათ შებრალებასა და მოწყალების გაღებას. ეთანხმა მეორე ელია მასთან თხოვნით მოსულ ღვთისნიერ მამებს, გაეშურა და წმინდა და დიდებულ ელიას სახელობის ეკლესიაში, რომელიც ივერთა მონასტერთან ახლოს მდებარეობდა, მთელი ღამე გაათენა, თვითონ განასრულა საღვთო ყამისწირვა.

როცა საღვთო ყამისწირვა განსრულდა, ისეთი წვიმა წამოვიდა, რომ მთელი მიწა მორწყო. ყველა ისე შეძრა ამ ამბავმა, რომ ხმა-ნაღლა ადიდებდნენ ღმერთის სახელს, რომელიც განადიდებს ყველა მის განმადიდებელს.

იმისათვის, რათა შეიტყოთ, თუ როგორი იყო დიდი ეფთვიმეს სიქველე, მოისმინეთ სხვა ამბავიც.

ძველდაც და ახლაც მთაწმიდელ მამებს ჩვეულება აქვთ — უფლისა ჩვენი იესო ქრისტეს ფერისცვალების ბრწყინვალე და ნათელი ღღესასწაულის დროს ათონის მთის მწვერვალზე ასვლა და მწუხრის ლოცვა მწუხრიდან ცისკრამდე, რის შემდეგაც თავ-თავის მონასტრებს უბრუნდებიან.

ერთხელ, სხვა მამებს, რომელნიც ჩვეულებისამებრ მიდიოდნენ მთის წვერზე, რათა იქ ეზეიმათ ჩვენი მაცხოვრის ფერისცვალების წმინდა ღღესასწაული, თან გაჰყვა წმინდა ეფთვიმეც.

მას სთხოვეს, რომ აღესრულებინა ღვთისმსახურება. იგი ამ თხოვნას ფრიად მოკრძალებული თავმდაბლობით დაეთანხმა. იმ დროს, როცა ხმამაღლა გამოაცხადა: „დიდების გალობასა გალობდეთ, ღაღადებდეთ, ხმობდეთ და იტყოდეთ“, ხოლო ძმებმა უპასუხეს: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ“, საშინლად გაიელვა, მიწა იძრა, ყველაფერი განათდა. სინათლის კაშკაშისაგან და მიწისძვრისაგან შეშინებული ბერები პირქვე დაემხნენ მიწაზე, ისევე როგორც უფლის მოწაფეები ოდესღაც — ფერისცვალების მთაზე.

მხოლოდ ნეტარი ეფთვიმე იდგა გაუნძრევლად და ცეცხლოვან, სვეტს ჰგავდა.



ამის გამო იგი კიდევ უფრო ცნობილი შეიქნა მთელს მხარეში. ამიტომ იყო, რომ ბერძენთა მეფე ბასილმა, რომანოზის ეჭვიანობის გამო, მისწერა მას თხოვნისა და ვედრების წერილი, რომლის მიხედვითაც კის თავზე აეღო კეპროსის არქიეპისკოპოსობა, რადგან იმ დროს კეპროსის ყოფილი არქიეპისკოპოსი გარდაიცვალა. ეფთვიმეს ამის გაგონებაც კი არ უნდოდა, რადგან თავის თავს უღირსად თვლიდა ამგვარი სამსახურისათვის და თქვა:

„მე ვსაჭიროებ, რომ წარმმართონ, არათუ მე წარვმართო ვინმე“.

ასე მოეცვა იგი თავმდაბლობას—ყოველგვარი სიქველის დედას, ყველაფერი გულთან მიჰქონდა.

ისე მტკიცედ იყო ჩამარხული მის გულში სიმშვიდე — დედა ყოველი სიკეთისა, რომ თუ ვინმე მოისურვებდა თვალი შეეველო თვით ხორცშესხმული სიმშვიდისათვის, იკმარებდა ეფთვიმე ეხილა.

ეშმაკმა თავისი ბოროტი თვალი დაადგა ეფთვიმეს, რამეთუ მისი წესია სიკეთის მონუსხვა და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

და აი, იბოვა ეშმაკმა ბერი, ერთი იმათთაგანი, ვისაც თავი წმინდანად მოჰქონდა, გულში კი, როგორც ოდესღაც იუდას, ეჭვად ნამდვილი ეშმაკი, რომელიც არწმუნებდა მას (ო, ღმერთო ჩემო), რომ მოეკლა წმინდანი. ჩვეულებისამებრ, ჩურჩულით ეუბნებოდა (როგორც ადრე — ევას), რომ, თუ მოკლავდა წმინდანს, დიდ საზღაურს მიიღებდა მისგან.

ხოლო ის უწმინდური და ურწმუნო, როგორც იტყვიან, თავქარიანი საქმეში, დანით შეიარაღებული ავიდა კოშკში, სადაც წმინდანს სენაკი ჰქონდა. წმინდანის ერთმა მოწაფემ, რომელმაც დაინახა იგი მკვლელობისათვის მომზადებული და დანით ხელში, მოასწრო და დაკეტა სენაკის კარები, საშუალებას არ აძლევდა, რომ შესულიყო და რაიმე უბედურება შეემთხვია წმინდანისათვის.

თავდამსხმელმა, რომელმაც ვერ აღასრულა თავისი მიზანი, დანა ჩასცა მის მოწაფეს და სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მკვლელი გასისხლიანებული ხელებით გაიქცა იქიდან, მაგრამ გზაზე შემოხვდა წმინდანის მეორე მოწაფე, რომელსაც ისევე მოექცა: ისიც მოკლა, როგორც პირველი. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, პირქვე დაეცა და

ემშაკეული სიტყვების თქმა დაიწყო მანამ, სანამ მასვე არ ჩააბარებდა თავისი უწმინდური, შებილწული სული.

წმინდანმა ეს ამბავი სული წმიდის მეშვეობით შეიტყო, სასწრაფოდ დაეშვა კოშკიდან, წმინდა და ანგელოზებრივი ზიარება ანგელოზთა აკლო თავის ორ მოწაფეს, რის შემდეგაც მათ მალე მიაბარეს თავიანთი წმინდა სულები უფალს, გახდნენ რა ჰეშმარიტი მოწამენი.

18

ურცხვმა ეშმაკმა ვერ აიტანა გაწბილება და, ძალაგამოლეულმა, აღმართა იარაღი წმინდანზე და კვლავ დაუწყო ძებნა ახალ ხერხს, რათა გამოემკლავნებინა სიავე წმინდანისადმი და ზიზღი სიქველისადმი. ვერაგმა შეძლო ეპოვნა იარაღი — მონასტრის მებაღე, ბუნებით ბოროტი და ავი მიღრეკილებების ადამიანი, რომელსაც შურდა წმინდანისა. ეშმაკმა აღძრა იგი წმინდანის მოსაკლავად. მან ანაფორაში დამალა დანა და წმინდანთან რომ მივიდა, მოულოდნელად ნუცელში ჩასცა მახვილი, რომელიც მოიღუნა, როგორც ცვილი, ხოლო წმინდანი უვნებელი დარჩა, რადგან იფარავდა მაღალი ღმერთის ხელი.

სასწაულს სასწაული მოჰყვა: მებაღეს ხელი, რომელიც მან წმინდანის წინააღმდეგ აღმართა, გაუხმა და გაუშეშდა. ამით წმინდანი განდიდდა და ცნობილი გახდა, ხოლო მებაღე იძულებული შეიქნა ცხარე ცრემლით ფეხთ ჩავარდნოდა წმინდანს მონახიებისათვის და შეწყალება და ხელის განკურნება ეთხოვა.

ეს რომ დაინახა ეფთვიმემ, მყისვე ზეცისაკენ აღაპყრო ხელნი, ღვთისაკენ — თვალნი და წარმოთქვა: „არ ჩათვალო, უფალო, ცოდვილად იგი, არამედ მიუტევე შენს უღირს მონას ჩემი სამუალებით, რათა იდიდოს სახელმა შენმა უკუთნისამდე. ამენ“. და, დაასრულა თუ არა ვედრება ეფთვიმემ, მებაღე მაშინვე განიკურნა სულიერადაც და ხორციელადაც.

19

რა სიტყვას ძალუძს ზუსტად გადმოსცეს ჩვენი ბრწყინვალე მამის — ეფთვიმეს სათნოება, მისი გულმოწყალება, არაგულბრძობა, უბოროტობა, მოწყალებობა, თავაზიანობა ყველასთან, ღამეების თევია, უძილობა, გამუდმებული ლოცვა, მგრძობიარობა, თავმდაბლობა, ყველაფერში ზომიერება? ყოველდღიურად იკვებებოდა მხოლოდ პურითა და წყლით, ტანთ ეცვა უხეში სამოსელი, ხოლო საწოლის

ქვეშ ეგო რკინა, რომელიც თრგუნავდა მთელ სხეულს. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მხოლოდ ის ვთქვათ, რომ ვისაც კი ენახა იგი, ყველა ამბობდა, რომ იხილა განსხეულებული ანგელოზი და ცატი, რომელმაც ზეცაში უნდა გაატაროს სიცოცხლე.

მაგრამ რადგან კაცი იყო, მასაც ედო საზოგადო ვალი. მოისმინეთ მისი სიკვდილის ამბავი.

## 20

მთელი მთა მოიცვა შფოთმა შუღლისმთესველი ეშმაკის ჩარევით. საჭირო შეიქნა კაცის გაგზავნა კონსტანტინოპოლში, რათა მოეტანათ მეფის ბრძანება სიმშვიდისა და ზავის თაობაზე და შუღლი შეეწყვიტათ.

როდესაც შეიკრიბნენ, ყველამ ერთხმად გადაწყვიტა და სამართლიანად მიიჩნია დიდი ეფთვიმესათვის მიენდოთ ეს საქმე, რადგან იგი თავისი სათნოებით ცნობილი იყო მეფისათვის, რაც იძლეოდა კარგ იმედს, რომ ეფთვიმეს იქ წასვლის შედეგად აუცილებლად შეწყდებოდა შუღლი.

მაშინ ბრწყინვალემ ყურად იღო თხოვნა და, როგორც მქადაგებელი და მიძღვებელი მამათა სწავლისა, გაემგზავრა კონსტანტინოპოლს, სადაც იგი დიდი სიხარულით მიიღო მეფემ და მთელმა კარმა. მაშინვე შეასრულეს მისი სურვილი, ისე რომ, თხოვნა მეორედ არც კი გაუმეორებია, იმდენად შთამბეჭდავი იყო მისი გარეგნობა.

ეფთვიმეს ერთი საქმე კიდევ ჰქონდა დასასრულებელი კონსტანტინოპოლში და თუმცა იქ წასვლა ფეხითაც შეეძლო, ჯორზე შეჯდა, რადგან მოხუცი იყო და ასკეტური ცხოვრების გამო მრავალჭირგამოვლილი.

ქალაქის ერთ ნაწილში, ე. წ. პლატეაში რომ გაიარა, მოხდა ისე, რომ ერთი ლატაკი იჯდა და მოწყალეობას თხოულობდა. ეს რომ დაინახა ეფთვიმემ — შებრალების დაუშრობელმა წყარომ, მოემზადა მოწყალეობის მისაცემად. ლატაკმა ეს რომ შენიშნა, წამოდგა მოწყალეობის ასაღებად, ჯორი ამის დანახვაზე შეშინდა და საშინელი ძალით გადმოავდო ძირს წმინდანი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა.

იქ მყოფმა მორწმუნე ქრისტიანებმა აიყვანეს ღვთის დიდი მხედარი და მიიყვანეს იმ სახლში, სადაც დაედო ბინა. აქ მან მიიღო საღვთო ზიარება და რამდენიმე დღის შემდეგ, 13 მაისს, მიიცვალა, შეუერთდა მოციქულებს, როგორც მოციქული, სამართლიანებს, როგორც სამართლიანი, წინასწარმეტყველებს, როგორც მათ მსგავსად

დიდთა საქმეთა მქმნელი, წმინდანებს, როგორც წმინდანი, წამებულ-  
ლებს, როგორც მოწამებრივი სიკვდილით გარდაცვლილი და უსა-  
ტაკესი, ანგელოზებს, როგორც ანგელოზი, რათა შეევედრებინათ ღმრ-  
თისათვის ჩვენი თავი — მისი შვილები, რომლებსაც მხოლოდ მათი  
შეიძლება გვეწოდოს მისი მემკვიდრე, თუკი ვივლით მისი გზით, ვი-  
ცხოვრებთ ისე, რომ ნიმუშად ვექენება მისი ანგელოზებრივი სი-  
ცოცხლე.

21

მას შემდეგ, რაც თავისი წმინდა სული უფალს მიაბარა, ეფთვი-  
შეს სხეული დამარხეს იქვე, კონსტანტინოპოლში, სადაც მოგვიანე-  
ბით რამდენიმე აქაური ბერი ჩასულა და გადმოუსვენებიათ აქ, ამ  
წმინდა მონასტერში.

რა იქნა მისი კუბო, არავინ იცის. გადმოცემით კი ცნობილია და  
სინამდვილესაც უნდა შეფერებოდეს, რომ, როცა აქ, მთაწმინდაზე,  
კათოლიკები მოვიდნენ, მეფე მიხეილისა<sup>23</sup> და პატრიარქის თანხმო-  
ბით, მათ ივერთა მონასტრის წმინდა მამები ზღვაში დაახრჩვეს, რად-  
გან მათ პაპის წარგზავნილები არ მიიღეს და არ ისურვეს ხელი მოე-  
წერათ ლათინთა დადგენილებებისათვის.

ნეტარი ეფთვიმეს წმინდა კუბოც, ისევე როგორც იოანესი და  
გიორგისა, გაიტაცეს სხვა საეკლესიო განძთან ერთად და მონასტერი  
ცარიელი დატოვეს.

ნურვის გაუკვირდება და უპატრონობადაც ნურავინ ჩათვლის,  
ნეტარის ასეთ სიკვდილს რომ გაიგებს<sup>24</sup>, რადგან ისურვა უფალმა  
ჩვენმა იესო ქრისტემ, რათა მისთვის ორი გვირგვინი დაედგა თავზე:  
მოწამისა და წამებულისა.

ეს მოხდა ღმერთის სურვილით და არა შემთხვევით, ისევე რო-  
გორც მრავალი სხვა წმინდანის სიკვდილი: ზოგი მათგანი ყაჩაღებ-  
მა მოკლეს, ზოგი — მხეცებმა დაგლიჯეს, ზოგი კი მაღალი ადგილიდან  
გადმოვარდა, როგორც დიდი ათანასე ათონელი.

რა საჭიროა მრავალსიტყვაობა? ვანა ჩემი მიზანია დავამტკიცო  
იმაზე მეტი, რასაც სამართლიანად ადგენს განგება? მას ემორჩილე-  
ბა ყოველივე ხილული და უხილავი, მის გარეშე ფოთოლიც კი არ  
ვარდება ხიდან. მის სურვილებს ვემორჩილებით ჩვენც. როგორც  
წმინდა წერილში წერია: „ვინ-მე უკუე ცნა გონებაჲ უფლისაჲ“<sup>25</sup>?

ახლა კი მოვიგონოთ ჩვენი დაპირება, მოთხრობის დასაწყისში  
რომ დავთქვით — იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის ცხოვრებაზე ვი-

საუბრებდით. დავასრულოთ იმით, რომ ვთქვათ ჩვენი წმინდა მამის გიორგის შესახებაც.



გიორგი სისხლით ნათესავი იყო უწმინდესი იოანესი და ეფთვი-ნესი, პირველის ძმსწულად ერგებოდა, მეორეს — ბიძაშვილად. გიორგის არ სურდა ჩამორჩენოდა მათ სათნოებაში. მან მემკვიდრეობით მიიღო ჩვენი მონასტრის წნამძღვრობა: ცდებოდა ის, ვინც ამბობს, რომ ამ ამბებიდან ასი წლის შემდეგ მოვიდა გიორგი მთაწმინდაზე. იგი ან ეფთვიმესთან ერთად მოვიდა, ან ერთი წლის შემდეგ. დროის მონაკვეთი ამგვარია.

ნეტარი ეფთვიმეს სიკვდილის შემდეგ გიორგიმ გააგრძელა მისი სათნოება, უწყინარობა, თავმდაბლობა, მდაბალი ლოცვა და მღულარე ცრემლი.

მოკლედ რომ ვთქვათ, როგორი სახელიც ჰქონდა, ისევე მოეწყო მისი ცხოვრება<sup>26</sup>. გაეცნო სათნოების ყველა სახეს და, ამავე დროს, გაძლიერდა (მონასტერი), რის გამოც მრავალი დაინტერესდა და მივიდა მასთან, რათა მისი მორჩილი გამხდარიყო. ასე გახდა მისი წყალობით ივერთა მონასტერი საღვთო ქალაქი, რომლის შესახებაც დავით წინასწარმეტყველმა იწინასწარმეტყველა: „დიდებული ითქვა შენთვის, ეგერა, ქალაქო ღმრთისაო“<sup>27</sup>.

როცა გიორგიმ დაინახა, რომ ხალხი მომრავლდა, საჭიროდ მიიჩნია სამეფო ხარჯებით უფრო დიდი მონასტრის აშენება.

მან არა მარტო სენაკები და სხვა დამხმარე სათავსოები აღმართა ძმათა დასასვენებლად, არამედ ყველაზე მეტად საპატიო, საჭირო და ლამაზი ეკლესია — კათოლიკონი. შემდეგ, როცა ძმათა რიცხვმა იმატა, ხოლო კათოლიკონი პატარა იყო და მამებს სივიწროვეში უხდებოდათ ყოფნა, გიორგიმ ააგო მეორე, სწორედ ის, რომელიც ჩვენს დრომდე შემორჩა, დანგრეულია მხოლოდ გალერეა.

სწორედ რომ მან ააშენა ეს ბრწყინვალე შენობა, კათოლიკონი, ჩანს მრგვალი ფირფიტებიდან, რომელიც მოთავსებულია წმინდა ეკლესიის ცენტრში, ჭადის ქვეშ, და რომელზეც წერია: „მე დავამტკიცენ სუეტნი მისინი“<sup>28</sup> და უკუნისამდე არა შეიძრნენ. გიორგი მონაზონი, ქართველი და მაშენებელი“.

ასეთი იყო სიქველით ცნობილი დიდი გიორგი. ღრმად მოხუცებულმა მიაბარა სული უფალს 28 ივლისს.

ასეთია ცხოვრება წმინდა და ღმერთშემოსილი ჩვენი მამებისა და ქტიტორებისა, რომელთა სათნოებასაც მთელი არსებით უნდა მი-



ვბაძით არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საჭიროა, არამედ იმიტომაც, რომ ვიყოთ მეჰკვიდრეები, როგორც მათ მიერ აგებული მონასტრებისა, ასევე მათი სიქველისა. შვილი ღირსეულად მამინ ითვლება, მისივე ძელებს მამის საქმეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ სახელი აქვს შვილისა, სინამდვილეში კი უკანონოა.

ხოლო მამანო, სამნო, სამგზის ნეტარნო ბრწყინვალე სამებისა, — როგორც დავით მეშურდულე, რომელიც ესროდა და ანადგურებდა ყველა სატანურ ძალას, როგორც გოლიათს<sup>29</sup>, — არ შეწყვიტოთ ჩვენთვის ლოცვა ღმერთის წინაშე, რათა თქვენი წმინდა ლოცვით ზეციური სამეფოს ღირსეული წარგზავნილები შევიქნეთ, რამეთუ თქვენ ეტყვით ღმერთს: აი, ჩვენ და შვილნი ჩვენნი, რომელნი გვიბოძა უფალმა.

სახელი და დიდება მას უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

## შენიშვნები

- 1) შტრ.: „მტილი დაჯშული და ჩემი სძალი, მტილი დაჯშული, წყარო დაბეჭდ-ული“ (ქება ქებათა, IV, 12).
- 2) ამ სიტყვების გასწვრივ მინაწერია არშიაზე: „*την δε αυτην τον οτιον πα-τρος ημων Εσθυστου, και την σημερινην ημεραν*“ („ჩვენი წმინდა მამის ეფთვიმეს ხსენების დღე კი დღევანდელ დღეს არის“) — იგულისხმება 13 მაისი.
- 3) იოზი — ბიბლ. პერსონაჟი.  
„კაცი ვინმე იყო ქუეყანასა ავსიტისასა, რომლისა სახელი იოზ, და იყო კაცი იგი ჭეშმარიტ, უბიწო, მართალ, ლუთის მსახურ, განშორებულ ყოვლისაგან ბოროტისა ნიეთთა... და საქმენი მისნა დიდ იყვნეს ქუეყანასა ზედა; და იყო კაცი იგი აზნაური მზისა აღმოსავლისათაგანი“. (წიგნი იოზისა, თავი 1, 1—3).
- 4) პროტოსიმბულატორი (*ὁ πρωτοσυμβουλάτωρ*) — ხელოვნური თარგმანის — „პირველი მრჩეველის“ — ნაცვლად მიზანშეწონილად ეცანით ტერმინის უცვლელად დატოვება. რას ნიშნავს ეს წოდება, წყაროებში ვერ დაგვხვანთ.
- სეინგელოზი — ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „სენგელოზი, სენკელი“ განმარტებულია, როგორც პატრიარქის თანაშემწე ბერი. ტერმინი ხშირად გვხვდება ქართულ წყაროებში, მაგ., სეინგელოზად იწოდება იოანე თორნიკე-ყოფილი „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, „ათონის აღაპებში.“  
საინტერესოა, რომ „აღაპებში“ გვხვდება ტერმინი პროტო-სენგელოზიც (აღაპები № 41, № 56).
- 5) „ვერ კელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად“ — მათე 7, 18; ლუკა 6, 43.
- 6) „ნაყოფისაგან ხე იგისაცნაურ არს“ — მათე 12, 33.
- 7) „ყოველსა, რომელსა პრწმენეს იგი, აქუნდეს ცხორება საუკუნო“ — იოანე 3, 15.
- 8) „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარ-ჰყავს თავი თვისი“ — მათე 16, 24; მათე 10, 38; მარკ. 8, 34; ლუკა 14, 27.
- 9) თხზულების ამ ადგილას იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს თხრობას ბუნებრივად უნდა მოჰყვეს ეს „ათანასეს ბაგეთაგან გამოსული ქება იოანესი“, სინამდვილეში ათანასეს სიგელის პერიფრაზი ჩართულია უფრო მოშორებით (§ 5).
10. წმინდა პროდრომოსის (წინამორბედის) ეკლესიაში იგულისხმება იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, მცირე ეკლესია ქართველთა მონასტრისა, სავანის ერთ-ერთი პირველი ნაგებობა. აქ დაუშვარხავთ ეფთვიმე ათონელი.
11. ნიკიფორე ფოკა (963—969 წწ.). ფილომონახი და ფილარეტი — მონაზონთა და სათნობათა მოყვარული.





საქართველოს  
საქართველოს  
